გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.
პარასკევი, 28 ოქტომბერი, 2005 წელი.
№250 (5283)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბიჭდუხტი სიტყვაა, ცდუილებით და ჯოტებით ბუტთის გაცანა ცვულა უკად-ტისთბაზე უსამაგლუსია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.



იხ. მე-4 გვ.

## რა გადაგვარჩენს? — ერთად ყოფნა, ერთი მამული...

თბილისელებო, გაიხარეთ,
წუთებს დავითელი,
„ივერიის“ წინ, ალუაში
გვყავს დიდი დავითი.

ადრე „ტროცკისტებს“
სამშობლოში არ აჩერებდნენ,
დღეს თბილისიდან
ასახლებენ აღმაშენებელს.



## მართლა იყიდება უნივერსიტეტი ბერეზოვსკი-პატარკაციშვილის ფულზე?

იხ. მე-2 გვ.

## სალომე ზურაბიშვილი: არაფერს ვნანობ, რადგან ხალხმა უზარმაზარი ნდობა გამომიცხადა



იხ. მე-3 გვ.

## ერთი უკანონო მშენებლობის გამო

### ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს

საცურაო აუზი რამდენიმე წლის წინათ ჩალის ფასად გაიყიდა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს სპორტული ნაგებობა მხოლოდ შირმა იყო მის მფლობელთა ნამდვილი განზრახვის დასაფარად — უშუალოდ აუზის წინ, სავალ გზაზე აეშენებინათ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

იხ. მე-6 გვ.

## ინფორმაცია

### ჯარისკაცებთან ერთად... „ბეგომ მარშ!“

გუშინ დილის 05.30 საათზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა კრწანისის სასწავლო სამხედრო ნაწილში საწვრთნელი განგაში გამოაცხადეს.

ნაწილში ამჟამად წვრთნას მეორე და მესამე ბრიგადების ბატალიონები გადიან. მზადყოფნა განგაშის გამოცხადებიდან 3 წუთში განხორციელდა. ამის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, თავდაცვის მინისტრმა და ჯარისკაცებმა დისლოკაციის ადგილიდან 4-კილომეტრიანი დისტანცია სირბილით 15 წუთში დაფარეს.

საქართველოს პრეზიდენტმა ჯარისკაცების მზადყოფნასა და ფიზიკურ მომზადებას მაღალი შეფასება მისცა.



### ზურაბ ნოღაიდელი — ამერიკიდან ევროპაში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ამერიკის შეერთებული შტატებიდან გუშინ ევროპაში გაემგზავრა. დაგეგმილია მისი სიტყვით გამოსვლა ვენაში, ეუთოს საბჭოს სხდომაზე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ისაუბრებს საქართველოს კონფლიქტურ ზონებში შექმნილ ვითარებასა და საქართველოს სამშვიდობო ინიციატივებზე აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტების გადასაჭრელად, აგრეთვე, რუსეთის პოლიტიკაზე ამ რეგიონებში. ზურაბ ნოღაიდელი ეუთოს გენერალურ მდივანსაც შეხვდება.



### ალიონზე დრო იხელთეს?

გუშინ დილით, რესპუბლიკის მოედანზე მისულ მოძრაობა „წინ, საქართველოს“ ლიდერებს დავით აღმაშენებლის ძეგლი შეფუთული დაუხვდათ.

როგორც აღნიშნული ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ აცნობა, მათმა წარმომადგენლებმა ძეგლის სადარაჯოდ რესპუბლიკის მოედანზე ღამის 04 საათამდე დაჰყვეს, ძეგლიც, სავარაუდოდ, მათი წასვლისთანავე შეიფუთა.



„წინ, საქართველო“, დავით აღმაშენებლის ძეგლისათვის ადგილის შეცვლას კატეგორიულად უპირისპირდება, ამ გადაწყვეტილებაში ხელისუფლების „მზაკვრულ ზრახვებს“ ხედავს.

ინტერპრესნიუსი

### ოსი მინისტრი უკმაყოფილოა

ოსი სეპარატისტების საგარეო საქმეთა მინისტრი მურატ ჯიოევი უკმაყოფილოა ქართულ-ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებით თეთრი სახლის პოზიციით.

როგორც ცნობილია, ვაშინგტონში ყოფნის დროს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს ამერიკის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა განუცხადა, რომ აშშ ემხრობა „სამხრეთ ოსეთის“ პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების გეგმას, რომელიც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის. ასეთივე განცხადება გააკეთა ამერიკის თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა ნოღაიდელთან შეხვედრისას.

მურატ ჯიოევი აცხადებს, რომ გასაკვირია, როცა ქართული მხარე ამ პროექტს აშშ-ს აცნობს, მაშინ როცა მის შესახებ თვით ოსურმა მხარემ არაფერი იცის.

მედიანიუსი

## პანორამა



სამხრეთ აფრიკაში ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „ბორბლებზე“ — მდიდარი ტურისტებისთვის განკუთვნილი „ცისფერი მატარებელი“ შეეჯახა მეორე შემადგენლობას ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მდებარე ქალაქ დე-არის მახლობლად. „ცისფერი მატარებლის“ დაახლოებით 44 მგზავრი და მომსახურე პერსონალის 30 წევრი მსუბუქად დაშავდა. დაშავებულთა შორის ორი იაპონელია. მეორე მატარებელს — „ტრანს კარუ ექსპრესს“ გადაჰყავდა 182 კაცი, რომელთა შორის ასევე არიან დაშავებულები.

* * *

გლობალური დათბობის პროცესმა დედამიწაზე ადამიანთა სრული მოსპობაც შეიძლება გამოიწვიოს. ეს აბსოლუტურად რეალური საფრთხეა, რადგან ასეთი რამ ადრე უკვე დაემართათ სხვა ცოცხალ არსებებს, მაგალითად, დინოზავრებს. ასე თვლის ორი კანადელი მეცნიერი, ასტროფიზიკოსი ჰიუბერტ რივზი და გენეტიკის სპეციალისტი დევიდ სუძუკი.

* * *



ვაშინგტონში, თეთრ სახლთან, პოლიციამ დააკავა სინდი შიჰანი — ერაყში დაღუპული ამერიკელი ჯარისკაცის დედა და კიდევ 25-მდე მისი მომხრე. მათ ბრალად ედებათ თეთრ სახლთან უსანქციო აქციის გამართვა. პოლიცია საქმეში ჩაერია მას შემდეგ, რაც ჯგუფის წევრები გაწვნენ ქუჩაში, თეთრი სახლის წინ და თავიანთი სხეულებით დაწერეს სიტყვა „სიკვდილი“.

## ვინ არის „ჭეშმარიტი მამა“ სან მიუნგ მუნი და რას გვაფრთხილებს საპატრიარქოს პრესცენტრი?

იხ. მე-2 გვ.



## „გმირები“ საქართველოს ტოვებენ ან ბიზნესმენობას არჩევენ



იხ. მე-2 გვ.

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის მტკიცებით, ირაკლი ოქრუაშვილი პრივილეგირებულ მინისტრთა კატეგორიას მიეკუთვნება, მას გუშინ პარლამენტში სამთავრობო საათზე გამოცხადება მოუწია. თუმცა, ბოლო დღეებში გამართული კინკლაობა ამით არ დასრულებულა. ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრი კახა კუკავა და სხვა ოპოზიციონერები მაინც უკმაყოფილონი დარჩნენ, რაკი სამთავრობო ლოჟაში შინაგან საქმეთა მინისტრი ვერ იხილეს. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ვანო მერაბიშვილმა დეპუტატებს კითხვებზე, რომლებიც ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გარემოებას უკავშირდებოდა, წერილობით უპასუხა, ამდენად მისი მოსვლა საჭირო არ იყო. დავით ბერძენიშვილმა სპიკერს განუმარტა, სხვა უამრავი შეკითხვა უნდა დაუსვა მერაბიშვილს და რაკი პასუხის გასაცემად მზადყოფნას აცხადებს, იქნებ მობრძანდესო. ნინო ბურჯანაძემ ოპოზიციის წარმომადგენლებს გარანტია მისცა, რომ კითხვების რეგლამენტით დადგენილი წესით გაფორმების შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრი პარლამენტში გამოცხადდება.



იხ. მე-3 გვ.

## ახალი ათონი შეიძლება რუსულ ქრისტიანულ ცენტრად იქცეს?!

თავიად ფრიდონ რუხაიასთვის კი გაუგებარია, როგორ შეიძლება კომისიის თავმჯდომარე მიკერძოებული იყოს, როცა გადაწყვეტილებას კომისიის მთლიანი შემადგენლობა იღებს, მას კი მხოლოდ ხელის მოწერა ევალება?

## კომისიის თავმჯდომარე მარტო ხელის მოსაწერად სჭირდებათ?!

იხ. მე-2 გვ.

## თბილისს ზამთარში დენი ექნება



გუშინ თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ დსთ-ს ქვეყნების ენერგეტიკის მინისტრების ენერგეტიკული საბჭოს სხდომა გაიხსნა. ეს არის 28-ე სხდომა, რომელშიც ათი ქვეყნის 71 წარმომადგენელი მონაწილეობს.

სხდომას ესწრებიან აგრეთვე ირანელი ენერგეტიკოსები, დსთ-ს ქვეყნების ენერგეტიკის მინისტრთა მოადგილეები და სს „რაოეესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ანატოლი ჩუბაისი.

სხდომაზე საუბარი შეეხო მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის“ აღდგენას, რომელზეც სარეაბილიტაციო სამუშაები 25 ოქტომბერს დასრულდა. იმავე დღეს აღდგა რუსეთიდან დენის იმპორტი და იგი 200 მეგავატ-საათს შეადგენს.

როგორც ჩუბაისი აღნიშნავს, „კავკასიონის“ ხაზის აღდგენა არის იმის გარანტი, რომ თბილისი ზამთრის პერიოდში განათებული იქნება.

მედიანიუსი

კანონმდებლები

# „გმირები“ საქართველოს ტოვებენ ან ბიზნესმენობას არჩევენ

(პირველი გვერდიდან)

უმრავლესობისა და ოპოზიციის კამათი კარგა ხანს გაგრძელდა. ყველაზე ხშირად მინისტრების ახლადდამკვიდრებული ეპითეტი — პრივილეგირებული და არაპრივილეგირებული ისმოდა. ოპოზიცია ამბობდა, ძალოვანი მინისტრები ჩვენს მოწვევას ექვსი თვის განმავლობაში უგულებელყოფდნენო. უმრავლესობა ამტკიცებდა, მხოლოდ ერთხელ მოითხოვეთ მათი მოსვლა, შემდეგ კი ეს საკითხი მიივიწყეთ და ახლა უსაფუძვლო აჟიოტაჟის ასატეხად გამოიყენეთო. ბურჯანაძემ ისიც კი თქვა, მგონი, ტყუილუბრალოდ მოვიწვიეთ თავდაცვის მინისტრი, ჩვენს შორის ურთიერთობის გარკვევა თუ გსურდათ, ოქრუაშვილი რა შუაში იყოო. ზვიად ძიძი-



გურმა ქალბატონ ნინოს შეახსენა, თქვენ მთლიანად პარლამენტის თავმჯდომარე ხართ და არა მხოლოდ ბოკერიას და მისი მეგობრების, თავდასხმები კი ისედაც არ გვაკლია და თქვენც ნუ დაგვიმატებთო.

ბოლოს და ბოლოს, ტრიბუნასთან მომლოდინე მინისტრსაც მიეცა სიტყვის წარმოთქმის უფლება. წერილობით მისადმი ერთადერთი შეკითხვა იყო გაგზავნილი — ცნობილია თუ არა თქვენთვის, რომ სახალხო დამცველს სამხედრო ნაწილების მონახულების საშუალება არა აქვს? ირაკლი ოქრუაშვილმა შეკითხვას უარყოფითად უპასუხა. გაიხსენა ცნობილი შემთხვევა, როცა საგურამოს სამხედრო ნაწილში ავადმყოფი ჯარისკაცის მოსანახულებლად მისულ ომბუდსმენს კარგა ხანს მოუწია მოცდა. თავდაცვის მინისტრის თქმით, მან ამ ვიზიტზე არაფერი იცოდა, ხოლო როცა შეიტყო, პრობლემა რამდენიმე წუთში მოაგვარა.

ზვიად ძიძიგური იმ ფონდის საკითხით დაინტერესდა, რომლებზეც ბევრი ჭორმართალი დადის და რომელთა საშუალებითაც სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად ფინანსდება არმია. ძიძიგურის სიტყვით, არსებობს ეჭვი, რომ არმიის განვითარების ფონდში თანხა დაპატიმრებულ და საპროცესო გარიგების შემდეგ გათავისუფლებულ მოხელეებს შეაქვთ. ოპოზიცია დაბეჯითებით ითხოვდა ოქრუაშვილისგან, დაესახელებინა ის ადამიანები, რომლებიც ფულს რიცხავენ. ოპოზიციის წარმომადგენელთა აზრით, ქართული არმიის განვითარების ფონდში გარკვეული თანხა უცხოელებსაც შეაქვთ. — ჯარი სახელმწიფოს მიერ უნდა ფინანსდებოდეს, სხვა შემთხვევაში შეიძლება, ის სახელმწიფოს ერთგული არ იყოს, — აცხადებენ ოპოზიციონერები. თავდაცვის მინისტრმა გავრცელებული ხმები უარყო. მისი თქმით, ფონდში შემოწირულობები არა პატიმრებს ან უცხოელებს შეაქვთ, არამედ საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენებს. მათს დასახელებაზე ოქრუაშვილმა უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ქველმოქმედნი ანონიმურად დარჩენას ამჯობინებენ. ოპოზიციის წარმომადგენლებმა ამ პასუხით კმაყოფილი არ დარჩნენ, მათ უჩინმაჩინი ქართველი პატრიოტების არსებობა აეჭვებთ. რაც შეეხება, ზოგადად, ამ ფონდის ხარჯებს, თავდაცვის მინისტრი დაინტერესებულ პირებს შეჰპირდა, დეტალურ ინფორმაციას მოგაწვდითო. ამ მიზნით მათი ფაქსის ნომრებიც ჩაიწერა. ირაკლი ოქრუაშვილი ოპოზიციას დაეთანხმა იმაში, რომ გარკვეულწილად, უხერხულია, ჯარი რაღაც ფონდებიდან ფინანსდებოდეს. ამიტომ, მისი თქმით, არმიის განვითარების ფონდი მომავალი წლის პირველი იანვრიდან აღარ იარსებებს.

„მემარჯვენე ოპოზიციამ“ თავდაცვის სამინისტრო არათანმიმდევრული პოლიტიკის გატარებაში დაადანაშაულა. მამუკა კაციტაძემ გაიხსენა, სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადა ჯერ ერთ წლამდე რომ შეამცირეს, რამდენიმე თვის შემდეგ კი კვლავაც წელიწადნახევრამდე გაზარდეს. სამხედრო ტექნიკის შესწავლას ერთი წელი არ ეყოფაო, — ასეთი იყო მოტივი. ამავე დროს, უქმდება სამხედრო აკადემია. ხუთი წელი ძალიან დიდი დროა, ოფიცრის მომზადება ცხრა თვეშიც შესაძლებელიაო, — აცხადებს თავდაცვის სამინისტრო.

— ჯარის განვითარების კონცეფციის შესაბამისად, ამერიკელ კოლეგებთან ერთად გადავწყვიტეთ, რომ აკადემიაში ხუთწლიანი სწავლება გაგვეუქმებინა. სკოლის მერხიდან აკადემიაში ბავშვი მოდიოდა ზედაპირული ენთუზიაზმით — გამხდარიყო სამხედრო პირი. დროთა განმავლობაში ენთუზიაზმი სხვა მიმართულებას იღებდა და ხშირ შემთხვევაში, ეს ბავშვები ოფიცრები ველარ ხდებოდნენ. ჩვენი გადაწყვეტილების თანახმად, აკადემიაში მიიღებიან მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირები, რომლებსაც აქვთ უნარი, ცხრა თვის განმავლობაში აითვისონ სამხედრო საქმე.

ეს გადაწყვეტილება, ირაკლი ოქრუაშვილის სიტყვით, შუა დონის ოფიცრების დეფიციტმა განაპირობა. მართალია, მინისტრი გადადგმული ნაბიჯის სისწორეში ღრმად არის დარწმუნებული, მაგრამ ოპოზიციამ ვერ გაიგო, მაგალითად, ფილოლოგი ცხრა თვეში სრულყოფილად როგორ უნდა დაეუფლოს სამხედრო საქმეს.

თავდაცვის მინისტრმა ვრცლად ისაუბრა 20 სექტემბერს ცხინვალში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით.

ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრმა დავით ბერძენიშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება შეახსენა ოქრუაშვილს. სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს ხელისუფლებას ცხინვალში ბომბების ჩაგდებასთან დაკავშირებული ადამიანების დასჯა მოსთხოვა. ბერძენიშვილის თქმით, ეს იმას ნიშნავს, რომ ინციდენტთან დაკავშირებული ადამიანები ჩვენი სახელმწიფოს ქვეშევრდომები იყვნენ.

— ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის იმ განცხადებამ საკმაოდ გამაკვირვა, — აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა. — მე ჩემს კოლეგებს ასე ვუპასუხე: თუ განცხადება მიანიშნებს იმას, რომ საქართველოს ხელისუფლებას ხელეწიფება დამნაშავეთა დასჯა, მაშინ პირდაპირ მიგვითითეთ, ვინ არიან ისინი, დანარჩენს მარტივად გავაკეთებთ. მას შემდეგ, რაც ეს ინციდენტი მოხდა და განცხადება გაკეთდა, მე ვიყავი ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ მსგავსი სახის შენიშვნა არ მომისმენია.

თავდაცვის მინისტრი დარწმუნებულია, რომ კარგად ფლობს ვითარებას არმიაში და იცის, ამ საქმეში ქართველი სამხედროები არ არიან გარეული. ხოლო თუკი ოდესმე რომელიმე სამხედრო პირი მსგავს დანაშაულს ჩაიდენს, ირაკლი ოქრუაშვილი თანამდებობიდან გადადგება. მინისტრმა გამოძიების შედეგებზე ილაპარაკა. მისი თქმით, [illegible] რუსი სამშვიდობოების ჩვენება, რომლის თანახმადაც, რუსი სამშვიდობოების ბაზიდან ხუთასი მეტრით დაშორებული ადგილიდან გაისროლეს. ოქრუაშვილმა ისიც აღნიშნა, [illegible] ეუთოს წარმომადგენლობების ჩვენების [illegible] ჩანს.

სამხედრო ძალებს პროფესიონალები ტოვებენ, — [illegible] — გარდა იმისა, რომ ისინი არმიისთვის [illegible] არიან, გასათვალისწინებელია ის დიდი თანხა, რაც მათ [illegible] ჩაიდო. თავდაცვის მინისტრი ამ ფაქტს ადასტურებს, მაგრამ ტრაგიკულ ელფერს [illegible]. მისი თქმით, ეს ხალხი ჯარში მხოლოდ ფულის გამო იყო შესული:

— ერაყში ყოფნისას მათ [illegible] ათასი დოლარი დააგროვეს და ახლა ბიზნესმენობა მოუნდათ. ღმერთმა ხელი მოუმართოთ!

ფიქრია ჩიხრაძემ ის ქალბატონიც გაიხსენა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტმა გმირი უწოდა, და რომელიც არალეგალურად დარჩა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც სასწავლებლად იყო გაგზავნილი. თავდაცვის მინისტრის თქმით, ეს პრობლემა ძველი, მანკიერი სისტემის გადმონაშთია. საზღვარგარეთ სასწავლებლად გასაგზავნ სამხედრო პირებს არა თავდაცვის სამინისტრო, არამედ რომელიმე ქვეყნის სამხედრო ატაშე არჩევდა, — თქვა ირაკლი ოქრუაშვილმა, რითაც პასუხისმგებლობა მოიხსნა.

სამთავრობო საათი ისეთი მწვავე და დაძაბული არ გამოდგა, როგორც ელოდნენ. ოპოზიცია თავდაცვის მინისტრის გამოცხადებით კმაყოფილი დარჩა, მაგრამ პასუხებით — არა. ერთი კი აღსანიშნავია, ირაკლი ოქრუაშვილმა არ გამოიყენა უფლება, არ ეპასუხა სპონტანურად დასმულ ყოველ შეკითხვაზე. მან ვრცელი პასუხები გასცა დეპუტატთათვის საინტერესო შეკითხვებს, გარდა ერთისა:

— მიხეილ სააკაშვილსაც სხვა ქვეყნის სამხედრო ატაშეებმა ურჩიეს, გმირი ეწოდებინა ქალბატონი კაპანაძისთვის? — დაინტერესდა ფიქრია ჩიხრაძე.

— ბატონ მიხეილს ჰკითხეთ, — ასეთი იყო თავდაცვის მინისტრის პასუხი.

**რუსუდან გახარია**

სულიერება

# ვინ არის „ჭეშმარიტი მამა“ სან მიუნგ მუნი?

## საპატრიარქოს პრესცენტრის განცხადება

**ამ დღეებში თბილისში გაიმართა „მსოფლიო მშვიდობის ფედერაციის“ (IIFWP — ამ ორგანიზაციის სხვაგვარი სახელწოდებაა — „მსოფლიო სამშვიდობო, სარწმუნოებრივი და საერთაშორისო ფედერაცია“) ინაუგურაცია. ღონისძიებაზე მიწვეულნი იყვნენ თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები. ინაუგურაციაზე სიტყვით გამოვიდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუმრები. წაიკითხეს ორგანიზაციის ლიდერის, სან მიუნგ მუნის მოხსენება. ღონისძიების მონაწილეებს შესთავაზეს, გაესინჯათ რიტუალური ღვინო, ასევე დარიგდა სპეციალური ბლანკები, რომლებიც ამ ორგანიზაციაში გაწევრების მსურველებმა უნდა შეავსონ.**

გვინდა, საზოგადოებას ვაუწყოთ, რომ აღნიშნული ფედერაციის უკან დგას მუნის ტოტალიტარული სექტა, ანუ გაერთიანების ეკლესია, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადია, ცდილობს საქართველოში ფეხის მოკიდებას. მაგალითად, 1999 წლიდან ამ სექტის ეგიდით მოქმედებდნენ შემდეგი ორგანიზაციები: „საერთაშორისო საგანმანათლებლო ფონდი“, ფედერაცია „ქალები მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში“, ფედერაცია — „ოჯახები მშვიდობისა და ერთიანობისათვის მთელ მსოფლიოში“ (ამ თემას საპატრიარქოს პრესცენტრმა 1999 წლის 17 ნოემბერს საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნა). შესაძლოა, საქართველოში [illegible] ორგანიზაციებიც, ვინაიდან მსოფლიოში აღნიშნულ სექტას დაარსებული აქვს სამასამდე საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ხშირ შემთხვევაში საზოგადოებრივი ორგანიზაციები კარგ საფარს წარმოადგენენ ტოტალიტარული, დესტრუქციული სექტის მოქმედების შესანიღბავად. იმისათვის, რომ საზოგადოებამ უფრო მკაფიო წარმოდგენა იქონიოს ამ სექტის შესახებ, მოვიტანთ მისი დამაარსებლისა და ლიდერის — მუნის რამდენიმე ციტატას:

**„მოვა დრო... ჩემი სიტყვები კანონად იქცევა. თუკი მე რამეს ვისურვებ, ყოველივე აღსრულებულ-იქნება“.**

**„მთელი მსოფლიო ჩემს ხელთაა, მე დავიპყრობ და განვსჯი მსოფლიოს“.**

**„ერთადერთი გზა გადარჩენისაკენ — ეს არის ჭეშმარიტი სიყვარულის, ცხოვრებისა და გენეალოგიის მშვიდობიანი ფილოსოფია, რომელსაც გვასწავლის წმინდა მუნი“.**

**„სატანურ მსოფლიოს ბიზნესმენები მართავენ. მაშასადამე, ღმერთმა უნდა წარმოგზავნოს თავისი სუპერბიზნესმენი. მესია ყველაზე მდიდარი უნდა იყოს“.**

აღსანიშნავია, რომ [illegible] მუნი თავს მიიჩნევს. იგი თავს აცხადებს ახალი კაცობრიობის **„ჭეშმარიტ მამად“** (მისი მეუღლე კი **„ჭეშმარიტ დედად“** ითვლება).

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი აფრთხილებს საზოგადოებას, რომ აღნიშნული რელიგიური გაერთიანება თავისი არსით ანტიქრისტიანული, მკრეხელური და საშიში ტოტალიტარული სექტაა.

27.10.2005.

ინფორმაცია

### ერთადერთი — ამიერკავკასიასა და შუა აზიაში...

**ამერიკული** ბიოუსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში საქართველოში ეპიდემიოლოგიური ლაბორატორია ამოქმედდა.

მსგავსი აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორია მსოფლიოს მხოლოდ ხუთ ქვეყანაში მოქმედებს.

„ეპიდემიოლოგიური ლაბორატორია ერთადერთია კავკასიისა და შუა აზიის რეგიონში, რომელსაც სრულფასოვანი ეპიდემიოლოგიური კვლევის ჩატარება შეუძლია. ლაბორატორიაში დამონტაჟებულია უახლესი ამერიკული ტექნიკა. სწორედ ამ ლაბორატორიის მეშვეობით საქართველო გახდება ეპიცენტრი მთელ რეგიონში ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში“, — განუცხადა „მედიანიუსს“ ვეტერინარიის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ჯამბულ მაღლაკელიძემ.

ლაბორატორია ვაშლიჯვარშია განთავსებული. მის გახსნას საქართველოში მყოფი ეპიზოოტიის ბიუროს ევროკომისიის პრეზიდენტი ნიკოლა ბელევი და ბიუროს სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

### ლოშჩინინი აქტიურობს...

**რუსეთის** საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვალერი ლოშჩინინი მოსკოვში საფრანგეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს ელჩებს შეხვდა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხები განიხილეს.

აღნიშნული ქვეყნები გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფში შედის. ეს ჯგუფი ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში შუამავლის ფუნქციას ასრულებს.

აღსანიშნავია, რომ მეგობარი ქვეყნების ელჩებთან შეხვედრამდე ვალერი ლოშჩინინმა მოსკოვში საქართველოს ელჩი ირაკლი ჩუბინიშვილი მიიღო.

**მედიანიუსი**

დავა

# კომისიის თავმჯდომარე მარტო ხელის მოსაწერად სჭირდებათ?!

**ორიოდე დღის წინათ ფრიდონ რუხაია პარლამენტში იმ საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს, რომელმაც საბაჟო ტერმინალ „ოპიზასთან“ დაკავშირებით დეპუტატთა საქმიანობა უნდა გამოიძიოს. ოპოზიცია არჩევანით კმაყოფილია. მას კარგად ახსოვს ხელისუფლების დაპირება, რომ კომისიის თავმჯდომარე ოპოზიციური ფრთის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. სინამდვილეში კი... ორივე მხარე საკუთარი არგუმენტებით საუბრობს.**

კობა დავითაშვილისა და დავით გამყრელიძის კანდიდატურები კენჭისყრაზეც არ დამდგარა, მაგრამ რა ხეირია, თუ ეს ფორმალობა დავით ბერძენიშვილმა გაიარა?

დავით ბერძენიშვილის თქმით, უმრავლესობას თავიდანვე არ სურდა, რომ კომისიის თავმჯდომარე აქტიური პოლიტიკური ძალის დეპუტატი გამხდარიყო.

მისგან განსხვავებით ფრიდონ რუხაია მიიჩნევს, რომ სულაც არ არის საჭირო, თავმჯდომარე იყოს აქტიური. მისი ძირითადი ფუნქციაა სხდომების მოწვევა, კომისიის წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილება, ოქმების მიღება და კომისიის სახელით მოქმედება პარლამენტში და გარე უწყებებში.

ამ სიტყვების შემდეგ საზოგადოებას, ალბათ, აღარ გაუკვირდება, რომ თავმჯდომარედ წყნარი, მშვიდი და მათთვის უცნობი პიროვნება დაინიშნა. ელექტორატს არ ახსოვს ბატონ ფრიდონის აქტიურობა პარლამენტში, მწვავე აზრის გამოთქმა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და ა. შ.

დავით ბერძენიშვილი კი მიიჩნევს, რომ ბექაურისთვის და მაჭავარიანისთვის, თუ ისინი მართლები არიან, უმჯობესი იქნებოდა ოპოზიციური პარტიების ლიდერებს გამოეტანათ უდანაშაულობის ვერდიქტი. საზოგადოების ნდობა მათდამი უფრო მაღალი იქნებოდა.

ოპოზიციამ არ დააყოვნა და მაჭავარიანისა და რუხაიას თანამშრომლობაც გაიხსენა შემოსავლების სამინისტროში, რაზეც პარლამენტის ვიცე-სპიკერს ასეთი კომენტარი აქვს: — ჩემთან ნახევარი პარლამენტი მუშაობდა, ამის გამო არავინ არსად აღარ უნდა დაინიშნოს? ახლო წარსულში კობა დავითაშვილი და კახა კუკავა ჩემი ადვოკატები იყვნენ. ამ პრინციპით თუ იმსჯელებენ, გაუჭირდებათ ისეთი კაცის არჩევა, ჩემთან საქმიანი ურთიერთობა რომ არ ჰქონოდა, — ამბობს იგი.

ჩემთან საუბრისას მაჭავარიანმა გაიხსენა ახლო წარსული, როცა დავით გამყრელიძე ბიუჯეტის გარღვევის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს. მაშინ მემარჯვენეების ლიდერმა არაობიექტური დასკვნა დადო. დღესაც, დავითაშვილის ან ბერძენიშვილის არჩევის შემთხვევაშიც, ბატონი მიხეილი იგივე საქციელს ელოდა. ეჭვობს, რომ ის სიმართლის გამოძებნის ნაცვლად სხვადასხვა ბრალდებებს შეთითხნიდა, რაზეც უმრავლესობას თავის მართლება მოუწევდა.

დავით ბერძენიშვილმა იცის, რომ რუხაია კარგი სპეციალისტია. უმუშავია შინაგან საქმეთა სამინისტროში, საბაჟო დეპარტამენტში, ანუ წმინდა საგამოძიებო საქმის წარმართვა მას არ გაუჭირდება, მაგრამ, მაჭავარიანისგან განსხვავებით, იგი მიიჩნევს, რომ კომისიის თავმჯდომარე იქნება კონტროლირებადი მისივე პოლიტიკური გუნდის მიერ (რუხაია მაჟორიტარია, მაგრამ გულით პოზიციაშია), რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ამ კომისიის აქტივობას. 15-კაციან კომისიაში, ფაქტობრივად, მხოლოდ ხუთი ოპოზიციონერია, დანარჩენები კი, როგორც ბერძენიშვილი ამბობს, უმრავლესობის ფორმალური და არაფორმალური წევრები არიან. თუმცა იმედოვნებს, რომ მათ ყველა სვლა არ გაუვათ. თავად ფრიდონ რუხაიასთვის კი გაუგებარია, როგორ შეიძლება კომისიის თავმჯდომარე მიკერძოებული იყოს, როცა გადაწყვეტილებას კომისიის მთლიანი შემადგენლობა იღებს, მას კი მხოლოდ ხელის მოწერა ევალება?

დღეს რუხაია თამამად ლაპარაკობს, რომ მისთვის ყოველი თანამდებობა საპასუხისმგებლოა და დღემდე ყველა დავალებას სამართლიანად და პირნათლად ასრულებდა. იმედოვნებს, რომ ამ საქმესაც თავს კარგად გაართმევს.

მის საქმიანობას მალე, ალბათ, საზოგადოებაც შეაფასებს, ამ შემთხვევაში კი მთავარი მაინც ობიექტურობაა და არა სხვისი მითითებების შესრულება.

**ლელა ხვადაგიანი**

სიტუაცია

# მართლა იყიდება უნივერსიტეტი ბერეზოვსკი-პატარკაციშვილის ფულზე?

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველაფერი რომ თავის რიგზე არ არის, ეს არათუ თავად უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთათვის, არამედ გარეშე თვალისთვისაც აშკარაა.**

**თსუ-ში სიტუაცია მას შემდეგ აირია, რაც „ვარდების ხელისუფლებამ“ უნივერსიტეტის ავტონომიაში პირდაპირი თუ ირიბი საცეცებით საკმაოდ ღრმად შეაღწია და საქართველოს უპირველესი ცოდნის ტაძრის ბედ-იღბალი ამისთვის შეუფერებელ საკუთარ ხელდასხმულებს ანდო.**

**ჩვენი გაზეთი ერთხელ უკვე წერდა თსუ-ში მმართველი პარტიის ინტერესთა გამტარებელი სტუდენტური ჯგუფების არსებობაზე, რომელთაც „ნაციონალური მოძრაობა“ ერთობ სოლიდურად აფინანსებს და დედა-უნივერსიტეტის კედლებში საკუთარ რუპორად იყენებს.**

**ამ დღეებში კი საზოგადოებისთვის იმის შესახებაც გახდა ცნობილი, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დიდი ოდენობის თანხები უკვალოდ გაქრა. კომპეტენტური ადამიანები თსუ-ს ადმინისტრაციის მიერ ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვასა და ბინძურ მაქინაციებზეც ალაპარაკდნენ.**

**უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თავზე ისედაც მოქუფრულ ცაზე ახალი მეხი თსუ-ს ახლადჩამოყალიბებული შიდა სამსახურის აუდიტის უკვე ყოფილმა უფროსმა ზურაბ ვაშაკიძემ გასტყორცნა, ვინც უნივერსიტეტის ბალანსიდან გამქრალ 1 მილიონ 300 ათას ლარსა და მთელ რიგ სხვა დარღვევებზე ალაპარაკდა.**

ზურაბ ვაშაკიძემ ხანგრძლივი და საფუძვლიანი შემოწმების შემდეგ აღმოაჩინა, როგორც იგი აცხადებს, საფინანსო, სამშენებლო-სარემონტო თუ სხვა სფეროებში არსებული უმძიმესი დანაშაულებრივი და სისხლის სამართლის საქმის ნიშნების შემცველი მაქინაციები.

კერძოდ, უნივერსიტეტმა მოგების თანხად სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხა 400 ათასი ლარი. ამაში, ერთი შეხედვით, უკანონო არაფერია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უნივერსიტეტს ფინანსურად უკიდურესად უჭირს, იქ მკვეთრად მცირდება პროფესორთა ხელფასები, უფინანსობის საბაბით პანტა-პუნტით აძევებენ თანამშრომლებს, ხოლო ვისაც ტოვებენ, ხელფასებს უნახევრებენ, სტუდენტებსა და მაგისტრანტებს კი კუთვნილი სტიპენდიებიდან კინკილა თეთრიც თვალით არ უნახავთ, საინტერესოა, საიდან ამდენი მოგება?

და რაც მთავარია, ყოველივე ამის ფონზე თსუ-ს რექტორმა და მისმა გუნდმა უმაღლესი ხელფასები დაინიშნეს.

ამასთანავე, მოხდა უნივერსიტეტში ყოვლად შეუძლებელი და წარმოუდგენელი თანამდებობრივი შეთავსებებიც. მაგალითისთვის: აპარატის უფროსი გია ძნელაძე იმავდროულად რექტორის მრჩეველიც გახლავთ.

თსუ-ს რექტორატმა ასევე გაფლანგა ან მიითვისა უნივერსიტეტისა და კაფეს ე. წ. საზაფხულო რემონტის ხარჯები.

დაფიქსირებულია სამილიონებო თანხების გადახარჯვის ფაქტებიც, ასევე უნივერსიტეტის რექტორის მიერ ყოველგვარი საფინანსო-საბუღალტრო პროცედურების დარღვევით, სამილიონებოდ ერთპიროვნულად ათასობით ლარისა თუ დოლარის გაცემის შემთხვევები.

ზურაბ ვაშაკიძე ასევე მიუთითებს უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის გაყიდვის საშიშროებაზე, ხოლო ზოოპარკთან მიმდებარე უნივერსიტეტის ტყე-პარკში იურიდიული ფაკულტეტის ახლადდანიშნული ახალგაზრდა დეკანი დავით კერესელიძე თურმე თავისი ფაკულტეტისთვის ცალკე კორპუსის აშენებას აპირებს.

აღსანიშნავია, რომ ზურაბ ვაშაკიძე უნივერსიტეტში ახალი ხელისუფლების კადრი იყო, თუმცა, ამის მიუხედავად, მან უარი თქვა თანამდებობაზე, რისი მოტივიც ასე ახსნა: „როდესაც შემოთავაზებულ თანამდებობაზე მუშაობას დავთანხმდი, მხოლოდ იმიტომ, რომ მჯეროდა „ვარდების რევოლუციისა“ და პრეზიდენტისა, მაგრამ შვიდი თვის მანძილზე საქმიანობით დავრწმუნდი, რომ ახალი ხელისუფლება და უნივერსიტეტის ახალი ხელმძღ-



ვანელობა ისეთ რამეებს სჩადიოდნენ, რომ არ შემეძლო ამაზე თვალის დახუჭვა და ბინძურ მაქინაციებთან შერიგება“.

იმ მიზნით, რომ ზურაბ ვაშაკიძისთვის ტენდენციურობა და არაპროფესიონალიზმი არავის დაებრალებინა, მან საკუთარი შემოწმების შედეგების გადასინჯვა ისეთ გამოცდილ სპეციალისტებს სთხოვა, როგორებიც არიან: ფინანსების დარგში — მირიან მურჯიკნელი, მშენებლობის დარგში — სახელმწიფო პრემიის ლაურეატი პარმენ მიქაძე და საბუღალტრო დარგში — აფხაზეთის უნივერსიტეტის კათედრის გამგე რამაზ შაყულაშვილი, რომლებმაც ვაშაკიძის შემოწმების შედეგების უტყუარობა დაადასტურეს.

ზურაბ ვაშაკიძემ შემოწმების შედეგად აღმოჩენილი დარღვევების შესახებ მოხსენებითი ბარათი რექტორ რუსუდან ლორთქიფანიძესა და მის მოადგილეს რამდენჯერმე გაუგზავნა, მაგრამ თსუ-ს უფროსობას ამაზე ყურიც არ შეუბერტყავს. პირიქით, მათ თავად ვაშაკიძე დაადანაშაულეს: ჩვენს ახალ თანამშრომლებს ებრძვიო.

ბატონი ზურაბი რ. ლორთქიფანიძეს იმაშიც სდებს ბრალს, რომ რექტორი უნივერსიტეტიდან კვალიფიციურ კადრებს წარბშეუხრელად ათავისუფლებს, ახალ თანამშრომლებად კი ისეთები მოჰყავს, რომლებიც უნივერსიტეტისთვის შეუფერებელნი არიან.

ვაშაკიძე აცხადებს, რომ რ. ლორთქიფანიძემ განათლების სამინისტროს უნივერსიტეტის სტამბის, რომელიც თავად თსუ-ს დაარსებისთანავე შეიქმნა, ლიკვიდაციის გადაწყვეტილება მიაღებინა.

უნივერსიტეტის სტუდენტები, ზურაბ ვაშაკიძის თქმით, საუნივერსიტეტო ცხოვრებისგან სრულიად გარიყულნი არიან. და ეს მაშინ, როდესაც არსებული კანონმდებლობით სტუდენტები საუნივერსიტეტო ცხოვრების ფაქტობრივად ყველა სფეროში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ. ბატონი ზურაბი ამას სწორედ თსუ-ს ამჟამინდელი რექტორის ერთ-ერთ მთავარ დანაშაულად მიიჩნევს.

და როდესაც ამ უკანასკნელისგან თავის მოხსენებითს ბარათებზე კონკრეტული პასუხი ვერ მიიღო, ბატონმა ზურაბმა მოხსენებითი ბარათი უკვე მეცნიერებისა და განათლების სამინისტროშიც გაგზავნა, მაგრამ მისი განხილვით თავი არც იქ შეუწუხებიათ (თუმცა, ბატონი ზურაბის თქმით, თავდაპირველად აღშფოთებულან მასში აღნუსხული დარღვევებით) და უნივერსიტეტში არსებულ დარღვევათა მამხილებელი მონაცემები სეიფში საიმედოდ გამოუკეტავთ.

სწორედ ამის შემდეგ მიმართა ზურაბ ვაშაკიძემ უნივერსიტეტში ახლად შექმნილ, საკმაოდ ავტორიტეტულ წარმომადგენლობით აკადემიურ საბჭოსა და ბატონ გურამ შარაძეს, ვისაც უნივერსიტეტში არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის წარმოჩენაც ვთხოვეთ.

როგორც ბატონმა გურამმა გვითხრა, ვაშაკიძის შემოწმების შედეგებთან დაკავშირებით წარმომადგენლობითმა აკადემიურმა საბჭომ საგანგებო გამგეობის სხდომაც მოიწვია.

გურამ შარაძე სრულებით ენდობა ზურაბ ვაშაკიძეს და ავტორიტეტული სპეციალისტების მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგებს. თუმცა ვაშაკიძის ნდობა მისთვის თვითმიზანი არ არის.

— მოვუწოდებ უნივერსიტეტის რექტორატსა და განათლების სამინისტროს, — ამბობს ბატონი გურამი, — მოახდინოს საჯარო რეაგირება ვაშაკიძის ბრალდებებზე. თუ ისინი ზურაბ ვაშაკიძის მხილებებს გააბათილებენ და თავიანთ უდანაშაულობას დაამტკიცებენ, მათ ტაშს დავუკრავთ.

უნივერსიტეტში ხელისუფლების ინტერესებზე ყველა საუბრობს, ბატონმა გურამ შარაძემ კი ჩვენთან საუბარში ფარდა სრულიად ახალ, ტაბუდადებულ თემას ახადა და უნივერსიტეტთან მიმართებაში ბადრი პატარკაციშვილისა და ბორის ბერეზოვსკის ბიზნეს-ინტერესებზე მიუთითა.

მან განსაკუთრებული ყურადღება თსუ-ს რექტორის აპარატის უფროსისა და მრჩევლის, გია ძნელაძის ერთობ ოდიოზურ პიროვნებაზე გაამახვილა, რომელიც მისი თქმით, არის დღეს უნივერსიტეტის ფაქტობრივი მმართველი, ყველა ბინძური მაქინაციისა და ქვედა დინების თავი და თავი.

გია ძნელაძე, — ამბობს ბატონი გურამი, — შევარდნაძის მთავრობის სახელმწიფო მინისტრის, დღეს „მედია ჰოლდინგის“ დირექტორისა და ბადრი პატარკაციშვილთან მჭიდროდ დაკავშირებული და დაახლოებული ლევან ძნელაძის ძმაა.

— ლევან ძნელაძე ჯერ შევარდნაძის მთავრობაში ნაშოვნი მილიონებით გამდიდრდა და თავისი ძმაც გაამდიდრა, ახლა კი მის უკან ბერეზოვსკი-პატარკაციშვილის კაპიტალი დგას.

გია ძნელაძე უნივერსიტეტში ლობისტად შემოაგდეს, რომ უპრობლემოდ შეძლონ დასახული მაქინაციების ხორცშესხმა და კორპუსების დაცლა-გაყიდვა. ამ ქვეყანაში ერთი ჩვენი უნივერსიტეტი დარჩა გაუყიდავი და ისიც ბერეზოვსკი-პატარკაციშვილის კაპიტალზე იყიდება! — ამტკიცებს გურამ შარაძე.

ამიტომაც მოვუწოდებ ქართველ საზოგადოებას, ინტელიგენციას, რომ ხმა აიმაღლონ ამ გათავხედებული ძმების — ლევან და გია ძნელაძეების წინააღმდეგ და ბოლო მოუღონ უნივერსიტეტში ბერეზოვსკი-პატარკაციშვილის მათ ლობისტობას — აცხადებს იგი.

**როგორც ხედავთ, უნივერსიტეტში ვითარება ერთობ რთულია და არეული.**

**იქ სიტუაციის მოსაწესრიგებლად ხელის გამოღება კი, გურამ შარაძისა არ იყოს, უწინარესად სწორედ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტობას, საერთოდ, ქართული ინტელიგენციისა და საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებს მართებთ.**

**ჯაბა ხუბუა**

№ 250, პარასკევი, 28 ოქტომბერი, 2005 წელი.

⊙ გულახდილი დიალოგი

# სალომე ზურაბიშვილი: არაფერს ვნანობ, რადგან ხალხმა უზარმაზარი ნდობა გამომიცხადა

**ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი ფიქრობს, რომ არც დრო და არც სურვილი არ აქვს, გაარკვიოს, რატომ მოექცნენ მას ასე მკაცრად, ანუ, იყო თუ არა ეს, როგორც ამბობენ, ახირება და შეთქმულება მის მიმართ.**

**თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგ იგი ცხოვრების ახალ ეტაპს იწყებს და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას ქმნის. თუმცა ამ მოძრაობის მიზნების ჩამოყალიბებამდე, ვერსად გავექეცით ქაჯებისა და 1937-იანი წლების თემას, რომელიც ამ დღეებში არაერთხელ გაახმიანა ქალბატონმა სალომემ.**

***— ქალბატონო სალომე, თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ მხოლოდ თანამდებობის დაკარგვის შემდეგ ამოიღეთ ხმა და მანამდე თურმე ქაჯებში მშვენივრად მუშაობდით.***

— ეს ნამდვილად არ მომხდარა თანამდებობის დაკარგვის შემდეგ. მანამდეც ბევრი რამ მაწუხებდა, მრავალ ადამიანთან არავითარ სიახლოვეს არ ვგრძნობდი. თუმცა, სანამ გუნდის წევრი ხარ, რაღაცას ითმენ, რაღაცას ნაკლებ ყურადღებას უთმობ. ეს ყველაფერი დაგროვდა და გამოიკვეთა ბოლო დღეებში, როცა დავინახე, თუ რაზე იყვნენ წამსვლელები და რის გამოც მათ ქაჯები ვუწოდე.

წარმოიდგინეთ, ეს ადამიანები ერთი კვირით ადრე მეუბნებოდნენ პარლამენტში, რომ ყველაფერი კარგად და გადასარევად არის საგარეო საქმეთა სამინისტროში, შეკითხვაც კი არ ჰქონიათ. ფაქტობრივად, მონოლოგი მოისმინეს. იგივე ადამიანები ერთი კვირის შემდეგ კრიტიკას და ლანძღვას არ იშურებდნენ ჩემს მიმართ, თურმე დადებითი არაფერი მომხდარა სამინისტროში, დადგმული სცენარის მიხედვით ლაპარაკობდნენ და თვალებში არც კი გიყურებდნენ: აი, ეს არის ქაჯობა.

***— 37-იანი წლების გამოძახილსაც გრძნობთ დღევანდელ საქართველოში? თქვენ ტელევიზიით ამაზეც ილაპარაკეთ.***

— ის პერიოდი ხელისუფლების მეთოდებმა გამახსენა, როცა სხვის დაწერილ წერილებზე აწერდნენ ხელს და ისინი რაღაც სცენარის შემადგენელი ნაწილებია. 37-იანი წლების მეთოდად მიმაჩნია, აგრეთვე, კომპრომატები, რომლებიც ყველას ყველაზე აქვს შედგენილი და გადამალული, თუმცა ვერაფერი მომინახეს და რაც უნდა ეძებონ, ვერც იპოვიან. თუ გამოიგონებენ რაიმეს, არ ვიცი. ფაქტია, რომ მათ შეუძლიათ რაღაც მომენტში ადამიანი ჩაუშვან.

ეს ხალხი თითქმის ყველგან იყო, ხან შევარდნაძესთან, ხან ზვიადისტებთან, ხან ტრადიციონალისტებთან. და დღეს კიდევ ახერხებენ წარმოჩენას. ე. ი. რაღაც ხდება, მათ აქვთ სხვა ძალა: ფულის ან კორუმპირებული წრეების ძალა. მათ არ გააჩნიათ საკუთარი იდეოლოგია და პრინციპები. რადგან შეუძლიათ ამდენი ცვლილება კარიერაში, ეს მათი მამოძრავებელი ძალაა.

***— ანუ თქვენი აზრით, ეს იგივე ნეობოლშევიზმია?***

— რა თქმა უნდა, ასეა. ეს ადამიანები ძველი მეთოდებით მოქმედებენ და ჯერ კიდევ ფიქრობენ, რომ ხელისუფლება მათი საკუთრებაა, სხვებმა კი ამაში მონაწილეობა არ უნდა მიიღონ. თუმცა ისინი რწმენით ბოლშევიკები ნამდვილად არ არიან.

იმავდროულად, მათ აქვთ კავშირები იგივე წრეებთან რუსეთში, რომლებიც იგივე მეთოდით, მიდგომით და ხედვით მუშაობენ.

***— როდესაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ თქვენ მინისტრად მოგიწვიეს, მაშინ თუ ფიქრობდით, რომ საქართველოში ასეთი აზროვნების ადამიანები დაგხვდებოდნენ?***

— ასე ნამდვილად არ ვფიქრობდი, მაშინ არ ჩამოვიდოდი და არც მინისტრის თანამდებობას დავთანხმდებოდი. მერე ნელნელა რაღაც-რაღაცეები გამიკვირდა, თუმცა მეგონა, ამას უფრო პიროვნული ხასიათი ჰქონდა. თანდათან მივხვდი, რომ ეს იყო ბევრად უფრო ძლიერი, სისტემური რეაქცია, რომელიც კორუფციის წყაროებს უკავშირდებოდა, რაშიც უშუალოდ მათ ხელი შევუშალე.

***— დავუბრუნდეთ თქვენს ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას. როგორი იქნება იგი? ხომ არ ხედავთ საერთოს საქართველოში არსებულ რომელიმე მოძრაობასთან?***

— მე საერთოს ვხედავ ნებისმიერ ქართველთან და ქართულ მოძრაობასთან. თუ ადამიანების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარიყვა დავიწყეთ, ხუთიოდე კაციღა დავრჩებით. ვქმნით მოძრაობას ერთიანი საქართველოსთვის, რომლის კარიც ღია იქნება ყველასთვის. თქვენ ხართ პირველი გაზეთი, ვისაც მოძრაობის სახელს ვეუბნები: ეს იქნება **„სალომე ზურაბიშვილის მოძრაობა“.** რატომ? იმიტომ, რომ არ გვინდა, დაემსგავსოს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას. ეს არის ნამდვილად მოძრაობა, რომელიც მოიცავს ყველას და ყველაფერს. იგი საზოგადოების შესაქმნელად და დასახმარებლად არის გამიზნული.



მომავალში არ არის გამორიცხული და, ალბათ, საჭირო იქნება, რომ ამ მოძრაობის წიაღში დაიბადოს პოლიტიკური პარტია. მაგრამ ეს მომდევნო ეტაპზე განხორციელდება. მე ევროპელი ვარ და, ვფიქრობ, პოლიტიკური პარტიის შექმნა კონკრეტული პროგრამის შემუშავების შემდეგ არის შესაძლებელი.

დღეს კი საამისოდ არ ვართ მომზადებულნი. მოვლენები ისე სწრაფად, დაუგეგმავად განვითარდა, რომ, ფაქტობრივად, ყველაფერს ახლა ეყრება საფუძველი. უპირველესად, მოსახლეობაში არსებულ ენერგიას და დემოკრატიულ ძალას თავისი ადგილი უნდა მიეჩინოს: სოფლის ენერგია სოფლად გამოვიყენოთ, უბნისა — უბანში და ა. შ. ამას სერიოზული მუშაობა სჭირდება.

რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებთან ჩვენს დამოკიდებულებას, ყველასთან ვითანამშრომლებთ, აზრთა ურთიერთგაცვლის საფუძველზე. ოღონდ, ეს არ შეეხება ორგანიზაციულ მხარეს.

***— იპოდრომზე მოსული ათასობით ადამიანის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თქვენი მოძრაობით დაინტერესება დიდი იქნება.***

— უამრავი ხალხი გვიკავშირდება. ორშაბათიდან ახალი ოფისი გვექნება ჭავჭავაძის №68-ში. მივიღებთ ადამიანებს, მოვუსმენთ, გავიგებთ, ვის რა შეუძლია, რა ადგილი ექნება ჩვენს მოძრაობაში. ეს ყველაფერი ძალზე სწრაფად უნდა მოგვარდეს.

***— ქალბატონო სალომე, ამბობენ, რომ თქვენს განთავისუფლებას ხელისუფლების დასუსტება და კრიზისი მოჰყვება. არც იმას გამორიცხავენ, თითქოსდა პრეზიდენტმა დააპიროს მთავრობის დათხოვნა. თქვენ რას იტყოდით?***

— ქვეყანას ნამდვილად არაფერს არგებს სამთავრობო კრიზისი. ამჟამად წყნარი ვითარება გვჭირდება, რომ რაც ასაშენებელია, აშენდეს, ჩვენმა მოძრაობამ კი შეასრულოს თავისი როლი — რეფორმების გზაზე მყოფი ეს მთავრობა შეინარჩუნოს, არ გადაახვევინოს მას აქედან იქით. კრიზისი ქვეყანას კარგს არას მოუტანს. ასევე ხელს არ გვაძლევს საერთაშორისო კრიზისი. ფრანგებს უნდოდათ, მომხდარის შემდეგ რაღაც პოზიციის გამოხატვა. უარი ვუთხარი, რადგან აუცილებელია უცვლელი საგარეო პოლიტიკა. ამჟამად არც კრიზისი, არც რევოლუცია და ორიენტაციის შეცვლა არ შეიძლება.

რაც შეეხება მთავრობის დათხოვნას პრეზიდენტის მიერ, ეს უარყოფით შედეგს გამოიღებს. სხვათა შორის, ცუდად გაიგეს ჩემი მოთხოვნა პარლამენტის დათხოვნის თაობაზე. იმ ვითარებაში მიმაჩნდა, რომ პოლიტიკურ დარტყმაზე პრეზიდენტს სწორედ ასეთი პოლიტიკური დარტყმით უნდა ეპასუხა. ეს იქნებოდა სწორედ დემოკრატიული უფლებების ბალანსი და განაწილება. მაგრამ ახლა, როცა ყველაფერი სხვაგვარად შეტრიალდა და ხალხმა მზადყოფნა გამოხატა, სულაც არ არის საჭირო უაზრო პოლიტიკური გართულებები.

ევროკავშირთან ძალზე მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები დაიწყო. რუსეთთან მიმართებაში სახიფათო პერიოდია, საჭიროა დავუბრუნდეთ მოლაპარაკებებს, რათა არაფერი შეიცვალოს სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით. ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის, უფრო აქტიურად ჩაებას კონფლიქტების მოგვარებაში. ამის ფონზე არ არის აუცილებელი საქართველოს საშინაო პოლიტიკის სისუსტე დაინახონ.

***— როგორ გესახებათ რუსეთთან მომავალი ურთიერთობა? რას უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი?***

— რუსეთთან დაწყნარებული პოლიტიკის მომხრე ვარ. მას აქვს თავისი სისუსტეები, თუნდაც ის, რომ პრობლემები შეექმნა ჩრდილოეთ კავკასიაში. აქედან გამომდინარე, ხელს არ უნდა აძლევდეს საქართველოში რაიმე დესტაბილიზაცია, პირიქით — უნდა აინტერესებდეს კონფლიქტების მოგვარება. მაგრამ საამისოდ აუცილებელია დიალოგი.

ამ წლის ბოლომდე დაიგეგმა პუტინის ჩამოსვლა. ვფიქრობ, ასეც მოხდება, მაგრამ მომავალ წელსაც იგივე უნდა განმეორდეს, რადგან სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

რუსებს უნდა დაველაპარაკოთ, შესაბამისად — ამერიკელებსაც და ევროპასაც, რომ მათ ყველამ საქართველოსა და კავკასიაში მონახონ საკუთარი ინტერესი. ეს კი მიიღწევა მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით.

***— თქვენ ხან პრორუსულ პოლიტიკას გაბრალებენ, ხანაც — პროდასავლურს, ისიც თქვეს, რომ კრემლიდან დაიგეგმა თქვენი განთავისუფლება. მავანი ამის მიზეზს ამერიკაშიც ხედავს... თქვენ თავად რას იტყოდით ამაზე?***

— მერწმუნეთ, იმდენად მნიშვნელოვანი არავისთვის არის საქართველო, რომ სადღაც ოთახებში ისხდნენ და გეგმავდნენ რაღაც კონსპირაციულ თეორიას. ყველა ქვეყანას აქვს საკუთარი პოლიტიკა, საკუთარი ინტერესები და აქედან გამომდინარე მოქმედებს.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა გვინდა და იმაზე კი არ უნდა ვფიქრობდეთ, რომელი ქვეყანა რას აპირებს. მთავარია ვიცოდეთ, რა არის აუცილებელი სტაბილურობისა და მომავლისათვის.

***— ქალბატონო სალომე, ისევ თქვენს განთავისუფლებას მივუტრიალდეთ. ამბობენ, რომ მომხდარში არანაკლები როლი შეასრულა პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან ქალურმა შურმა. თქვენ ამას გრძნობდით?***

— ამ ადამიანმა რამდენჯერმე უშუალოდ შემომიტია და გამაკრიტიკა. ეს გრძნობაც არ არის, ფაქტია! გადახედეთ ჟურნალ-გაზეთებს და ამაში დარწმუნდებით. დარწმუნდებით იმაშიც, რომ მე პიროვნულად არავისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია. შესაძლოა პიროვნული მომენტებიც იყოს, ქალური შური... მაგრამ მე რომ არავის მიმართ შური არ მამოძრავებდა, ფაქტია.

***— თითქოს პრეზიდენტიც განგიდგათ. მაინც როდის იგრძენით პირველად, რომ აღარ გიცავდათ?***

— ამ გადასახედიდან რომ ვუკვირდები და სხვადასხვა ეპიზოდს ვიხსენებ, ვგრძნობ, მისი არცერთი მხარდაჭერა სიმტკიცით არ გამოირჩეოდა.

***— როგორ გგონიათ, რა იყო საამისო მიზეზი და ეთანხმებით თუ არა საზოგადოებაში გავრცელებულ აზრს, რომ პრეზიდენტიც და პარლამენტის თავმჯდომარეც თქვენი სახით კონკურენტს ხედავდნენ?***

— არ ვიცი, ვერ გეტყვით. ვფიქრობ, უფრო ბოლო დროს დაიძაბა ვითარება, როცა პრეზიდენტს მის ირგვლივ შეკრებილნი რაღაცას აწვეთებდნენ და ეჭვი დაბადეს ჩვენს ურთიერთობაში. ეს ადამიანები კარგად იცნობდნენ პრეზიდენტის ფსიქოლოგიას და შესაძლოა რაღაც გამოიგონეს. მე ვიყავი პრეზიდენტისთვის ალბათ ყველაზე ლოიალური მინისტრი, რომელსაც არ უნდოდა სხვა არაფერი, იმის გარდა, რისთვისაც მოვედი. ეს მომენტი შესაძლოა იყო.

თუმცა ახლა ჩემთვის ეს თემა საინტერესო აღარ არის. იქნებ კარგიც არის, რომ ასე მოხდა და პოლიტიკურ მოძრაობაში აღმოვჩნდი. თუმცა გარწმუნებთ, ამაზე არასოდეს მიფიქრია. ჩემი შვილი დაგემოწმებათ, რომ სულ ვამბობდი, პოლიტიკა არ მაინტერესებს-მეთქი, რადგან ჩემს სფეროდ არ ვთვლიდი. თუმცა საგარეო ურთიერთობები ყოველთვის მაინტერესებდა. პოლიტიკაში ჩართვა კი არასოდეს მინდოდა, არც საფრანგეთში ყოფნის ჟამს, სადაც თავისუფლად შემეძლო ნებისმიერ პარტიაში შესვლა.

მაგრამ ახლა რაც მოხდა, სიტუაციამ მოიტანა და სულაც არ ვნანობ, რადგან ხალხმა უზარმაზარი ნდობა გამომიცხადა. მათ ენერგიასა და სურვილზე კი უარის თქმა არ შეიძლება.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი.**

⊙ მეზობლებთან

# აზერბაიჯანი — არჩევნების მოლოდინში

## ძალაუფლებისათვის ბრძოლა მწვავდება

**საქართველოსა და უკრაინაში გაყალბებული არჩევნების შედეგად მომხდარი ხავერდოვანი რევოლუციების შემდეგ, საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში დაგეგმილი საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნები მმართველი რეჟიმების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. რევოლუციის ექსპორტი მმართველი რეჟიმებისადმი სერიოზულ საფრთხედ იქცა. ხავერდოვანი რევოლუციების ფონზე განსაკუთრებით გააქტიურდნენ ოპოზიციური მოძრაობები, რომლებთაც იმედი მიეცათ, რომ გაყალბებული არჩევნების შემდეგ, საკუთარ ქვეყნებში დემოკრატიული ტალღის აგორებას შეძლებენ და დემოკრატიისათვის ბრძოლაში დასავლეთის მხარდაჭერასაც მოიპოვებენ. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან უახლოესი არჩევნები აზერბაიჯანშია დაგეგმილი. 2005 წლის 6 ნოემბერს აქ საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება. ნავთობით მდიდარი აზერბაიჯანისადმი განსაკუთრებით დიდია დასავლეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერესი, რომლებიც არჩევნების მონიტორინგისათვის წარმომადგენლობითი დამკვირვებელთა მისიის გამოგზავნას აპირებენ.**

**აზერბაიჯანში** გამალებული წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობს. არჩევნებისათვის ემზადება, როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია. თუ, საქართველოსა და უკრაინაში ხელისუფლებამ არ იცოდა, ან უნარი არ ჰქონდა ოპოზიციის მიერ შემუშავებულ ახალ საარჩევნო ტექნოლოგიებს ადეკვატურად დაპირისპირებოდა, აზერბაიჯანის ხელისუფლება სხვების დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით, უკეთესად არის მომზადებული. ბოლო დღეებში აზერბაიჯანის ხელისუფლების განსაკუთრებული გააქტიურება იმაზე მიუთითებს, რომ ხელისუფლება ოპოზიციისათვის ძალაუფლების დათმობას არ აპირებს.

აზერბაიჯანის პოლიტიკური სპექტრი უაღრესად დაქსაქსულია. არჩევნებზე სახელისუფლო „იენი აზერბაიჯანის“ პარტიას მრავალფეროვანი ოპოზიცია დაუპირისპირდება. ოპოზიცია პირობითად რამდენიმე ნაწილად შეიძლება დაიყოს. არიან პარტიები, რომლებიც მხოლოდ დეკლარირებულად არიან ოპოზიციურები, რეალურად კი ხელისუფლების მიერ იმართებიან. ხელისუფლება, სავარაუდოდ, ამგვარ პარტიებს პარლამენტში რამდენიმე დეპუტატის „შეყვანის“ უფლებას მისცემს. მათი წინასაარჩევნო კამპანია ხელისუფლების „მოკრძალებული“ კრიტიკით გამოირჩევა.

აზერბაიჯანში ყველაზე შესამჩნევი პროდასავლური ოპოზიციაა. ამ მხრივ გამოირჩევა საარჩევნო ბლოკი „იენი სიასეთი“ (ახალი პოლიტიკა), რომელიც 2005 წლის 26 მარტს დაფუძნდა. თავიდან ბლოკს გარკვეულ წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ბოლო პერიოდში ისინი მეორე პროდასავლური ბლოკის, „აზადლიგის“ აქტიური საარჩევნო კამპანიის ჩრდილში მოექცნენ. გარდა ამისა, „იენი სიასეთს“ „აზადლიგთან“ შედარებით ნაკლებად განვითარებული პარტიული სტრუქტურა აქვს. მასში ძირითადად საზოგადოებისა და დასავლეთის პოლიტიკური წრეებისათვის ნაცნობი სახეები არიან გაერთიანებულნი. ბლოკი ძირითად აქცენტს აზერბაიჯანული საზოგადოებისათვის ავტორიტეტულ პიროვნებებზე აკეთებს და არა პოლიტიკურ პარტიებზე.

„იენი სიასეთის“ გამორჩეული ლიდერია ელდარ ნამაზოვი, რომელიც პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის მრჩეველი იყო საგარეო საკითხებში. მას დასავლეთის პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებში განსაკუთრებულ პატივს სცემენ. ბლოკის წარმატების შანსები მნიშვნელოვნად შემცირდა მას შემდეგ, რაც იგი დატოვა ერთერთმა ლიდერმა ლალა შოვქეთ გაჯიევამ, რომელიც წარსულში ჰეიდარ ალიევის სახელმწიფო მდივანი იყო. მან „იენი სიასეთის“ პასიური საარჩევნო კამპანიის წარმოების სტრატეგია არ გაიზიარა და ალიანსი „აზადლიგთან“ შეკრა. სუსტი პარტიული სტრუქტურისა და ცნობილი სახეების მიერ ბლოკის დატოვების შედეგად, „იენი სიასეთი“, სავარაუდოდ, ვერ შეძლებს ამომრჩეველთა ხმების საკმარისი რაოდენობის მიღებას.

ოპოზიციიდან გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი პროდასავლური ოპოზიციის წამყვან პოლიტიკურ ალიანს „აზადლიგს“ (თავისუფლება) აქვს, რომელიც საარჩევნო ბლოკად 2005 წლის 18 მარტს ჩამოყალიბდა. ბლოკში სამი წამყვანი ოპოზიციური პარტიაა გაწევრიანებული: „მუსავატი“, რომლის ლიდერია ისა გამბარი, აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის რეფორმატორული ნაწილი (ლიდერი ალი ქერიმლი) და დემოკრატიული პარტია (ლიდერი რასულ გულიევი).

ისა გამბარი 1992 წელს საპრეზიდენტო არჩევნებამდე პრეზიდენტის მოვალეობასაც ასრულებდა. 1993 წელს აზერბაიჯანში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა ჰეიდარ ალიევმა იგი მცირე ხნით დააპატიმრა კიდეც. 2003 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, სადაც ილჰამ ალიევმა გაიმარჯვა, მან ხმების 14 პროცენტი მიიღო.

ალი ქერიმლი დისიდენტური მოძრაობიდან მოდის. 1990-იან წლებში აზერბაიჯანის პრეზიდენტის აბულფაზ ელჩიბეის აპარატის უფროსი იყო. სახელმწიფო გადატრიალების და ელჩიბეის დამხობის შემდეგ ქერიმლი ოპოზიციონერი გახდა. იგი, ახალგაზრდა და ქარიზმატული ლიდერია. მის წინააღმდეგ ხელისუფლების განსაკუთრებული აგრესია იგრძნობა. მასმედია მას ზოგჯერ „აზერბაიჯანელ სააკაშვილად და იუშჩენკოდ მოიხსენიებს“.

„აზადლიგის“ მესამე ლიდერი რასულ გულიევია, რომელიც 1997 წლის შემდეგ აშშ-ში პოლიტიკურ დევნილობაში იმყოფებოდა. მას ბრალად ედება სახელმწიფო ქონების გაფლანგვა და თანამდებობის ბოროტად გამოყენება. საყურადღებოა, რომ სწორედ გულიევმა შეუწყო ხელი ჰეიდარ ალიევის ხელისუფლებაში დაბრუნებას, თუმცა შემდგომში გულიევის პოლიტიკურმა ამბიციებმა მისი ალიევების ოჯახთან დაპირისპირება გამოიწვია.

ის. მე-5 გვ.

⊙ ანაფორიანი სეპარატიზმი

# ახალი ათონი შეიძლება რუსულ ქრისტიანულ ცენტრად იქცეს?!

**ამას წინათ, როცა აფხაზეთში უპატრონოდ დარჩენილი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობაზე წერდა, ჩვენმა გაზეთმა მკითხველს აცნობა, რომ უახლეს მომავალში დაიწყება ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსის მასშტაბური და ძვირადღირებული სარესტავრაციო სამუშაოები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის ფედერაციის ივანოვოს ოლქის სახელმწიფო და ბიზნესტრუქტურები. რუსეთის საპატრიარქოს ახალი ათონის რუსულ ქრისტიანულ ცენტრად გადაქცევა სურს, საქმიანი წრეების მიზანი კი იქ მაღალი დონის ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნაა.**



ახლახან გამოჩნდა ცნობა, რომ აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ახალ ათონში კრება მოიწვია, რომელსაც ახალი ათონის მონასტრის წინამძღვარი, ე. წ. „სუხუმო-აბხაზსკაია“, ეპარქიის საბჭოს თანათავმჯდომარე, ბერმონაზონი ანდრია (ამპარი), ახალი ათონის სასულიერო სასწავლებლის რექტორი, კამანის მონასტრის წინამძღვარი, ეპარქიის საბჭოს წევრი, ბერმონაზონი დოროთე (დბარი), ქალაქის თავი და სხვა პირები ესწრებოდნენ. კრებაზე ახალი ათონისთვის ისტორიული ქალაქის სტატუსის მინიჭების საკითხთან ერთად, ქალაქის ადმინისტრაციის, ახალი ათონის მონასტრისა და მღვიმე-ნაკრძალის იურიდიული ურთიერთობის დამოწმების საკითხს განიხილავდნენ.

სხვათა შორის, ეს საკითხი ახალი ათონის ადმინისტრაციამ ჯერ კიდევ შარშან წამოჭრა მთავრობის წინაშე. ის მინისტრთა კაბინეტს სთხოვდა. ახალი ათონისთვის განესაზღვრათ დაცვის ზონები, დაედგინათ ქალაქის, მონასტრისა და მღვიმე-ნაკრძალის საკუთრების საზღვრები.

ცნობისათვის. ახალმა ათონმა (გუდაუთის რაიონი) ქალაქის სტატუსი 1987 წელს მიიღო. იქ აღმოჩენილია უძველესი კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი — ნეოლითის, ბრინჯაოს, ანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალა. პირველი საუკუნიდან შემონახულია ამ პუნქტის (ისტორიული დოკუმენტებით — ანაკოფიის) გამაგრებათა მთელი სისტემა — ციტადელი კოშკებით (ივერიის მთაზე). აღსანიშნავია ხუროთმოძღვრების ძეგლები: VIII-IX საუკუნის ერთფასადიანი ბაზილიკა და IX-X საუკუნეების სიმონ კანანელის ეკლესია. ახალი ათონის სიმონ კანანელის სამონასტრო კომპლექსი დაარსდა 1876 წელს, როგორც საბერძნეთის ათონის პანტელეიმონის რუსული მონასტრის განყოფილება. მისი მთავარი ნაწილია წმ. პანტელეიმონის ტაძარი. დგას ძველი დანგრეული ეკლესიის ადგილზე. აგებულია 1888-1900 წლებში ბიზანტიური ნიმუშების მიხედვით, პეტერბურგელი არქიტექტორის პროექტით. ახალი ათონის ტერიტორიაზე მდებარე, ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი კარსტული მღვიმე, რომლის ჯამური სიღრმე 183 მეტრია, ჯამური სიგრძე კი — 3285 მეტრი; შეისწავლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტმა. დამთვალიერებლებისთვის გაიხსნა 1975 წელს.

**სანდრო ალექსიძე**

⊙ ინფორმაცია

## პაპუაშვილი მოლაპარაკებებს აწარმოებს

**გარემოს** დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გიორგი პაპუაშვილი ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს.

სამუშაო შეხვედრა სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ მიმდინარეობს და მიზნად ისახავს საქართველოში ვიზიტად მყოფი დელეგაციისთვის სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტული მიმართულებების გაცნობას.

როგორც მინისტრი გიორგი პაპუაშვილი განმარტავს, ევროპის თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის დელეგაცია ქართულ მხარეს შესთავაზებს კონკრეტულ რეკომენდაციას, რის საფუძველზეც შემუშავებული იქნება ერთობლივი პროექტები. ამ პროექტის ფარგლებში კი ისინი მზად არიან სამინისტროს გაუწიონ როგორც ტექნიკური, ასევე მატერიალური დახმარება.

## სავალუტო ფონდის მისია კმაყოფილია

**გუშინ** საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის წარმომადგენელი ჯულიან ვერენგაუტი მიიღო.

როგორც შეხვედრის შემდეგ სავალუტო ფონდის მისიის წარმომადგენელმა ჟურნალისტებს განუცხადა, შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს 2005 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა და ასევე საუბარი შეეხო 2006 წლის ბიუჯეტის დაგეგმარებასაც.

როგორც ვერენგაუტი აცხადებს, იგი კმაყოფილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკური გუნდის საქმიანობით და ჯერა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქმიანობა და ბიუჯეტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას.

## ქართული კომპანიების სასარგებლოდ გადაწყდა

**ქართულ** სამშენებლო კომპანიებსა და „პი კაპაგ პეტროფაგს“ შორის არსებული ერთწლიანი დავა ქართული კომპანიების სასარგებლოდ გადაწყდა.

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა ნიკა ვაშაკიძემ განაცხადა, ქართულმა კომპანიებმა, რომლებმაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაში მიიღეს მონაწილეობა, მათ მიმართ არსებული დავალიანება მიიღეს, საბიუჯეტო გადასახადები დაფარეს და სახელფასო დავალიანებებიც გაისტუმრეს.



„ეს გადაწყვეტილება ხანგრძლივი ბრძოლის შედეგია. ქართულ კომპანიებს ამისთვის ორჯერ საპროტესტო აქციის გამართვაც დასჭირდათ“, — აღნიშნა ვაშაკიძემ.

ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა აღნიშნული დავის წარმატებისთვის დასრულებისათვის მადლობა გადაუხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ქვეყნის პრეზიდენტსა და „BP“-ის საქართველოს ხელმძღვანელს რიფ დიგინს.

ქართულმა სამშენებლო კომპანია „გეოტექმა“ და მისმა სუბკონტრაქტორმა 40-მა კომპანიამ, — თქვა მან, — „პი კაპაგ პეტროფაგისგან“ 10 349 000 ლარი მივიღეთ, აქედან ბიუჯეტში გადასახადების სახით გადახდილია 5 352 000 ლარი, ხოლო „გეოტექის“ სუბკონტრაქტორმა 40-ზე მეტმა სამშენებლო კომპანიამ 4 160 000 ლარი მიიღო.

## ვუსურვოთ „ოსკარის“ მიღება

**ცნობილი** ქართველი რეჟისორის ლევან ზაქარეიშვილის ფილმი „თბილისი-თბილისი“ „ოსკარზეა“ წარდგენილი. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელის მოადგილემ, კოტე ჩლაიძემ განუცხადა.

მისი თქმით, როგორც ცნობილია, ამერიკის კინოაკადემია გამარჯვებულს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან წარმოდგენილი 58 ფილმიდან მომავალი წლის დასაწყისში შეარჩევს.

„თბილისის-თბილისი“ მიმდინარე წელს კანის საერთაშორისო კინოფესტივალზეც იყო წარდგენილი და ფესტივალის 50 საუკეთესო ფილმის რიცხვში მოხვდა.

ინტერპრესნიუსი

## თანამშრომლობის ხელშეკრულებას აფორმებენ

**აფხაზეთში** ადიღეს დედაქალაქის, მაიკოპის მერი ნიკოლაი პივოვაროვი იმყოფება. მას სეპარატისტების პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი შეხვდა.

პივოვაროვმა ანქვაბს განუცხადა, რომ სოხუმი და მაიკოპი თანამშრომლობის ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ. ამ ინიციატივას ალექსანდრე ანქვაბი მიესალმა და განაცხადა, რომ აფხაზეთმა ადიღესთან ურთიერთობები კიდევ უფრო უნდა გააღრმავოს.

ნიკოლაი პიროვაროვმა ალექსანდრე ანქვაბს მაიკოპის გერბი და წიგნი, სახელწოდებით „ადიღეს მიწა“ საჩუქრად გადასცა. ამ შეხვედრას სოხუმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ასტამურ ადლეიბაც ესწრებოდა.

მედიანიუსი.

# მწერალი [illegible] ლიტერატურის [illegible]

[illegible] ეკა ლალანიძე



**იბეჭდება 1997 წლიდან.**

1998 წელს წიგნის მოყვარულთა კავშირის „ბესტსელერის" მიერ გამოცხადებულ კონკურსზე მოთხრობისათვის — „მე — ნეკა თითი" მიენიჭა III პრემია.

2000 წელს ბავშვთა უფლებების დაცვის ორგანიზაციამ UNICEF-მა II პრემია მიანიჭა მოთხრობისათვის „აქეთ მთვარე, იქით მზე".

2001 წელს გამოიცა მისი მოთხრობების პირველი კრებული.

*1. რას ფიქრობთ XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ტენდენციებზე?*
*2. გამართლებულია თუ არა წიგნის გადაქცევა კომერციისა და ბიზნესის საგნად? როგორ წიგნს ეყოლება მკითხველი მომავალში?*
*3. რა მიგაჩნიათ არსებით პრობლემად საქართველოსთვის?*
*4. როგორ აფასებთ ტრადიციულ კლასიკურ მწერლობას? რა შეგძინათ თქვენ, როგორც მწერალს? რომელია თქვენი სამაგიდო წიგნი?*
*5. რას ფიქრობთ ქართული ენის მიმართ მწერლის დამოკიდებულებაზე?*
*6. რაზე მუშაობთ ამჟამად?*

● **XXI საუკუნის** ქართული ლიტერატურის მახასიათებლებზე მსჯელობა ჯერ ნაადრევია, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ამ საუკუნემ მემკვიდრეობით მიიღო სამყაროს უკიდურესი გამძაფრებული აღქმის ტენდენცია, რადგან ადამიანის ყოფნის ნამდვილ საზრისად კვლავ თვითდამკვიდრება რჩება. იყო პერიოდი, როცა აღმოსავლეთი განსაზღვრავდა ქართულ კულტურას, ახლა კი — ევროპა. საკუთარი თავის ძიებით დაკავებული, გაუცხოებული ადამიანი დასავლური ლიტერატურის წამყვანი პერსონაჟია. ჩვენთანაც ასეა. გვინდა განვსხვავდებოდეთ არა მარტო სხვებისგან, არამედ საკუთარი თავისგანაც. სწორედ აქედან მოდის აზროვნების ბუნდოვანება, ხატოვანი გამონათქვამებით კეკლუცი პორნოგრაფიის აფიშირება, მიზანთროპული, აგრესიული განწყობა.

მოკლედ, კვაზი-მხატვრული ნაწარმოებები, როგორც მათ იური ლოტმანი მოიხსენიებს, მრავლად არის ქართულ ლიტერატურაში. საშიშია, თუ ასეთ ნაშრომებს ხელოვნების ნიმუშად შემოგვაპარებენ. თუმცა, საბედნიეროდ, ნამდვილი შედევრებიც იწერება და თანაც — არა ერთი. არიან ქართველი ავტორები, რომელთა ნაწარმოებები დროსაც გაუძლებენ და ლიტერატურულ ღირებულებებსაც შეინარჩუნებენ.

● **წიგნის** გადაქცევა კომერციისა და ბიზნესის საგნად? რატომ არა. რადგან არსებობს წიგნი, მისი გავრცელების ყველა ხერხი მისაღებია.

ვფიქრობ, მკითხველი ყველანაირ წიგნს ეყოლება, ისეთსაც კი, რომ წაიკითხავ და არაფერი რჩება თავში და გულში, თან ერთი სული გაქვს, როდის ჩაამთავრებ დანომრილ გვერდებს. თაობები განსხვავებულად აფასებენ ამა თუ იმ ნაწარმოებს. დღეს კლასიკად აღიარებული წიგნები, იყო დრო, სანაგვე ყუთში ადგილმიჩნეულებად მოიაზრებოდნენ. მაგალითად, კრიტიკოსები „ანა კარენინას" სენტიმენტალურ ბოდვად, „ანა ფრანკის დღიურს" კი გრძნობებისგან დაცლილ, უინტერესო წიგნად თვლიდნენ.

● **ახალს** არაფერს ვიტყვი, უბრალოდ გავიმეორებ, პრობლემა ჭეშმარიტი და ყალბი ხელოვნების ერთმანეთისგან გარჩევაა. ხელოვნების კრიზისი მარადიული თემაა. მოთხოვნები მის მიმართ იცვლება, თუმცა არსობრივად მაინც ისევ ისეთი რჩება, როგორიც წლების თუ საუკუნეების წინათ იყო.

მაშინებს ის განწყობა, რომ წიგნების უმრავლესობა მხოლოდ და მხოლოდ მკითხველის გართობას ითვალისწინებს. იგივეს გულისხმობს სატელევიზიო გასართობი გადაცემების მომრავლებაც. ეს არის არსებითი პრობლემა და ეს ტენდენცია კარგს არაფერს მოგვიტანს.

● **კლასიკურმა** ლიტერატურამ უპირველესად, ცოდნა შემძინა. ზღაპრებიდან კლასიკურ ლიტერატურაზე გადავედი. წიგნს დედა მირჩევდა. არ არსებობდა არანაირი შეზღუდვა და აკრძალული თემები. როცა პირველად წავიკითხე ნაბოკოვის „ლოლიტა", აბსოლუტურად არ გავულიზიანებივარ, რადგან ტექსტის ენამ, სტილმა ძალიან ჩამითრია და აღმაფრთოვანა.

სამაგიდო წიგნი არა მაქვს, თუმცა ძალიან მიყვარს ფოლკნერის „ხმაური და მძვინვარება", ორუელის „1984", კანეტის „სიბრმავე", ოთარ ჭილაძის პროზა და პოეზია. მათ დროგამოშვებით ვუბრუნდები კიდეც.

მწერლის დამოკიდებულება ქართული ლიტერატურისადმი, ვფიქრობ, არ შეიძლება აგდებული იყოს. არის ეტაპი, როცა მშობლიურ ლიტერატურას დროებით მიატოვებ და უცხოური გაგიტაცებს. ეს გზა მეც გამოვიარე. ახლა ისევ ვაჟას, მიხეილ ჯავახიშვილს ვფურცლავ.

● **კრიტიკოსები** ამბობენ, მომრავლდა სკაბრეზული ლიტერატურაო. მოდური თემები: ნარკომანია, პროსტიტუცია, მართლაც, ითხოვს სკაბრეზს. მაგრამ თუ მწერალი მხოლოდ ბილწსიტყვაობით ცდილობს დამკვიდრებას, ეს მისთვის წამგებიანია. სიტყვაკაზმული მწერალიც ღიმილს იწვევს ჩემში. სჯობს ენამ ბუნებრიობა არ დაკარგოს.

● **ამჟამად** მოთხრობების კრებულზე ვმუშაობ. დიდი ხანია არაფერი გამიკეთებია. ვნახოთ, რა გამოვა.

**ჩაიწერა**
**თამარ შაიშმელაშვილმა.**

**დროის სუნთქვა**

შენა ხარ ბოლმა,
წარმართულად ხარ შურიანი,
შენი იღბალი
რუსის ჩექმის პანჩური არი.

შენ ხარ ასკეტი —
სიყვარულის უარმყოფელი,
მოფერებისას არ გიყვარდა,
გძულდა სწორფერი.

აუღელვებლად, აღუძვრელად
სტოვებ მამულსა,
იქ, პატივს გცემენ,
სამშობლოდან გამოპარულსა.

მერე, იგონებ —
ვითომ, ვინმე გავიწროებდა,
ისიც არ იცი,
სიყვარული არ იწონება.

ვერ აღივსება ვერასოდეს
მადა ავგულის,
კი, კარგადა ხარ, —
სამშობლოდან გადაკარგული.

ისიც არ იცი,
რა ულმერთო ბედი გელის ხვალ,
იქ ხმას არა სცემთ
ერთმანეთს და
ბედნიერი ხართ.

შენი აღლუმი
არის შენივ მოძმის განკითხვა,
არასდროს ერთად
არ ვყოფილვართ,
მეტი რა გითხრა?

რაში გვჭირდება
ვინმეს მთები, ვინმეს ხედები,
ახლა, ურწმუნო „შტატებისკენ"
მივეხეტებით.

გიმზერ დაყოფილს,
ისე ვითარ ლექსის სტრიქონებს,
„ყველა სამშობლოს" დედა
რა ვთქვი,
რეებს ვიგონებთ.

ზევით და ქვევით,
გადმოღმა და მერე — გადაღმა,
რაც მთავარია,
წინაპართა ფესვი გადახმა.

ანდა ვის ახსოვს
წინაპართა სისხლის დუღილი?
სად დაიკარგა გულნატკენი
სიტყვა — „წუხილი".

# რა გადაგვარჩენს? — ერთად ყოფნა, ერთი მამული...

ხოლო აღდგომას,
ეკლესიის საკურთხეველში,
ურწმუნო კაცი, ლოცულობს და
ცისკენ ხელებს შლის.

თბილისელებო, გაიხარეთ,
წუთებს დავითვლი,
„ივერიის" წინ, ალყაში გვყავს
დიდი დავითი.



ადრე „ტროცკისტებს"
სამშობლოში არ აჩერებდნენ
დღეს, თბილისიდან ასახლებენ
აღმაშენებელს.

ვანგრევთ ქვეყანას
და ჯიუტად ვაქებთ შენებას,
მერე, ერთმანეთს
ვეკითხებით, —
რა გვეშველება?

— არც არაფერი,
ეს არს ჩვენი ბედისტრიალი,
სანამ სამშობლო არ გვექნება
ერთი, მთლიანი.

გირჩევ, გაჩუმდე,
არაფერი არ თქვა ნისიად,
რაც ვიორპირეთ,
ისიც, ისიც საკმარისია.

რა გადაგვარჩენს? —
ერთად ყოფნა, ერთი მამული,
უფალი ერთი,
ერთგულება და სიყვარული.

ილიას — ენა, მამული და
სარწმუნოება,
დავბადებულვართ
ქართველებად,
არცთუ მონებად.

რით ვერ გავიგეთ, —
საქართველო არის
უფსკრულთან,
არც გაიკაროთ, დაწერილი
წიგნი უგნურთა.

რით არ მოგწყინდათ, —
ცხრა მთა, ცხრა ზღვა
ცალკე წანწალი,
ხალხნო, შეერთდით,
რაღა დაგვრჩა, ალბათ, ცხრა წამი.

ყორნებთან ომში
დაუჭრიათ ვაჟას არწივი,
მიყვარს არწივი,
ის ჩიტივით არა, არ წივის.

**ჯანსულ ჩარკვიანი.**
**26 ოქტომბერი, 2005 წ.**

ეკა ლალანიძე

# კვირაში ორჯერ

**ჩვენ** ერთმანეთს კვირაში ორჯერ ვხვდებით. თითოეულ ჩვენგანს საკუთარი გასაღები აქვს და შეუძლია სურვილისამებრ, ნებისმიერ დროს მივიდეს იქ, თუმცა ასე არასოდეს ხდება. ვხვდებით საბითუმო აფთიაქის წინ, შუქნიშნის ბოძთან. ნაცნობი ნაცრისფერი ავტომანქანის გამოჩენისთანავე ვძაბავ ყურადღებას, რათა მოვასწრო ნელი სვლით მომავალი „ოპელის" კარის გამოღება, პალტოს კალთების აკეცვა, კაბინაში შეძრომა ისე სწრაფად, რომ მოძრაობის წუთიერი შეფერხებით გაღიზიანებულმა მძღოლებმა დამაყრუებელი სიგნალებით არ ამიკლონ, თან ნუგზარის კმაყოფილი ღიმილიც დავიმსახურო.

ჩვენ იქ ერთად დავდივართ ნაცრისფერი ავტომანქანით, რომელსაც მეტად მოხერხებული რბილტყავიანი სავარძლები აქვს და რომლითაც სიამოვნებით ვისეირნებდი ღამის, თუნდაც ჩაბნელებულ, მაგრამ მაინც ლამაზ, სევდით მონისლულ ქალაქში, რომელსაც აქა-იქ მაინც უცინის მორცხვად მბჟუტავი ნათურა. ხოლო თუ ვარსკვლავებიც იგიჟიანებენ თავებს, ქალაქი ხომ ქალწულივით იწყებს კეკლუცს და სქელ ნაწნავმტკვარში სურნელოვან ფიფქებად იბნევს ციმციმა ნაპერწკლებს. თუმცა მე ვიცი, რომ სურვილი იმიტომაც არის სურვილი, რომ კვლავ სურვილად დარჩეს და რომ ქალისა და კაცის ურთიერთობაში გარემოებებთან შეგუება ცხვირის ჩამოშვებასთან შედარებით უფრო მომგებიანია. ასე რომ, კომფორტულ ავტომანქანაში მჯდარი ვცდილობ დავტკბე იმ ხედის თვალიერებით, რომელიც ორი წელია მინაზე მიკრული ფირივით უცვლელი რჩება. ვეგუები ხედივით უცვლელ შთაბეჭდილებას, რომ დღის ქალაქი ისევე მოსაწყენია, როგორც ყოველდღიურად ერთი და იმავე საწოლის სწორება და თან რამდენიმე სეზონნნატარები ფეხსაცმელივით გაცვეთილი.



ნუგზარი გზად ან ნამცხვრის რამდენიმე ნაჭერს ყიდულობს, ყოველთვის ორ-ორ ერთნაირს, ან ნაყინსა და ფორთხოლის წვენს. სასმელი მაცივარშია. ყავაც, თანაც მუდმივად. არ ილევა არც ყავის მარაგი და არც სასმელი. ნუგზარს გული აწუხებს. არითმია თუ რაღაც ამის მსგავსი. ჩვენ იშვიათად ვწრუპავთ: ის არაყს, მე ლუდს. ცოტ-ცოტას. ისიც იძულებით, რადგან რომელიღაც საერო ან საეკლესიო დღესასწაული აუცილებლად ემთხვევა კვირის იმ ორი დღიდან ერთ-ერთს, როცა ჩვენ ქალაქის გარეუბნის ბლოკის კორპუსის მეექვსე სართულის ერთოთახიანში ვიმყოფებით ორი-სამი საათით. ვსხედვართ და ვისრუტავთ პირით სასმელს, ყურებით სიჩუმეს, თვალებით ერთმანეთის მდუმარე სახეებს. ეს ხდება სინათლის მოსვლამდე. ასე ვისვენებთ, ლიფტის მოშლის გამო მეექვსე სართულზე ფეხით ასვლით დატვირთვის განმუხტვის და ენერგიის აღდგენით გამართლებული ჩვენი დროებითი სიმშვიდისას მე ვფიქრობ კროსვორდების შეუვსებელ ლაბირინთებზე, ნუგზარი მანქანის ზეთზე. ან დოლარის მერყევ კურსზე. ნამდვილად ასეა და სრულიადაც არ მეპარება ეჭვი ჩემს ინტუიციურ მონაცემებში. სხვა რა უნდა გააკეთო?! ვსხედვართ და სინათლის მოსვლას ველოდებით. სინათლის ან ლამპის შუქზე კარტს ვერ ითამაშებ, ტელევიზორსაც ვერ უყურებ. მაგნიტოფონის ელემენტები კი უმრავლეს შემთხვევაში დამჯდარია, მათ დაჭყლეტაც ველარ უშველით, რადგან აუდიო კომაში ჩავარდნილივით ხრიალებს. ვსხედვართ, ვსვამთ. უფრო ხშირად ჩაის, ვეწევით სიგარეტს, ნუგზარს არ უყვარს ლაპარაკი, მოსმენა ურჩევნია. მამაკაცების უპირატესობა ხომ კარგად განვითარებული სასმენი ორგანოებია. ამიტომ თითქმის ყოველთვის მე ვმეტყველებ. ვუყვები ჩემი სამსახურის ამბებს. რაღაც-რაღაცეებს ვიტყუები კომიქსებში ამოკითხულის ინტერპრეტაციით. ვცდილობ გავართო, თორემ თუ მობეზრდება, შეიძლება გასაღები გამომართვას. მე კი კვირაში ორჯერ აქ სიარული მირჩევნია, არსად წასვლას. ზოგჯერ ტელეფონი რეკავს. სახეს თუ ძაბავს და ყვრიმალთან ნერვი უხტის, ესე იგი მისი ცოლია. ძირითადად სატელევიზიო გადაცემების პროგრამის, ან ჭურჭლის სარეცხი ჟელეს ყიდვას ავალებს. ნუგზარიც თანხმდება და გათიშულ მობილურს მაგიდაზე დებს. ისიც, მობილურიც, მწვანე თვალს მიკრავს და ბაასის გაგრძელების უფლებას მაძლევს.

 აი, უკვე ცხრამეტი და კიდევ ორი საუკუნე კვლავაც ნავთის ქურა. ღაღანებს „ფუჯიკი" და დაწითლებულ თითებს შამფურივით ვატრიალებ, თან ვცდილობ გავიხსენო რაიმე ბებიის მონაყოლიდან ნავთის ქურაზე, არაფერი გამომდის. ნავთისა და ნავთის ქურის ამბავი იმდენად ძველია, რომ ბებიებსაც კი აღარ ახსოვთ.

არც ისე იშვიათად გვშივდება კიდეც. სამზარეულოში გავდივართ. იქ მე ვლაპარაკობ, სიგარეტს ვეწევი, უზურგო სკამზე ჩამომჯდარი დროს არ ვკარგავ, კისრის ვარჯიშებს ვაკეთებ ტკაცატკუცით, თან ნუგზარს ვუყურებ, როგორ ჭრის ძეხვს, თქვეფს კვერცხს, აზავებს საწებელს. მერე ათუხთუხებული ტაფის სახელურს სვიტრის ჩამოწელილი მკლავის მეშვეობით ეჭიდება, დათუთქვას აცილებული ხელის მოქნილი მოძრაობით მაგიდაზე დგამს უცნაურ ტაფამწვარს, თითებზე სულს იბერავს და „ჩააქრე", — მეუბნება სიგარეტზე. ვჭამთ მადიანად. თუმცა ჩვენი ყბების ნელი და ხანგრძლივი მოძრაობა, თეფშებზე გასრიალებული დანა-ჩანგლის მცირე წკარუნი, ეთიკის ყველა ნორმის დაცვით სრულდება. ერთმანეთს ვეპრანჭებით...ყოველთვის მომწონდა მამაკაცები სამზარეულოში. ვჭამ და წამიერ ნაფიქრს ვულიმი: ჩვენ ორნი კვირაში ორჯერ კი არ დავდივართ ამ ბინაში, არამედ აქ ვცხოვრობთ საერთოდ. „რა კარგია", — ვაქებ მის ნახელავსა და ჩემს ნატვრას.



სააბაზანოში მორიგეობით შევდივართ. ცხელ წყალში ჩაწოლილი ნეტარებას დიდი ხნით ვერ ვეძლევი, რადგან კარზე კაკუნით მიხმობს და მეც აბაზანიდან იძულებით ამომძვრალი, ნახევრად მშრალი თბილ ქვეშაგებში შეკუნტვით ველი სურნელოვან ქაფში მისი ჯერი ჭყუმპალაობის დასასრულს. „უსაფრთხო სექსი", ამბობს ნუგზარი ქაღალდის გახევისას ერთი და იმავე ტონით. სექსი პრეზერვატივით. აუტანელია. მაგრამ ისე ვიქცევი, როგორც მას სურს, შეხვედრამდე ვყიდულობ ერთი-ორს იქვე აფთიაქში და ხელჩანთაში ვინახავ დროებით, გამყიდველი გოგონა ჩემი დანახვისთანავე უთქმელად ირჯება, დახლის ქვედა თაროდან გამოღებულ ზუსტად იმ რაოდენობას მაწვდის, რაც მინდა. მეც ყოველთვის მზად მაქვს ფული, ისე, რომ ხურდის დაბრუნებაზე წვალება არ მოუწიოს. უხერხულია. ადრე, ბავშვობაშიც ვყიდულობდი ასეთ ჭრაჭუნა ქაღალდში გახვეულს, ოღონდ ის საღეჭი რეზინი იყო, აფთიაქის მაგიერად გასტრონომის მოხუცი გამყიდველისათვის მიწევდა ხურდის მიწოდება და ეს ორი გამყიდველი ისევე არ ჰგავს ერთმანეთს, როგორც ჩემი წარმოსახვა და ჩემივე ცხოვრება, რომლებიც წარმატებით ახერხებენ ურთიერთდანესტვრას.



„შენთან ვიგრძენი თავი ნამდვილ ქალად", — აი, ფრაზა განკუთვნილი ნუგზარის თვითკმაყოფილებისათვის. და სულაც არ მრცხვენია, რომ ვიტყუები. სიცრუე საჭიროა, რათა კარგად გამოიკეტო საკუთარ თავში და მსუსხავი კითხვებით არ შეგაწუხონ. თუმცა, არა მარტო ის, შენც კარგად ხარ მოკალათებული. საფერფლეში უკვე არაფრისმომცემ სიგარეტის ნამწვსა და დარდს ერთდროულად სპობ. დაკლაკნილი ემბრიონივით ყრია გამჭვირვალე ბროლის თასში და რომ ამჩნევ, თავადაც კმაყოფილი ხარ, რადგან უპენსიო სიბერე გაზეთებისა და ათას ერთი წვრილმანის გაყიდვით შენ არ გემუქრება. ჯერ კიდევ კარგად ხარ, შუაღამით არ გეღვიძება, ხელები არ გიბუჟდება. არც უნებლიე ნერწყვით ასველებ. იმედებით ამოხორხლილ ტვინს კოხტად დავარცხნილი თმის ქვეშ მალავ და ცხოვრების შარა-შუკები კი არა, ახალ გაუთოებულ-გაპიწკინებული გზატკეცილები გიღიტინებს ქუსლებზე.

კვირაში ორჯერ, საღამო ხანს ნუგზარი სიმეტრიული სიზუსტით გადანაწილებულ ამბორს სხეულზე მიტოვებს და ჩემს მუცელზე თავჩამოდებული თვლემას იწყებს. მე თითებს დავუცურებ თმაში და ვისმენ ფშუილითა და ტუჩების ცმაცუნით დადასტურებულ მის ნახევარსაათიან ძილს. ამ ბინაში კედლები ძალიან თხელია. სამზარეულოს კედლის საათის რეკვა თავისუფლად აღწევს ჩვენამდე. ბომ, ბომ, ისე ომახიანად რეკავს, თითქოს საუკუნეებს გამოღწეული ბერიკაცი იყოს. არადა, ერთი ციდა, თეთრი პლასტმასის თხელი და მსუბუქი ჩინური საათია. ერთი ან ორი წლის თუ იქნება. ზარების რაოდენობა გვაგებინებს, როდის გვაგვიანდება. ვისურვებდი, რომ ეს ბინა სქელკედლებიანი ყოფილიყო, ან ეს საათი გაჩერდებოდეს მაინც... ვიცმევთ აჩქარებით, ჩავრბივართ კიბეებზე, ვსხდებით ნაცრისფერ „ოპელში" და გზაში მე აღარ ვლაპარაკობ. ისევ აფთიაქის წინ, შუქნიშნის ბოძთან ჩამოვდივარ და შინ ვბრუნდები.

ჯიბეებში ხელები, საყელოში ცხვირ-პირჩაყოფილი სახლისკენ ფეხით მიმავალი ხანდახან მაინც ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ არ მინდა ნუგზარის ცოლის ნახვა და როგორ მინდა ის ქალი ჩემზე ბევრად ლამაზი იყოს, რადგან დამტანჯავდა იმის გაგება, რომ ყოველთვის მასთან ბრუნდება.

მივდივარ და ვფიქრობ. მივდივარ და ვფიქრობ.

მერე მბეზრდება სევდიანობა.

მივდივარ და აღარ ვფიქრობ.

დღევანდელი შეხვედრით ნასიამოვნები მესამეკლასელივით ასკინკილით ვიწყებ მოძრავ ფილებთან კლასობანას თამაშს.

შინ ვბრუნდები.

# დღეს თბილისის შუაგულში ჩვენი მეფე სათავეანო!..

**ეძღვნება მერაბ ბერძენიშვილს**



1.
წინაპარი ქართველი გვავს, შენი ენა ქართულია,
ასოებად სასოება სულში ამოხლართულია.
ამ ენაზე რასაც იტყვი, სხვა ენაზეართქმულია.

ტკბილი არი საქართველო, მაგრამ მისი გზა
რთულია,
არა ხმინავს, არა ხმინავს, ფეხზე წამომართულია.
იცის, იცის საქართველომ, რა მორევში ჩართულია...

სალ კლდეებზე ბილიკები ახვეულა, დახვეულა,
ბეწვის ხიდზე გაიარა რა ელვამ და რა ხშეულმა.
ხეობიდან ხმა ამოდის, არ ითქმება ნახმეურად.

დაბლა გუთნით მოხნულ მიწას ზვრები
შემოერთებია,
ასი წლის წინ ღვინო წურეს, მისი მალით დღეს
თვრებიან.
მაღლა, მეინვარწვერის მირას, მთებია და ბეთლემია.

გადახედე მუხის ტევებს, ე რა ჯმუხი მუხებია,
ერთმანეთთან საიმედოდ მხრები გადაუხვევიათ...
დედამუხის წასაქცევად წამოსულ ქარს უხვდებიან.

ხალხი ამბობს, მუხის მოთხრას რა ამაოდ
ცდილობენო,
ბუდეები ტოტებშუა ქანაობს და ვინ მობელოს.
— შენი თბილი უბე-კალთა დააფარე,
ღვთისმშობელო!

2.
ნემსის ყუნწში გზა მიმვრება და კლდეები ახურია,
კლდეში მღვიმე გაუჭრიათ, განა, მართლა გახრულია?
წინაპარმა წარბი გახსნა — მისი თვალის ფახულია.

ქართვლის ვარამს წერენ, მუხლზე ხარის ტყავი
გაუშლიათ,
პერგამენტი გადაიწერს ანაფორის გაბმულ შრიალს...
საქართველო მტერს ებრძვის და თორ-აბჯრების
ხმაურშია.

საყდრის ჩრდილში ბერი ოხრავს, მისი ოხვრა
გულწრფელია,
სველ კედლებზე ჭრაქის პარპალს ჩრდილი
გადაურწევია.
უწერია ჭირის დღეზე, სიხარულზეც უწერია.

...ბუკ-ნაღარებს ჩაჰბერეს და დიდგორიდან
მიდის ჯარი
იქით, სადაც თბილისია და მეტეხთან ხიდი არი...
ჯარმა მტკვარი გამოჭრა და გამოქანდა წინ სიჩქარით.

მთაწმინდის ქვეშ გორებია, ერთს აირჩევს მაღლე
მათგან,
და ქურანი გაქროლილი შეჩერდა და ყალყზე დადგა,
დავით აღმაშენებელმა მოისურვა ასე რადგან...

ელვა რისი ელვა არი, ხალხს ეს წამი არ ახაროს...
უნდა ხელზე ეამბორონ, გულზე ვარდი დააყარონ:
დგას თბილისის შუაგულში ჩვენი მეფე სათაყვანო!

დგას თბილისის შუაგულში დავით აღმაშენებელი,
ცხრაასი წლის წინათ ჩორთით ჩამოქროლილ
მერნებს ელის,
მუხას მუმლი ეხვევა და მუხისა აქვს მეფეს ხელი...

დარდიანმა თბილმა შუქმა გადიარა ქვებზე მშვიდად,
არ ეგონათ, შეხედეს და მხედრებს გული შეუშინდათ:
საქართველოს დიდი მეფე ბრინჯაოშიც ბეჭებს შლიდა!

* * *

საქართველოს დიდო დღეო, მოშუქდი და დაიჯერე,
არ გეგონოს, არ ხედავდნენ ღვთის კურთხევით
დაღვრილ ფერებს.
ღვთის კაცები ჩრდილში დგანან და ჩანგები
მაინც ჟღერენ...

**ვასილ გვეტაძე.**
**27 X. 05 წ.**

№ 250. პარასკევი. 28 ოქტომბერი. 2005 წელი.

მეზობლებთან

# აზერბაიჯანი არჩევნების მოლოდინში -

## ძალაუფლებისთვის ბრძოლა მწვავდება

(მესამე გვერდიდან)

ბოლო დღეებში აზერბაიჯანში განვითარებული მოვლენები რასულ გულიევის სახელს უკავშირდება. 17 ოქტომბერს გულიევი დიდი ხნის განშორების შემდეგ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად სამშობლოში ბრუნდებოდა, სადაც მას აზერბაიჯანელი სამართალდამცავების განცხადებით დაპატიმრება ელოდა. „აზადლიგმა" ბაქოს აეროპორტში გულიევის დასახვედრად მობილიზაცია გამოაცხადა, მაგრამ ხელისუფლებამ ოპოზიციური მოძრაობის გააქტიურების თავიდან ასაცილებლად აეროპორტისა და სხვა სტრატეგიული ობიექტების დაცვა გაამკაცრა. დააკავეს „აზადლიგის" აქტივისტები, გულიევის თვითმფრინავს კი აეროპორტში დაშვების ნებართვა არ მისცეს. გულიევის თვითმფრინავი უკრაინაში დაეშვა, სადაც რამდენიმე დღით იგი დააკავეს, თუმცა მოგვიანებით გაათავისუფლეს. ამჟამად გულიევი დასავლეთის ქვეყნებში მოგზაურობს და პოლიტიკურ წრეებთან შეხვედრებს მართავს. მისი განცხადებით, საარჩევნოდ იგი ბაქოში აუცილებლად დაბრუნდება. ხელისუფლება მას განსაკუთრებით უფრთხის, რადგან გულიევს აქვს როგორც ფინანსური შესაძლებლობები, ისე მოსახლეობის ნაწილის მხარდაჭერა. აღსანიშნავია, რომ იგი ნახიჭევანის კლანიდან არის, როგორც ალიევების ოჯახი.

„აზადლიგი" ოპოზიციური პარტიებიდან ყველაზე აქტიურ საარჩევნო კამპანიას აწარმოებს. მან უკვე ჩაატარა რამდენიმე მიტინგი ბაქოსა და რეგიონებში. ყველა ოლქში წარდგენილი ჰყავთ საერთო კანდიდატები. ბლოკის სტრატეგია ხელისუფლებასთან აშკარა დაპირისპირებაზე წასვლაა, რის გამოც „აზადლიგი" მიტინგების ბაქოს ცენტრალურ ადგილებში ჩატარებას ცდილობს, რის სანქციას ხელისუფლება არ იძლევა. ამის გამო, უკვე რამდენჯერმე დაარბიეს ბლოკის მიერ ჩატარებული მიტინგები.

აღსანიშნავია, რომ „აზადლიგმა" ბლოკის წინასაარჩევნო სიმბოლოდ ნარინჯისფერი აირჩია, რაც „აზადლიგზე" უკრაინული ნარინჯისფერი რევოლუციის გავლენაზე მიუთითებს. ბლოკის წევრები მიტინგებზე ნარინჯისფერ აქსესუარებს იყენებენ და ამ ფერის დროშებით არიან აღჭურვილნი. ხელისუფლებისათვის ნარინჯისფერი ოპოზიციის რევოლუციური გეგმების მანიშნებელია.

ბლოკის ლიდერებს დასავლეთის სერიოზული მხარდაჭერა აქვთ, რადგან ისინი ხელისუფლების ერთ-ერთ ალტერნატიულ ძალად მოიაზრებიან. წინასაარჩევნოდ ბლოკის ლიდერები ისა გამბარი და ალი ქერიმლი სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფისა და ანალიტიკური ცენტრების მიწვევით არაერთხელ იმყოფებოდნენ დასავლეთის ქვეყნებში. ამ შეხვედრებზე გამბარი და ქერიმლი არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების აუცილებლობას უსვამდნენ ხაზს. ამ საკითხში მათ დასავლური ინსტიტუტების სრული მხარდაჭერა აქვთ. არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების შემთხვევაში „აზადლიგს" ხმების 30-35 პროცენტის მიღებას უწინასწარმეტყველებენ.

ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფების გარდა, აზერბაიჯანში ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მუშაობენ ახალგაზრდული ორგანიზაციები. ახალგაზრდული ორგანიზაციების მნიშვნელობა საქართველოსა და უკრაინის ხავერდოვანი რევოლუციების დროსაც დადასტურდა. ამ მხრივ აზერბაიჯანში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციები თავისი გაქანებით ბევრად ჩამოუვარდებიან თავის ქართველ და უკრაინელ კოლეგებს, თუმცა მათი არსებობა მიუთითებს, რომ ოპოზიცია არჩევნებისთვის სერიოზულად ემზადება. აზერბაიჯანში ამჟამად რამდენიმე ასეთი ორგანიზაცია მოქმედებს: „იოხი", „ნარინჯისფერი მოძრაობა", „იენი ფიქირი".

თავის მხრივ ხელისუფლებაც აცნობიერებს ამგვარი ახალგაზრდული ორგანიზაციების ძალას. ამა წლის აგვისტოში, აზერბაიჯანელმა ძალოვანებმა დააკავეს „იენი ფიქირის" ლიდერი რუსლან ბაშირლი, რომელსაც სომხეთის სპეცსამსახურებისაგან ფულის აღებასა და აზერბაიჯანში რევოლუციის დაგეგმვას აბრალებენ. ბაშირლის დაკავებით ხელისუფლება აზერბაიჯანული საზოგადოების თვალში ოპოზიციურ პარტიებთან დაკავშირებული ახალგაზრდული ორგანიზაციების დისკრედიტირებას შეეცადა. საყურადღებოა, რომ ბაშირლის საქმიანობა „აზადლიგის" ლიდერის ალი ქერიმლის სახელს დაუკავშირეს.

ოპოზიციის გააქტიურების ფონზე, ხელისუფლება ძალაუფლების შესანარჩუნებლად რადიკალურ ნაბიჯებს დგამს. აზერბაიჯანელი ექსპერტების განცხადებით, ილჰამ ალიევი სუსტი პოლიტიკური ლიდერია და მასზე გავლენას სხვები ახდენენ. ამ მხრივ გამორჩეული ადგილი უკავია პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს რამიზ მეჰთიევს. მეჰთიევი ჰეიდარ ალიევთან დაახლოებული პირი იყო და მას მასმედია აზერბაიჯანული პოლიტიკის „რუხ კარდინალად" მოიხსენიებს. წლების განმავლობაში დაგროვილი პოლიტიკური და ფინანსური კაპიტალი მას აზერბაიჯანის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურად აქცევს. იგი აზერბაიჯანის ხელისუფლებაში წარმოდგენილი „ძველი გვარდიის" ლიდერია.

რამიზ მეჰთიევის მოკავშირეა საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარე ქიამალედინ გეიდაროვი, რომელიც რამდენიმე თვის წინათ ჩატარებული ერთ-ერთი გამოკითხვის მიხედვით, აზერბაიჯანის უმდიდრესი ადამიანია. მეჰთიევისა და გეიდაროვის ალიანსი ძალაუფლების ნებისმიერი მეთოდით შენარჩუნებაზეა ორიენტირებული. ამ მიზნის მისაღწევად არჩევნების გაყალბება მათი ერთ-ერთი ინსტრუმენტია.

ისინი თავის მოკავშირეებთან ერთად ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მიმართ განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩევიან. რასულ გულიევის აზერბაიჯანში დაბრუნების საფრთხემ ხელისუფლების რადიკალური ფრთა უფრო გაააქტიურა. მათ დაინახეს (თუმცა, ასეთი ეჭვები ადრეც არსებობდა), რომ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ფარულად თანამშრომლობდა ოპოზიციასთან. გავრცელებული მოსაზრებით, ეკონომიკური განვითარების მინისტრი ფარხად ალიევი ერთ-ერთი ასეთი მთავარი ექვმიტანილია. იგი წლების განმავლობაში დაპირისპირებული იყო საბაჟო კომიტეტის ხელმძღვანელთან. „ძველი გვარდიის" ლოგიკით, რასულ გულიევი აზერბაიჯანის ხელისუფლების გავლენიან ფიგურებთან თანამშრომლობის გზით, ხელისუფლების ძალით დამხობას გეგმავდა. ამიტომაც, პრევენციის მიზნით, 19 ოქტომბერს თანამდებობიდან გაათავისუფლეს, შემდეგ კი დააპატიმრეს ფარხად ალიევი. მისი ძმა, „აზპეტროლის" ხელმძღვანელი ნაფიკ ალიევი კი აეროპორტში დააპატიმრეს. შემდგომ დღეებში სამართალდამცავები ფარხად ალიევის ოჯახის კუთვნილ კომპანიებში შევიდნენ, სადაც მათი განცხადებით უამრავი დარღვევა და ოპოზიციის დასაფინანსებლად გამოყოფილი დიდი ოდენობით თანხა აღმოაჩინეს.

ფარხად ალიევის გარდა, დააპატიმრეს ჯანდაცვის მინისტრი ალი ინსანოვი, რომელიც აზერბაიჯანის ერთ-ერთი უმდიდრესი და გავლენიანი ადამიანი იყო. ინსანოვი იერაზის კლანის, ანუ სომხეთიდან ემიგრირებული აზერბაიჯანელების არაფორმალური გაერთიანების ლიდერად ითვლებოდა. ჰეიდარ ალიევი თავისი პრეზიდენტობისას ორ კლანს, ნახიჭევანისა და იერაზის კლანს ეყრდნობა. მათ შორის ბალანსირების პოლიტიკა მამა ალიევის მმართველობისათვის დამახასიათებელი ნიშანი იყო. შვილი ალიევის პერიოდში კი იერაზის კლანის წევრების შევიწროება დაიწყეს. ინსანოვის დაპატიმრება, სავარაუდოდ, ნახიჭევანის კლანის მიერ იერაზის კლანის წევრებისაგან ხელისუფლების გაწმენდის დასაწყისი უნდა იყოს.

გარდა ამისა, თანამდებობიდან მოხსნეს ან დააპატიმრეს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების მაღალჩინოსნები, რომლებსაც ხელისუფლების განცხადებით, სახელმწიფო გადატრიალების ცდაში ედებათ ბრალი. მსგავსი დაპატიმრებები ყოველდღიურად მიმდინარეობს.

წინასაარჩევნოდ, ხელისუფლების შიგნით „არასანდო" პირების ჩამოშორება ნათლად მიუთითებს, რომ ილჰამ ალიევის გარემოცვაში მყოფი „ძველი გვარდია" ძალაუფლების დათმობას არ აპირებს. ამისათვის, ისინი არა მხოლოდ ოპოზიციონერ პოლიტიკურ ფიგურებს, არამედ ხელისუფლების მაღალჩინოსნებსაც არ ინდობენ. მოვლენების ამგვარი განვითარების პირობებში, 6 ნოემბრამდე ვითარება კიდევ უფრო გამწვავდება, რაც აზერბაიჯანში შიდა სტაბილურობის თვალსაზრისით, სერიოზულ პრობლემებს შექმნის.

**მამუკა მკურნალიძე**
**პოლიტოლოგი**

# ირანის პრეზიდენტმა ისრაელი და დასავლეთი განარისხა

**დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აპირებს ოფიციალური ფორმით განუცხადოს**




**პროტესტი ირანის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ისრაელის სახელმწიფოს თაობაზე ამ ქვეყნის პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმადინეჯადის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით.**

„მსოფლიო სიონიზმის გარეშე" თეირანში გამართულ კონფერენციაზე ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საჭიროა „პირისაგან მიწისა აღიგავოს" ებრაული სახელმწიფო.

ამასთან დაკავშირებით, ლონდონში ირანის საქმეთა რწმუნებულს გამოიძახებენ შეერთებული სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. საგარეო-პოლიტიკური უწყების მიერ გაკეთებულ წინასწარ განცხადებაში, ხაზგასმულია, რომ ირანის პრეზიდენტის სიტყვები „ამაზრზენი და ძალზე შემაშფოთებელია".

ირანელი ელჩებისგან ახსნა-განმარტების მიღება სურთ ასევე საფრანგეთის, ესპანეთისა და კანადის საგარეო-პოლიტიკურ უწყებებში, შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წარმომადგენელმა სკოტ მაკკლელანმა კი განაცხადა: „აჰმადინეჯადის ნათქვამი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რასაც შეერთებული შტატები ამბობდა ირანის რეჟიმის შესახებ. ეს განცხადება კიდევ უფრო დიდ შეშფოთებას გვინერგავს ბირთვულ სფეროში ირანის მოქმედების გამო".

ისრაელმა ირანის პრეზიდენტის ასეთ გამოხდომას უპასუხა ვიცე-პრემიერის შიმონ პერესის მიერ გაკეთებული განცხადებით, რომელმაც გამოთქვა წინადადება გაეროს შემადგენლობიდან ისლამური რესპუბლიკის გარიცხვის შესახებ. გარდა ამისა, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა სილვან შალომმა აღნიშნა, რომ თეირანი „უშუალო და აშკარა საფრთხეს ქმნის".

„არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ირანი ცდილობს ბირთვული იარაღის დამზადებას, — თქვა შალომმა იერუსალიმში თავის რუს კოლეგასთან სერგეი ლავროვთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე. — ჩვენი აზრით, ირანი ცდილობს დროის მოგებას იმ მიზნით, რომ შექმნას ბირთვული ბომბი".

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, მკვეთრი განცხადებები არაერთხელ გაკეთებულა ირანის საზოგადოებრიობის მასობრივი გამოსვლების დროს, მაგრამ ასეთი მაღალი რანგის პოლიტიკურ მოღვაწეს მსგავსი რამ ჯერ არ უთქვამს ამ ბოლო წლების განმავლობაში.

ირანის პრეზიდენტმა გააფრთხილა იმ მუსლიმანური ქვეყნების ხელმძღვანელები, რომლებმაც ისრაელი ცნეს, რომ მათ „მოუწევთ პასუხი აგონ თავიანთი ხალხების წინაშე". „ყველა, ვინც აწერს ხელს ხელშეკრულებას ისრაელის სახელმწიფოს აღიარების შესახებ, აწერს ხელს მუსლიმანური სამყაროს კაპიტულაციას", — დასძინა ირანის ლიდერმა.

# აშშ სადაზვერვო სამსახურებს საზღვარგარეთ დემოკრატიის განმტკიცება უბრძანეს



**ამერიკის დაზვერვა ამიერიდან ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად, საზღვარგარეთ დემოკრატიის განმტკიცებისთვისაც იბრძოლებს. ასეთი ამოცანა უკვე შედის შეერთებული შტატების სადაზვერვო სამსახურების ახალ სტრატეგიაში, განაცხადა ამერიკის ეროვნული დაზვერვის მეთაურმა ჯონ ნეგროპონტემ.**

ამერიკის დაზვერვის ახალი დოქტრინა ჩამოყალიბებულია 20-ფურცლიან მოხსენებაში, რომელიც ითვალისწინებს ამ სპეცსამსახურების რეფორმირებას.

ნეგროპონტეს აზრით, მომავალი გარდაქმნების დროს, უნდა გაითვალისწინონ 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში განხორციელებული ტერაქტების, აგრეთვე, ერაყში შეჭრის წინ ამ არაბულ ქვეყანაში მასობრივი განადგურების იარაღის წარუმატებელი ძებნის დროს დაშვებული შეცდომები.

ამასთან, აღნიშნა შეერთებული შტატების ეროვნული დაზვერვის ხელმძღვანელმა, „სადაზვერვო სამსახურებისთვის კვლავ უმნიშვნელოვანეს მისიად რჩება ტერორიზმის დამარცხება როგორც ამერიკაში, ისე საზღვარგარეთ, და ამისთვის საჭიროა ასევე დემოკრატიისა და თავისუფლების მხარდაჭერა".

დოქტრინაში გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს შეერთებული შტატების ძალისხმევა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

# მოკლედ

**ნიდერლანდში** გაიყიდება ფიჭური ტელეფონები, რომლებიც შექმნილია პატარა ბავშვების სამეთვალყურეოდ. გამოშვებულია ტელეფონების ორი მოდელი. პირველში ჩამონტაჟებულია ერთგვარი მიმღები, რომელიც მაშინაც კი მუშაობს, როცა ტელეფონი გამორთულია. მშობლებს შეუძლიათ თვალყური ადევნონ თავიანთ ბავშვს სპეციალურ ციფრულ ბარათზე. მეორე მოდელს კი შეუძლია სატელეფონო ზარების მიღება დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან, მაგრამ დარეკვა და მოკლე შეტყობინების გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ 4 ნომერზე.

* * *

**სადამ ჰუსეინის** ადვოკატები მოითხოვენ მათთვის უფრო საიმედო დაცვის უზრუნველყოფას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი თქმით, ბოიკოტს გამოუცხადებენ სპეციალური სასამართლოს სხდომას, რომელიც იძიებს ერაყის ყოფილი რეჟიმის ლიდერის მიერ ჩადენილ დანაშაულობებს.



* * *

**ხანძარი** ამსტერდამის აეროპორტში: 11 კაცი დაიღუპა, 15 დაშავდა. ცენტრი, რომელსაც ცეცხლი გაუჩნდა, განკუთვნილი იყო იმ ადამიანებისთვის, უახლოეს ხანებში რომ გაასახლებენ ჰოლანდიიდან. ხანძრის გაჩენის დროისთვის ცენტრში დაახლოებით 350 კაცი იმყოფებოდა. ცეცხლის ჩაქრობას რამდენიმე საათი დასჭირდა.



* * *

**ჰადერში** მომხდარი ტერაქტის პასუხად ისრაელმა სამი საავიაციო დარტყმა მიაყენა ღაზის სექტორს და ემზადება სახმელეთო ოპერაციის განხორციელებისთვის. ისრაელის სამხედრო თვითმფრინავებმა გამთენიისას მიაყენეს დარტყმები ღაზის სექტორს, მას შემდეგ, რაც პალესტინელმა კამიკაძემ აიფეთქა თავი ზღვისპირა ქალაქ ჰადერის ბაზარში. ამ ტერაქტისთვის პასუხისმგებლობა იკისრა „ისლამური ჯიჰადის" რადიკალურმა დაჯგუფებამ.

* * *

**აზერბაიჯანის** ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რესპუბლიკაში აკრედიტებულ საზღვარგარეთის სახელმწიფოთა საელჩოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს სთხოვა დახმარება ამომრჩეველთა თითების მარკირებისთვის განკუთვნილი უხილავი მელნის შესასყიდად. გარდა ამისა, საარჩევნო უბნებში საჭიროა ასევე, სპეციალური აპარატურის შეტანა, რომელიც დააფიქსირებს ამომრჩევლის თითებზე ამ მელნის არსებობას.

ბედი და ადამიანები

# ერთგული ქვეშევრდომი

### ულვაშების ამოგლეჯის ხელოვნება

**ახალმა მეფობამ მაშინვე სამხედრო-ყაზარმული ხასიათი მიიღო. პავლე ესწრაფვოდა რუსეთი გარდაექმნა თავისი გატჩინოს პოლკის**



იმპერატორი პავლე I

**მსგავსად, არაკჩეევი კი ამ საქმეში პირველი თანაშემწე გახდა. ტახტზე ასვლისთანავე იმპერატორმა არაკჩეევს გენერალ-მაიორობა უბოძა და დედაქალაქის კომენდანტად დანიშნა. მეფემ შვილი, უფლისწული ალექსანდრე თავისთან მიიწვია, არაკჩეევიც დაიბარა, მათი ხელები ერთმანეთში ჩაბღუჯა და დამოძღვრა: „იყავით მეგობრები და ერთმანეთს დაეხმარეთ!" ახალგაზრდა გენერალს არმიაში დისციპლინის აღდგენა უბრძანეს — ეკატერინეს დროს ჯარში დისციპლინა სავალალო მდგომარეობაში იყო. არაკჩეევი შეუდგა ჯარების შემოვლას, შეუბრალებლად სჯიდა დაუდევარ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. ცნობილია შემთხვევა, როდესაც მან საკუთარი ხელით ულვაში ამოაგლიჯა ჯარისკაცს, რადგან იმ დროს ახალი წესდებით ულვაშის ტარება იკრძალებოდა, ხოლო გაცოფებისას ერთს ყურიც კი მოაჭამა.**

მაგრამ რთულად არის აგებული ადამიანის ორგანიზმი. ამავე დროს იგი ზრუნავდა ჯარისკაცების ყოფა-ცხოვრებაზე — ამოწმებდა, კარგად კვებავენ თუ არა მათ, დაჰყავთ თუ არა აბანოში, სისუფთავე იყო თუ არა ყაზარმებში. სასტიკად სჯიდა ოფიცრებს, ჯარისკაცებს ფულს რომ პარავდნენ. ცდილობდნენ საჩუქრებით მის მოთაფვლას — მათ უკან აბრუნებდა. ბევრი შეუდგა მრისხანე გენერლის მფარველის ძებნას. მათ შორის იყო თვით ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე, რომელიც მრავალგზის შეუხურებია მამას სამხედრო სამსახურში დაუდევრობისათვის. არაკჩეევი შეუპოვრად იცავდა თავის მეურვეს, სანამ თვითონ არ მოხვდა პავლეს ცხელ ხელში.

იმპერატორის რისხვის მიზეზი სერიოზული იყო. ერთ-ერთმა ძველმა ოფიცერმა, ჯერ კიდევ სუვოროვის საყვარელმა ადამიანმა, ახალი უფროსის შარიანობა ვერ აიტანა და სასოწარკვეთილმა თავი მოიკლა. 1798 წელს პავლემ არაკჩეევი გადააყენა. მაგრამ ორი თვის შემდეგ იგი სამსახურს დაუბრუნდა, ხოლო მომდევნო წლის მაისში



იმპერატორი ალექსანდრე I

გრაფის ტიტული მიიღო. მისი ახალი გერბი დაამშვენა ცნობილმა დევიზმა „პირფერობის გარეშე ერთგული ვარ!" წელიწად-ნახევარში არაკჩეევი კვლავ გარიყული აღმოჩნდა, ამჯერად ძმის გამო. მას პოლკიდან გაგდებას ემუქრებოდნენ, მაგრამ არაკჩეევმა ისე გააკეთა, თითქოს პოლკიდან გარიცხვის ბრძანება „დაიკარგა". ეს რომ პავლემ გაიგო, ჯერ გაცოფდა, შემდეგ კი თავის საყვარელ ადამიანს უბრძანა ოცდაოთხ საათში პეტერბურგი დაეტოვებინა.

### „გოგოებო, ბიჭებო, ვინ ვისი გულის სწორია!..

**არაკჩეევი სულ ახლახან საჩუქრად მიღებულ მამულში — ნოვგოროდის გუბერნიის გრუზინოს მამულში გაემგზავრა, მაგრამ კვლავაც თვალს ადევნებდა სამეფო კარზე მიმდინარე მოვლენებს. ხმები დადიოდა, მეფე პავლეს ჩამოგდება სურთო. როგორც კი იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულება შეიტყო, მან სასწრაფოდ დედაქალაქს მიაშურა, რათა ეს ამბავი იმპერატორისთვის ეცნობებინა. მაგრამ შეთქმულთა თავკაცმა, გრაფმა პალენმა ბრძანა ქალაქის შესასვლელთან დაეკავებინათ იგი. მამის დაღუპვის შემდეგ ტახტზე ავიდა ალექსანდრე, რომელიც არ ჩქარობდა თავისი აღმზრდელი პეტერბურგში დაებრუნებინა. იმასაც კი ამბობდა: „მაგ ურჩხულს ახლოსაც არ გავიკარებო".**

შერისხულმა არაკჩეევმა ორი წელი გაატარა გრუზინოში, სადაც ჩვეულებრივი გულმოდგინებით ხელი მოჰკიდა მეურნეობას. გლეხთა ქოხები აიღეს, მათ ნაცვლად იდეალურად სწორი ქუჩების გაყოლებით მწკრივებად ქვის სახლები წამოიჭიმა. გრუზინოს ცენტრში ყელყელაობდა ბატონის სახლი ვრცელი პარკით. ყოველ შაბათს ყმებს მოედანზე უყრიდნენ თავს და უკითხავდნენ ბატონის ახალ ინსტრუქციებს, რომლებშიც მითითებული იყო, თუ რამდენი როზგის დარტყმით უნდა დასჯილიყო ესა თუ ის დამნაშავე.

მაგრამ არაკჩეევი მოქმედებდა მათრახისა და თაფლის კვერის ძველი მეთოდით: საუკეთესო მუშაკებს აძლევდა ფულად ჯილდოებს, სანიმუშო-საჩვენებელი სოფლების მასახლისებს — თავის ტანსაცმელს. პეტერბურგიდან გამოიწერა ექიმი, რომელიც გლეხებს უფასოდ მკურნალობდა. მათი შვილები წერა-კითხვას სწავლობდნენ სკოლაში.



იმპერატორი ნიკოლოზ I

ახლად მოვლენილი რეფორმატორი ყმების პირად ცხოვრებას საკუთარ ყაიდაზე აწყობდა: ერთხელ წელიწადში თავს უყრიდა გოგონებსა და ჭაბუკებს: „გოგოებო, ბიჭებო, ვინ ვისი გულის სწორია!." თუმცა, როდესაც გოგო-ბიჭები დაწყვილდებოდნენ, არაკჩეევი... გადაჭრით გადაახალისებდა მათ. „მოვალეობა მაიძულებს, განცხრომა დავივიწყო", — ამბობდა იგი. თუმცა თავის სიამოვნებას გრაფი არ ივიწყებდა: გაკოტრებული მეზობლებისგან ლამაზ გოგონებს ყიდულობდა და მოახლეებად იყენებდა. ერთი-ორი თვის შემდეგ მოყირჭებულ ხასას ათხოვებდა და მოკრძალებულ მზითევსატანდა. ასე იყო მანამდე, ვიდრე 1801 წელს ბატონის სახლში არ მოხვდა მეეტლის 19 წლის ქალიშვილი ნასტია მინკინა. იგი იყო შავგრემანი, შავთვალა, ფიცხელი, ძალიან ჰგავდა ბოშას, არაკჩეევს კი ნიადაგ სამხრეთელი ქალები მოსწონდა.

სოფლელი დედაკაცები მას მიიჩნევდნენ კუდიანად, რომელმაც ბატონი მოაჯადოვა. ნასტიასთან იგი იყო სათუთი, საჩუქრებით ავსებდა, მოგზაურობებში მიჰყავდა. იგი სწრაფად გახდა არა მარტო გრაფის მეგობარი, არამედ — თანაშემწეც — ფაქტობრივად მართავდა მამულს, ყოველი უწესრიგობის ამბავი არაკჩეევთან მიჰქონდა.

მისი დასმენით შეუბრალებლად როზგავდნენ იმათ, ვინც ლოთობდა, ზარმაცობდა, აცდენდა საეკლესიო სამსახურს ან ავადმყოფობას იგონებდა. ყველა გამოუსწორებელს ამწყვევდნენ საშინაო „ვირის აბანოში" — ცივ, ნესტიან სარდაფში. თანდათანობით ნასტია კარ-მიდამოს სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი გახდა. არაკჩეევი სიამაყით წარუდგენდა ხოლმე თავის საყვარელს სტუმრებს, თვით ხელმწიფე იმპერატორსაც კი. ნასტიამ ვაჟი დაბადა (ბოროტი ენები ავრცელებდნენ ჭორს — ერთი ახალგაზრდა გლეხი ქალისაგან ახალშობილი იყიდაო). ბედნიერი ალექსანდრე თავს ევლებოდა პატარა მიშიკოს, მაგრამ მისგან გრაფის მემკვიდრე არ გამოვიდა — მიხეილი ახალგაზრდობიდანვე ღვინის სმასა და კარტის თამაშს მიეძალა. ნასტიასაც უყვარდა სმა, მისი ბუნებრივი სილამაზე ჩაქრა....

არაკჩეევის დედა ყოველივე ამას ძალიან განიცდიდა: შვილი პატარა აღარაა, ცოლს კი არ ირთავსო. 1806 წელს არაკჩეევმა ჯვარი დაიწერა გენერლის ქალიშვილზე — ნატალია ხომუტოვაზე. მაგრამ ერთი წლის შემდეგ ისინი ერთმანეთს დაშორდნენ: ახალგაზრდა ცოლმა ქმრის უხეშობა ვერ აიტანა.

**ვადიმ ერლიხმანი**
**(დასასრული იქნება)**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 248.

# ავსტრალიაში ვეშაპების მასობრივი დაღუპვის მიზეზი შეიძლება სამხედროები იყვნენ

**როგორც გაზეთი „სიდნეი მორდინგ გერალდი" წერდა, ავსტრალიის სამხრეთ სანაპიროებთან 130 ვეშაპის დაღუპვა შესაძლოა გამოეწვია ავსტრალიური სამხედრო ხომალდების მიერ სონარების გამოყენებას.**

ამ ზღვის ძუძუმწოვართა ორი დიდი ჯოგი, დაახლოებით 60 ვეშაპი, გამოირიყა სამშაბათს ტასმანიის კუნძულის სანაპიროზე. ცხოველების გადარჩენა ვერ მოხერხდა. ადგილობრივ „მწვანეთა" პარტიის წარმომადგენლები მოითხოვენ, რომ მთავრობამ გაავრცელოს მთელი ინფორმაცია ავსტრალიის საზღვაო ფლოტის საქმიანობის შესახებ.

სამხედრო სარდლობამ დაადასტურა, რომ რამდენიმე ხომალდმა მართლაც გამოიყენა სონარები ვეშაპების დაღუპვის ადგილის მახლობლად ჩაძირული ღუზის მოძებნის მიზნით. ამასთან, სამხედროების თქმით, სონარები ჩართეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნაპირზე გამოირიყა ვეშაპების პირველი ჯგუფი.

ამავე დროს, ოთხშაბათს ტასმანიის სანაპიროზე ნახეს კიდევ 80 გამორიყული ვეშაპი. ზღვის ამ ძუძუმწოვრების უმრავლესობის გადარჩენა ველარ მოასწრეს დასახმარებლად მოსულმა მაშველებმა და მოხალისეებმა.

ბოლო მონაცემებით, გასული დღე-ღამეების განმავლობაში, მარიონის ყურეში უკვე დაიღუპა 130-ზე მეტი ვეშაპი. ეკოლოგები და ასამდე მოხალისე ცდილობენ



ცოცხლად დარჩენილი ცხოველების გადარჩენას, მაგრამ, დღემდე მათ მხოლოდ 10 ვეშაპის დაბრუნება შეძლეს ზღვაში.

ამჟამად ეკოლოგები იკვლევენ ვეშაპების დაღუპვის ადგილს და ცდილობენ დაადგინონ, თუ რა გახდა ამის მიზეზი.

გასული წლის სექტემბერში, ტასმანიის სანაპიროსთან დაიღუპა ასამდე ვეშაპი.

ეს გიგანტური ძუძუმწოვრები ხმელეთზე გამორიყვით ხშირად ამთავრებენ სიცოცხლეს თვითმკვლელობით, თუმცა, მეცნიერებს ჯერჯერობით ვერ დაუდგენიათ, თუ რა აიძულებს ვეშაპს ამის გაკეთებას. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ვეშაპები იძულებული არიან სასწრაფოდ ამოცურდნენ წყლის ზედაპირზე, რადგან, მათ ძალზე აშინებთ წყალქვეშა ნავების ხმაური. მათ მიაჩნიათ, რომ ღრმა წყლის ეს ძუძუმწოვრები შეიძლება დაავადებული იყვნენ დეკომპრესიული სენით — დაივერების დაავადებით.

ზოგიერთი ეკოლოგი კი ფიქრობს, რომ ყოველივე ამის მიზეზია კლიმატის გლობალური დათბობა, რომლის შედეგადაც შეიცვალა საოკეანო დინებების მიმართულება. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ ტასმანიის ნაპირებთან ვეშაპების მასობრივი გამორიყვის მიზეზი გახდა ის, რომ ჯოგის წინამძღოლმა დაკარგა წყალში ორიენტაციის უნარი, დანარჩენი ვეშაპები კი ბუნებრივი ინსტინქტის გამო, ბრმად ენდნენ წინამძღოლს.

თარიღი

# მუდამ მიზნისკენ სწრაფვით

## ვახტანგ შამილაძე — 70

**ვახტანგ შამილაძის სამეცნიერო მოღვაწეობა დაკავშირებულია ეთნოლოგიის მეცნიერებასთან, რომელსაც 40 წლის მანძილზე ემსახურება. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეთნოლოგიის კათედრის გამგედ, ეთნოლოგიური სამეცნიერო სკოლის გავლის შემდეგ მოვიდა და აგრძელებს იმ ტრადიციებს, რომელსაც აკად. გ. ჩიტაიამ ჩაუყარა საფუძველი. ვ. შამილაძის პიროვნების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონიეს XX ს. მოაზროვნე მეცნიერებმა, რომელთა ხელმძღვანელობით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ეთნოგრაფიის მეცნიერებაში. იგი წლების მანძილზე იცავდა დარგის ავტორიტეტს თავისი ნაშრომებითა და მონოგრაფიული გამოკვლევებით, მრავალ საერთაშორისო სესიაზე, კონფერენციასა და ფორუმზე გამოსვლებით, ლექციებით პოპულარიზაციას უწევს ქართველი ხალხის კულტურულ მიღწევებს. მისი მეცნიერული კვლევის შედეგები თავმოყრილია 4 მონოგრაფიასა და 100-ზე მეტ სამეცნიერო ნაშრომში, რომელიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე. ვ. შამილაძის სამეცნიერო მოღვაწეობამ კარგა ხანია მოიპოვა აღიარება. თავის ნაშრომებში იგი იძიებს ქართველი ხალხის ტრადიციულ-ყოფითი კულტურის იმ მნიშვნელოვან მონაპოვარს, რომელიც წარმოაჩენს ეთნოკულტურულ ფესვებს და ორგანულად უკავშირებს ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებს.**

ვ. შამილაძემ მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია სამეურნეო ყოფითი და კულტურის პრობლემების კვლევას. მრავალწლიანი კვლევის შედეგად მონოგრაფიულად შეისწავლა საქართველოს მესაქონლეობის კულტურულ-ისტორიული პრობლემები, რომელიც ფართოდაა გაშუქებული შემაჯამებელ მონოგრაფიაში „საქართველოს მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები". ნაშრომში ეთნოგრაფიული მასალის შედარებით-ისტორიული ანალიზით დადგენილია საქართველოსა და კავკასიის მესაქონლეობის ფორმათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, გენეზისი და კულტურულ-ისტორიული თავისებურებანი, ნაჩვენებია მისი როლი ქართველი ხალხის სამეურნეო კულტურის ისტორიაში. ვ. შამილაძის ინტერესების არეალი წვდება ეთნოლოგიის კარდინალური პრობლემების ყველა ასპექტს, საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობის ეთნოკულტურული და ეთნოგენეტიკურ საკითხებს.



კერძოდ, უახლესი ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე არკვევს, რომ საქართველოსა და კავკასიის მთის ზოლის მესაქონლეობის ორგანიზაციულ-ეკონომიკური გაძღოლის თავისებურებები გავლენას ახდენდა დიდი ოჯახისა და პატრონომიის გადმონაშთული ფორმით შემონახულობაზე, აგრეთვე სასოფლო სათემო ტრადიციების სიცოცხლისუნარიანობასა და სიმტკიცეზე. სულიერი კულტურიდან ვ. შამილაძის ყურადღების არეში მოექცა აგრარულ-რელიგიური ისტორიის საკითხები. აღსანიშნავია აჭარასა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთიანეთში მიკვლეული რიტუალი — „წმინდა ხარების" ბრძოლის ცერემონიალი, რომლის სხვა ლიტერატურულ წყაროებთან ანალოგიის საფუძველზე დაასკვნა საქართველოში კორიდას ადრეული ფორმების არსებობის შესახებ. მკვლევარის აზრით, ეს ცერემონიალი თავისი მაგიურ-რიტუალური მხარეებით საქართველოშიც ხალხური კალენდრის საგაზაფხულო ციკლში შედიოდა და მიზნად ისახავდა მოსავლისა და საქონლის განაყოფიერება-გამრავლებას.

ვ. შამილაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეთნოლოგიის ზოგადი და მეთოდოლოგიური პრობლემების შესწავლაში. ეთნოსის თეორიული ასპექტების კვლევის შედეგების სამეურნეო-კულტურული ტიპებისა და არქეოლოგიური კულტურის ანალიზის შედარების საფუძველზე, გააძლიერა ახალი არგუმენტით სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდი ეთნოსისა და არქეოლოგიის კულტურის კორელაციის შესაძლებლობების შესახებ; საქართველოს სამეურნეო-კულტურული ტიპების მეცნიერული ინტერპრეტაციისას შემოიტანა ისტორიზმის პრინციპები და წარმოაჩინა საკვლევი ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური სურათი. ვ. შამილაძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო საკავშირო მასშტაბით გახსნილ დისკუსიაში ეთნოგრაფიის მეთოდოლოგიურ საკითხებზე. კერძოდ, „მეურნეობის ფორმის", „მომთაბარე მესაქონლეობის", „ბინადარი მესაქონლეობის" განსაზღვრა-დეფინაციის, მესაქონლეობის ფორმათა შედარებით ისტორიული და ტიპოლოგიური კლასიფიკაციის საკითხებზე. მისი ხელმძღვანელობით, რასაც დაერთო ვრცელი განმაზოგადებელი შესავალი, რუსულიდან ითარგმნა და გამოიცა „ეთნოგრაფიის საფუძვლები", პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო ქართულ ენაზე ზოგად ეთნოლოგიაში, სპეციალური კურსების პროგრამები და შედგა ბიბლიოგრაფიები. წლების მანძილზე კითხულობს ზოგადი ეთნოლოგიის კურსს და სპეცკურსებს ზოგად და საქართველოს ეთნოლოგიაში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 10-ზე მეტი საკანდიდატო დისერტაცია, ასევე ხელმძღვანელობს სამაგისტრო კურსს. კათედრაზე მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა მეცნიერ მუშაკთა კადრები, დამყარდა სამეცნიერო კონტაქტები მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, ერევნის და, ასევე, ევროპის სხვა სამეცნიერო დაწესებულებასთან.

იგი მრავალი პუბლიცისტური ხასიათის წერილის ავტორია: „ეროვნული პოლიტიკის ისტორიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში", „ეს საოცარი ამერიკა", „სიმართლეს თვალი გავუსწოროთ" და ა. შ.

ცალკე უნდა აღინიშნოს მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა. იყო სსრკ სახალხო დეპუტატი (1989), აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1991), ორგზის საქართველოს პარლამენტის წევრი (1995 წ, 1999 წ.) პარლამენტში მოღვაწეობის პერიოდში ხელმძღვანელობდა კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის ქვეკომიტეტს. მონაწილეობდა ვაშინგტონში, სიეტლში, დენვერში, ახალ ორლეანში, ჰააგაში, მოსკოვში გამართული საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და სემინარების მუშაობაში. ვ. შამილაძე სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისთვის არაერთხელ დაჯილდოვდა ორდენითა და მედლით.

ვ. შამილაძე დიდებული მეუღლე, მამა და ბაბუაა. ჰყავს შესანიშნავი შვილი და შვილიშვილები. იგი არა მარტო თავისი ოჯახისთვის, არამედ სტუდენტთა მრავალი თაობისთვის იყო და დღემდე რჩება სიკეთის, თავმდაბლობისა და კეთილსინდისიერების ნიმუშად.

**ანდრია აფაქიძე,**
**აკადემიკოსი;**
**მარიამ ლორთქიფანიძე,**
**აკადემიკოსი;**
**ოთარ ჯაფარიძე,**
**აკადემიკოსი;**
**გოჩა ჯაფარიძე,**
**პროფესორი;**
**თამილა ცაგარეიშვილი,**
**პროფესორი**

ხალხის ხმა

# ერთი უკანონო მშენებლობის გამო

## ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო პრეზიდენტო!

რამდენიმე დღის წინათ ჩვენმა ტელევიზიამ გააშუქა ქ. კიევში გამართული საპროტესტო აქცია, რომელიც მიმართული იყო საქართველოს საელჩოსათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე რვასართულიანი კორპუსის მშენებლობის საწინააღმდეგოდ. მიმდებარე ტერიტორიის მცხოვრებლები აპროტესტებდნენ თავიანთი საბინაო პირობების გაუარესებას და მოითხოვდნენ მშენებლობის აღკვეთას.

საქართველოს ხელისუფლებამ გაიზიარა მოსახლეობის მოთხოვნა და მიიღო გონივრული გადაწყვეტილება მშენებლობის სხვა ტერიტორიაზე გადატანის შესახებ. მთელმა საქართველომ იხილა და მოისმინა ამ გადაწყვეტილებით კმაყოფილი კიეველების გამოსვლები. ისინი გულწრფელ პატივისცემას, აღფრთოვანებას გამოხატავდნენ და ამისთვის მადლობას პირადად საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს უხდიდნენ.

ეს შემთხვევაც ერთ-ერთ ბიძგის მომცემ ფაქტორად იქცა ჩვენთვის, ჭავჭავაძის გამზ. №75, №75ა და 75ბ კორპუსების მცხოვრებლებისთვის, რომ ასე ღიად, საჯაროდ კვლავ მოგმართოთ თქვენ, ჩვენს პრეზიდენტს, რათა ჩვენი მიკრორაიონის მოსახლეობა — თქვენი ერთგული ამომრჩევლები, დაგვიცვათ იმ მოსალოდნელი საშიშროებისგან, რასაც გვიქადის ვაკის საცურაო აუზის მიმდებარე ტერიტორიაზე მაღლივი, 18-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა.

საცურაო აუზი რამდენიმე წლის წინათ ჩალის ფასად გაიყიდა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს სპორტული ნაგებობა მხოლოდ შირმა იყო მის მფლობელთა ნამდვილი განზრახვის დასაფარად — უშუალოდ აუზის წინ, სავალ გზაზე აეშენებინათ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

მაშინ ფეხზე დადგნენ არა მარტო მიმდებარე კორპუსების მოსახლეობა, არამედ ცნობილი სპორტსმენები, საზოგადო მოღვაწეები და სხვ.

რეალურად მშენებლობის მცდელობა აღიკვეთა საქმეში მხოლოდ თქვენი, როგორც ვაკის რაიონის დეპუტატის ჩარევის შემდეგ, როდესაც მოსახლეობამ მოგმართათ დახმარებისთვის.

ამას მოჰყვა ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება (2000 წ. 27 ივლისი), სამშენებლო სამუშაოების შეჩერების შესახებ.

შემდგომ მოვლენები ასე განვითარდა: აუზის პირველი კერძო მფლობელების ნაცვლად გვევლინება სამართალმემკვიდრე — სააქციო საზოგადოება „დელფი" ახალი მეპატრონეებით: ქალბატონი ნუნუ ზენდუქიძე და კომპანია, რომელთა ერთადერთ მიზანს თითქოს საცურაო აუზის რეკონსტრუქცია და ამოქმედება შეადგენდა.

თავის დროზე სწორედ მოსახლეობის აქტიურმა ძალისხმევამ გადაარჩინა საცურაო აუზი მავანთა განზრახვისგან — გადაექციათ სპორტული ნაგებობა სავაჭრო ცენტრად. გავიდა მცირეოდენი ხანი და შევიტყვეთ, რომ აუზი მათი ინტერესების მხოლოდ ერთ ნაწილს შეადგენდა. აქაც საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ჰქონიათ განზრახული, ოღონდ უფრო მასშტაბურის — 18-სართულიანის და უფრო მიუღებელ ადგილას — ხელისგულისოდენა სკვერში, რომელიც ხელოვნურად იქნა გამოთავისუფლებული მრავალწლიანი ხეების გაჩეხვის შედეგად, რაზედაც არსებობს გარემოს დაცვის სამინისტროს რეაგირების წერილი №1023/170 19.04.04., რომელიც „დელფის" ხელმძღვანელობას აფრთხილებს, ტერიტორია მოიყვანონ პირვანდელ მდგომარეობაში.

კვლავ დაიწყო ჩვენი მიმართვები სხვადასხვა ინსტანციებში. მიმდინარე წლის იანვარში ადგილზე მოვიდნენ ქალაქის მაშინდელი მერი ზ. ჭიაბერაშვილი და მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსი გ. ასათიანი. მათ საფუძვლიანად ჩათვალეს ჩვენს მიერ წამოყენებული არგუმენტები და მიიჩნიეს დაუშვებლად მშენებლობის დაწყება მიკრორაიონის მთლიანი განაშენიანების ერთიანი გეგმის გარეშე.

ამის შემდგომ, მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა გამოსცა ბრძანება მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ (№10 04.02.2005 წ.), მაგრამ ვაკის პრესტიჟულ რაიონში დიდი მოგების მომცემი მრავალსართულიანი სახლის აშენების მადაგალვიძებული ოლიგარქები და ჩინოვნიკები არად მიიჩნევენ მოსახლეობის ნებას, ქალაქის მერიის აზრს, ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურისა და სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებს, 100-ზე მეტი ოჯახის საცხოვრებელი პირობების გაუარესებას.

ბატონო პრეზიდენტო!

თუ რამდენიმე წლის წინათ პირადად თქვენ მიერ და სასამართლოს გადაწყვეტილებით დაუშვებლად იყო მიჩნეული საცურაო აუზის მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რატომ უნდა გახდეს შესაძლებელი ოლიგარქებისათვის კანონისა და მოსახლეობის მოთხოვნის აშკარა იგნორირება?!

გვინდა, დაგიდასტუროთ, რომ ჩვენი მიკრორაიონის მოსახლეობა არ ვიქნებოდით მაღლივი კორპუსის მშენებლობის წინააღმდეგი, აღნიშნული ტერიტორია რომ იძლეოდეს ამის შესაძლებლობას, როგორც ეს აღნიშნულია მერიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში.

დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ არ დაუშვებთ მოსახლეობის ინტერესების უგულებელყოფას რაგინდ მაღალი რანგის არ უნდა იყვნენ ამ საქმეს ამოფარებული თანამდებობის პირები.

ჩვენ მხოლოდ სამართლიანობის დაცვას მოვითხოვთ და ამაში კვლავაც თქვენი იმედი გვაქვს.

**პატივისცემით**

**ჭავჭავაძის გამზ. №75, №75 „ა" და „ბ" კორპუსების მცხოვრებლები.**

**წერილი იბეჭდება მცხოვრებლების ხარჯით.**

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში"

მობრძანდით დედაქალაქის ცენტრში, კოსტავას 14, I სართული. დაგვიკავშირდით, ტელეფონი-ფაქსი 93-28-13; ტელ: 93-15-63. ვმუშაობთ ყოველდღე (კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე.

ინფორმაცია

### სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა...

**ივანე ჯავახიშვილის** სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აშშ-ის განათლების ყოველწლიური გამოფენა გაიხსნა.

ორდღიანი ფორუმის ფარგლებში, ქართველი სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები აშშ-ის განათლების სისტემის წარმომადგენლებს შეხვდებიან.

„ამერიკის საელჩო უკვე მეოთხე წელია ამ გამოფენას მართავს. საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის ფონზე მეტად მნიშვნელოვნად მიმაჩნია ამერიკული გამოცდილების გაზიარება," — განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა რუსუდან ლორთქიფანიძემ.

ორდღიანი სემინარის ფარგლებში, სტუდენტები აშშ-ის მთავრობის მიერ დაფინანსებული განათლების გაცვლითი პროგრამების შესახებ მიიღებენ ინფორმაციას.

### მოსახლეობა აპროტესტებს, მერია თავისას „უბერავს"



**გუშინ** ხმაური იყო თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონში მდებარე თაბუკაშვილის ქუჩაზე, რომლის მცხოვრებლებიც იქ სამარშრუტო ტაქსების რეისების შესაძლო აღდგენას აპროტესტებდნენ. შელაპარაკება სწორედ მათსა და მძღოლებს შორის მოხდა.

მძღოლები თავის მხრივ ქუჩის მცხოვრებთა მიერ გადაკეტილი გზის გახსნას ცდილობდნენ.

აღნიშნულ ქუჩაზე მდებარე სახლები თითქმის ავარიულია. მოსახლეობის განცხადებით, სამარშრუტო ტაქსების მოძრაობა ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს.

მძღოლების თქმით კი, მათ მერიისგან აქვთ ნებართვა მიღებული, რომ რეისები სწორედ ამ ქუჩის გავლით შეასრულონ.

**მედიანიუსი**

რწმენა

# საქართველო აუცილებლად გამთლიანდება

**ჩვენმა პრეზიდენტმა ამ ცოტა ხნის წინათ, ახალგაზრდობასთან შეხვედრისას, გალაკტიონის ლექსის ნაწყვეტი წარმოსთქვა:**

**„მშობლიურო ჩემო მიწავ,**
**შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,**
**რომ დავიცავ შენს დიდებას,**
**წინაპართა ძვლებს დავიცავ!"**

**ეს მართლაც სამახსოვრო, ამაღელვებელი რამ იყო.**

ახლა, როცა ახლოვდება მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციის ორი წლისთავი, განსაკუთრებით ხმიანობს გელათის ტაძარში, დავით აღმაშენებლის საფლავზე დადებული ფიცის სიტყვები, რომ შეძლებს საქართველოს გაერთიანებას თავისი პრეზიდენტობის პერიოდში.

ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა მმართველობა დაიწყო დაშლილ, დაქუცმაცებულ, ეკონომიკურად განადგურებულ საქართველოში. როგორ შეასრულებს თავის ფიცს? უკვე შეიძლება ითქვას, რომ დადებითი კონტურები არის. აჭარა, რომელიც ფაქტობრივად ჩამოცილებული იყო დედასამშობლოს, კვლავ ჩაჯდა ქვეყნის კალთაში; მართლმადიდებლური სარწმუნოება საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ფრთებს შლის.

საქართველოს ეკლესიამ ახლახან იზეიმა ავტოკეფალიის აღდგენა. ზეიმზე თავი მოიყარეს სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩამოსულმა ადამიანებმა. ილია II-ემ სიტყვით მიმართა მოზეიმეებს. დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი „სულიერი ლაშქრის" მონაწილეობით, რომლის მხატვრული ხელმძღვანელები არიან ოთარ მამუკაშვილი და ხათუნა გამჯაშვილი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს დიდებული მოღვაწეობა აფხაზეთში დაბადებულის და გაზრდილის, გლდანის ლომისის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ მიქაელ ასათიანისა, რომელმაც ჩამოაყალიბა და წარმატებით ხელმძღვანელობს ეკლესიურ საზოგადოებებს — „სულიერ ლაშქარს" და „ენა, მამული, სარწმუნოებას", რომლის საპატიო წევრიც არის ჩვენი პრეზიდენტი, ბატონი მიხეილ სააკაშვილი. დეკანოზმა მიქაელ ასათიანმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა ასობით გამოჩენილი ადამიანი, რომელთაგან ერთ-ერთია ბატონი ალბერტ ხურციძე, „ენა, მამული, სარწმუნოების" წევრი. მან ჩამოაყალიბა ხურციძეების საგვარეულოს საზოგადოება, რომლის პრეზიდენტი თავად არის, კათალიკოსთან შეათანხმა ვანში ეკლესიის მშენებლობის საკითხი. (პროექტი უკვე არსებობს).

დაბოლოს, დეკანოზმა ასათიანმა მოამზადა ქართველი ხალხისგან მიხეილ სააკაშვილისათვის უნიკალური საჩუქრის შექმნის ნიადაგი (თუ რა არის ეს საჩუქარი, ამას, ჯერჯერობით, არ ახმიანებენ). პრეზიდენტს იგი მიეძღვნება იმის ნიშნად, რომ მან უკვე წარმატებით დაიწყო ჰარმონიული, მშვიდობიანი, დემოკრატიული გზით საქართველოს გაერთიანება-გამთლიანება, ხალხის გამოყვანა დუხჭირი ცხოვრებიდან, სიღარიბის დაძლევა.

მამა მიქაელს სწამს, რომ მოსახდენი აუცილებლად მოხდება — საქართველო გამთლიანდება, სეპარატისტები, ავისმსურველნი დამარცხდებიან. ამინ!

**მარლენ ბუხაიძე,**
**„ენა, მამული, სარწმუნოების"**
**ერთ-ერთი დამფუძნებელი**





**სურათებზე:** საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II და დეკანოზი მიქაელ ასათიანი; მამა მიქაელი მრევლის ზეიმზე.

შარა-შარა

# გვერდზე მაინც გადექით, ძვირფასო ქალბატონო!

## ტაო-კლარჯეთსა და შავშეთში მოგზაურობის დღიურის ნაცვლად

**ვფიქრობდი.**

**ამიტომაც დავიზღვიე თავი. „საქართველოს რესპუბლიკის" 29 სექტემბრის ნომერში ვთქვი: ტაო-კლარჯეთში, შავშეთში მოგზაურობისას კარგი სასოფლო გზების, საავტომობილო ტრასების გასწვრივ სისუფთავის, ძარცვის იშვიათი შემთხვევების მეტი ვერაფერი ნახაო, იტყვის-მეთქი მკითხველი.**

**იქვე მივაწერე: სხვაც ბევრი ვნახე ჩვენთვის სულ სატკივარი, მაგრამ ეს საგაზეთო თემატიკას სცილდებოდა. თავიც ამიტომ შევიკავე-მეთქი.**

**არაფერი გამოვიდა.**

სატელეფონო ზარი მაინც გაისმა. ვიღაცა უცნობი ქალბატონი შემეხმიანა... უფრო ნაცნობი, მაგრამ ხელჩასაჭიდი არაფერი მაქვს და ბრალსაც ვერავის დავდებ.

თავად კი ჩვენი ხელისუფლების შეფარული კრიტიკა დამწამა.

ეს მთლად სიცრუეც არ იყო. აი, უვიცობას, გაუნათლებლობას ვერაფრით შევიფერებ.

შევცდი. თავიდან უნდა მეთქვა ყველაფერი.

ვფიქრობ, არც ახლაა გვიან...

ართვინში, სასტუმროს წინ მდებარე ბაღში ვისხედით ახალგაცნობილ დაუდ დუმბაძესთან (დუმან-ოღლი) ერთად.

გვიანი ღამე იყო.

დაუდი სინანულით იხსენებდა ქართველებთან შეხვედრას. ნოდარ დუმბაძის წიგნს დამპირდნენ, მაგრამ მეორე დღეს სასტუმროში მისვლა დამაგვიანდა, სტუმრებმა გამასწრეს და უწიგნოდ დავრჩიო.

კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა და გაჩერდა. სანახევროდ განათებულ ქუჩას მიაჩერდა. იქ ჩვენი ავტომანქანა იდგა. ორი მანდილოსანი უახლოვდებოდა. უცებ ერთი მოწყვეტით შედგა. ხელით გააჩერა მეორე.

— „თბილისის მანქანაა, ვინმე ნაცნობი არ იყოსო", — აშკარად გავიგონე ქართულად ნათქვამი. შემობრუნდნენ. ძალიან მარჯვედ დაეშვნენ თავდაღმართში.

— ჩვენებურები არიან, იქ კიდევ უსახელო სახლებიაო, — სინანულით წარმოთქვა დაუდმა.

დამატებითი ინფორმაცია არ იყო საჭირო.

იმ ღამეს სასტუმროში დარდით არ მიძინია-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ მეორე დღისთვის თურმე უარეს სურათს მიმზადებდა ბედისწერა.

ართვინიდან იუსუფელში გადავინაცვლეთ. ჯერ პარხალს ვეწვიეთ, მერე ოთხთა ეკლესიისკენ ავიღეთ გეზი.

კინაღამ გავცდით. ოთხთა ეკლესია 5 კილომეტრით არის დაშორებული ამავე სახელწოდების სოფელს. კაკლების ტევრშია ჩაფლული. ზედ თუ არ მიადგები, ვერც შენიშნავ.

ეკლესია დამრეც ადგილზეა აშენებული. ერთი მხარის ხელოვნურად ამაღლება, მიწაყრილის გაკეთება დასჭირვებიათ მშენებლებს.

სულ ათი ნაბიჯია აღმა სავალი.

ადიხარ. მაღლდები. ისეთი შეგრძნებაა, თითქოს წონა დაკარგე, ჰაერში მიფარფატებ შორიდან ნანახითაც განცვიფრებული და ეკლესიაში შესვლისთანავე მონადირის მარჯვედ ნასროლით ჩამოგდებული ხოხბის დარად ეცემი ძირს.

მორღვეული გუმბათიდან ცა მოჩანს. ძირს უმშვენიერესი ბარელიეფები, საოცრად ნატიფი ჩუქურთმიანი სვეტისთავების ნატეხები ყრია.

ბათქაში ჩამოშლილია.

სამაგიეროდ ბევრია წარწერა.

ერთი-ორი რუსული სიტყვა ამოვიკითხე. ალბათ, ძალიან ძველი — საუკუნენახევრის წინანდელი.

ახალი წარწერა გერმანული იყო.

ინგლისური არ ვიცი. სხვებმა დამიდასტურეს — არისო ინგლისური წარწერები.

ჯანდაბას!

დაბრუნდებიან ინგლისში, გერმანიაში. ერთ-ორ მეგობარს, თუნდაც ოჯახის წევრებს მოუყვებიან, რომ თურქეთში არის ათი საუკუნის წინათ აშენებული ეკლესია, თუ...

...თუ მანამდე უკუღმართად არ დამოძღვრა ვილაცამ ან სადმე არ ამოიკითხა, რომ ეს ძეგლები ჩვენი კარის მეზობლებისაა და ქართველებს იქ არაფერი ესაქმებათო.

თანამედროვე ისტორიკოსებისთვის ასეთი ნაბიჯი თუ გამიზნული დასკვნა სულაც არ არის უცხო და წარმოუდგენელი.

ბევრი უცხოელი ეკიდება ამგვარ სატყუარებიან ანკესს.

მე კი ოთხთა ეკლესიაში ქართველის ნაკვალევი მოულოდნელად აღმოვაჩინე.

ეკლესიის დასავლეთით, გუმბათის საყრდენი სვეტის წინა მხარეს, ასე საშუალო სიმაღლის კაცის დონეზე ჩამავალი მზის შუქი აზრიალებდა ქართულ სიტყვას, სახელს, უფრო სახე დაკარგულის ნაცოდვილარს.

„დათო".

ლურჯი საღებავი.

ფუნჯი აშკარად გაცვეთილი.

ასოების სისქემ მაფიქრებინა ეს.

ხანგრძლივი პროფესიული საქმიანობიდან მიღებული გამოცდილება მაძლევს მტკიცების უფლებას.

აშკარად ქართველის „ნაღვაწია".

ისიც აქაური, საზღვრისაქეთა ქართველის.

რა ვქნა, მეტ-ნაკლებად მართლა ვიცნობ ქართული ასოების გრაფიკულ თავისებურებებს.

საქართველოს სკოლებში წერის სწავლების მეთოდები ვიცი. სხვა თუ არაფერი, საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი.

აშკარად ქართველის ნახელავია — საექსკურსიოდ, უფრო სავაჭროდ ჩასულის.

ორი-სამი წლის წინანდელი ნამუშევარია.

აშკარაა, ისტორიაში შესვლის სურვილი გასჩენია ბატონ დავითს.

უნდა გავაწბილო.

ოთხთა ეკლესია არ არის არტემიდას ტაძარი. ბატონმა დავითმა ოთხთა ეკლესია დინამიტითაც რომ ააფეთქოს, ნახევარი საქართველო ვერ გაიგებს ამ სისაძაგლის ჩამდენის სახელს. ვერც დაიმახსოვრებს.

ოთხთა ეკლესიაში წასასვლელად გამზადებულებმა იქნებ ქნან სიკეთე, სძლიონ ბოროტს და ამ წარწერის ფოტოც ჩამოიტანონ.

მე ეშმაკმა შემბოჭა მაშინ. აზრადაც არ მომსვლია ამ „დიდებული" კვალის ფირზე აღბეჭდვა.

არც რაიმეს თქმას ვაპირებდი — აი, ამ ნაცნობ-უცნობის სატელეფონო ზარმა მაიძულა. თვითონ ამ ქალბატონს ეტყობა ანკარის, სტამბოლის ბაზრების ხსენებამ აუშალა ნერვები.

უფრო ბოდრუმმა, ანტალიამ გააღიზიანა, თუ ალლო არ მღალატობს და შეცვლილი ხმით მაინც განვსაზღვრე ტელეფონის მეორე ბოლოში მყოფის ვინაობა.

ამიტომაც შემთხვევას ვერ მივაწერ ოთხთაში ნახულს.

ვერც ამ უცნაურ სატელეფონო ზარს.

ყველა ოჯახში ერთი მახინჯის ყოფნითაც ვერ გავამართლებ სულ პატარა სიბილწესაც კი.

აქ პატარაზე ბევრად დიდი რაღაც იყო:

ეტყობა, ალაგ-ალაგ ქართულის წაბილწვაში ჩვენივე ჯილაგის კაცი უფრო იჩენს გულმოდგინებას, ვიდრე ცხრა მთის იქიდან მოსული გადამთიელი.

შეიძლება ახლაც თქვენს გვერდით დგას უცოდველი კრავის სახით.

...ფრთხილად იყავით, ცოტა განზე გადექით და იმ ეშმაკის კერძის სახე უფრო კარგად გამოაჩინეთ, ძვირფასო ქალბატონო!

**რობერტ ძერია**

№ 250. პარასკევი, 28 ოქტომბერი, 2005 წელი.

◎ შენ, ნიჭო ჩემო

# რამ გააკვირვა ფინეთში ქართველი მხატვარი



**ეკა ორაგველიძე ჩვენმა შესანიშნავმა მხატვარმა, წიგნის გრაფიკის უბადლო ოსტატმა გოგი წერეთელმა გამაცნო. ეკა სრულიად ახალგაზრდა მხატვარი გრაფიკოსია, ოთხი წლის წინათ დაუმთავრებია სამხატვრო აკადემია დაზგური გრაფიკის განხრით და უკვე პერსონალური გამოფენის გამართვაც მოუსწრია ქარვასლაში, რაც, სამწუხაროდ, მე არ მინახავს, მაგრამ, როგორც გოგი მეუბნება, ძალზე საინტერესო რამ იყოო.**

რამდენიმე ჯგუფურ გამოფენაშიც მიიღო ეკამ მონაწილეობა და ნიჭიერი, თვითმყოფადი მხატვრის სახელი მოიპოვა. ამიტომაც იყო, რომ ამ ზაფხულს „ფინეთ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ასოციაციამ“ და ფინეთის ხელოვანთა საზოგადოებამ, ეკა ორაგველიძე სიამოვნებით მიიწვია ფინეთში, კერძოდ, ქალაქ ვანტააში პერსონალური გამოფენის გასამართავად.

ამ ქალაქის პრესამ უმალ აიტაცა ეს ფაქტი. მაგალითად, ერთ-ერთ გაზეთში სათაურით „გრაფიკოსის ნამუშევრებში ირევიან ხალხები და ამბები“ ხელოვნებათმცოდნე მია ლინდსტრემი წერდა:

„გალერეა „Gjutarsi“-ში გამოფენილია ქართველი ხელოვანი გრაფიკოსის, ეკა ორაგველიძის ნამუშევრები. თბილისელი 29 წლის ხელოვანი ქ. ვანტააში ივლისში „ფინეთ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ასოციაციის“ ინიციატივითა და ფინეთის ხელოვანთა საზოგადოების მოწვევით ჩამოვიდა. ამჟამად მხატვარი მუშაობს დისერტაციაზე (სწავლობს ასპირანტურაში), თუმცა ზაფხულში მას აქვს დრო იმოგზაუროს, შემოქმედებითი გამოცდილება გააღრმავოს. ფინეთში სტუმრობა ეკა ორაგველიძის მეორე ვიზიტია საზღვარგარეთ. გალერეა „Gjutarsi“-ში გამოფენილი ნამუშევრები, რომლებიც შექმნილია სხვადასხვა ტექნიკით: ტუშით შესრულებული ნახატები და ლითოგრაფია ხეზე ჭრით, ამ გამოფენაზე კარგად ერწყმიან ერთმანეთს:

— „გრაფიკა საქართველოშიც პოპულარულია და ხალხს მოსწონს, სიამოვნებით ათვალიერებს მას“, — ამბობს ხელოვანი.

ორაგველიძე ამბობს, რომ ერთა-ერთი ისაა, რომ სამშობლოში ძალიან ძნელადაა ხელმისაწვდომი ყველა საჭირო მაღალხარისხიანი მასალა. მან აღნიშნა, რომ აუცილებლად უნდა გამონახოს დრო გამგზავრების წინ ამ მასალის შესაძენად.

გამოფენის ნამუშევრების ნაწილი მხატვრის მიერ შექმნილია გახსნამდე სულ ერთი კვირით ადრე. ფინეთში მოყოლილმა ამბებმა და იმან, რაც მან აქ ნახა და შეიგრძნო, სული ჩაუდგა და მუზა მისცა ხელოვანს — ინტენსიურად, გვიან ღამემდე ემუშავა, ამიტომაც სულ სხვა, უცხო თემები შემოვიდა მის შემოქმედებაში.

ნამუშევრების თემებს ორაგველიძე იღებს გარემოდან. ის სიამოვნებით ეცნობა ახალ ხალხს და თავის ნამუშევრებში გადააქვს გულის ამაჩუყებელი ამბები.

„როცა ადამიანს ახლოდან უყურებ, მასზე ბევრად მეტი შეიძლება გაიგო“, — ამბობს შემოქმედი.



ეკა ორაგველიძეს კონტაქტური, ქართველისათვის დამახასიათებელი თბილი, ვიზუალური და სულიერი სამყარო აქვს. მის ნამუშევრებში ეს კიდეც იგრძნობა, გამოსახულია უამრავი ხალხი, ბუნება, ცხოველები. თემათა სამყარო მონაცვლეობს მხიარული ქორწილიდან დაწყებული უფრო ღრმა და სერიოზული თემებით დამთავრებული. ქორწილის მხიარული სცენების გარდა ნამუშევრებში აგრეთვე აღბეჭდილია დასაფლავებების იდუმალებით სავსე, გამოუცნობი სამყარო.

მის სამშობლოში — საქართველოში საფლავის ქვებზე, ტრადიციულად გამოსახულია მიცვალებულების პორტრეტები. ხელოვანის ნახატებში იგრძნობა სასაფლაოს გარინდული, მოკრძალების მომგვრელი ატმოსფერო.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ფინეთში ყოფნისას ეკა ორაგველიძემ სხვა სანახაობების გარდა დაათვალიერა, აგრეთვე წმინდა ლაურის ეკლესიის სასაფლაო, რომელიც მდებარეობს ჰელსინკის ეპარქიის საეკლესიო დასახლებაში.

ფინეთში ახლად გაცნობილმა ხალხმა, ფინელი ხალხის კულტურამ მუზა ჩაუდგა ეკას ახალი ნამუშევრების შექმნისათვის“.

* * *

— **ჩემთვის** ესოდენ სასიამოვნო მოვლენა, — მიამბობს ეკა ორაგველიძე, — ფინეთის მხარემ დააფინანსა. თავიდან მეგონა, შემოქმედებითი ორდინატურა თუ არის-მეთქი, მაგრამ მასპინძლებმა დამახვედრეს დაზგა, მიყიდეს მასალები და ყველა პირობა შემიქმნეს მუშაობისთვის. მეც აქედან ჩატანილ ნამუშევრებს იქ შექმნილი ოცდაათი ნახატი მივუმატე და კარგა მოზრდილი გამოფენა გამოვიდა (სხვათა შორის, 11 ნამუშევარი გაიყიდა). იქ ყოფნის პერიოდში — ერთი თვის მანძილზე — მასტერ-კლასებს ვუტარებდი უცხოელ ლტოლვილ ბავშვებს, რაც თავისთავად სასარგებლო იყო ჩემთვის... თბილისიდან გამგზავრებისას თან წავიღე ქართული საგალობლების დისკი და იგი ჰელსინკის მართლმადიდებლური ეკლესიის მიტროპოლიტ ამბროსიოს გადავეცი... უნდა გითხრათ, რომ ეს იყო დაუვიწყარი ერთი თვე... პირდაპირ გაკვირვებული ვიყავი მასპინძლების — ამ ჩრდილოელი ხალხის გულთბილობითა და სტუმართმოყვარეობით... რა დასამალია და არც შექება დაუკლით. რამდენიმე გაზეთში დაიბეჭდა რეცენზია ჩემი გამოფენის შესახებ. მაგალითად, რუსულ ენაზე გამომავალი გაზეთი „სპექტრი“ წერდა, ეკა ორაგველიძემ თავისი ექსპოზიციით რუსთაველის ქვეყნის სილამაზე გვაგრძნობინაო...

ფინეთში მოგზაურობა, რა თქმა უნდა, დიდი სტიმულია ჩემთვის, ჩემი მომავალი მუშაობისთვის, — ამბობს ბოლოს ახალგაზრდა მხატვარი.

**ვილენ მარდალეიშვილი.**

**სურათებზე: ეკა ორაგველიძე; ავტოგრაფი — გამოფენის დამთვალიერებელს.**

საქციო საზოგადოება „თელასის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

## შეტყობინება

(მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ)

**წინამდებარე შეტყობინებით გატყობინებთ სს „თელასის“ აქციონერთა მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ, რომელიც ჩატარდება 2005 წლის 14 ნოემბერს 15 საათზე, მისამართზე ქ. თბილისი, ვანის ქ. № 3.**

**დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:**

1. საზოგადოების 2004 წლის წლიური ანგარიშის და 2004 წლის აუდიტორული დასკვნის დამტკიცების შესახებ;
2. 2005 წლის აუდიტორის დანიშვნის შესახებ;
3. სხვადასხვა.

კრების სააღრიცხვო დღედ დანიშნულია 2005 წლის 1 ნოემბერი. კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები (ან მათი წარმომადგენლები), თუ ისინი (აქციონერები) რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი „კომპანია-ცენტრი“. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. მოსაშვილის ქ. № 24, დამოუკიდებელი რეგისტრატორი „კომპანია-ცენტრი“.

სს „თელასი“

◎ ჭრელაჭრულა



## მოჰამედ ალის ჯანმრთელობა გაუარესდა

**ასე აცხადებს სახელოვანი მოკრივის მოჰამედ ალის ქალიშვილი და რინგზე მისი მემკვიდრე ლეილა ალი. როგორც ცნობილია, ბოლო ოცი წელია, ლეგენდარული მოკრივე დაავადებულია პარკინსონის ავადმყოფობით.**

„როგორც ჩანს, სენი ვითარდება; ის ახლა ნაკლებად ლაპარაკობს, რადგან ეს მისგან დიდ დაძაბულობას მოითხოვს. ზოგჯერ მისი ლაპარაკი ძალზე გაუგებარია; მას შეუძლია ფიქრი, ბევრი სათქმელი აქვს, მაგრამ ზოგჯერ ტუჩებსაც ვერ აცმაცუნებს“ — თქვა ლეილამ.

## მარადონა ფიდელ კასტროსთან

**ლეგენდარული ფეხბურთელი დიეგო მარადონა ჩავიდა კუბაში, რათა ინტერვიუ აიღოს ამ ქვეყნის პრეზიდენტ ფიდელ კასტროსთან.**

როგორც ცნობილია, მარადონა და კასტრო მეგობრობენ. ისიც ცნობილია, რომ არგენტინელმა ფეხბურთელმა კუბაში გაიარა მკურნალობის კურსი ნარკოტიკებთან დამოკიდებულებაში.

ალბათ გახსოვთ, 15 აგვისტოდან არგენტინის ტელევიზიაში ყოველკვირეულად გადის შოუ „საღამო მეათე ნომრიდან“, რომელსაც უძღვება მარადონა და რომლის სტუმრები არიან ცნობილი სპორტსმენები, საზოგადო მოღვაწეები, ხელოვნების



მსახურები, კასტროსთან ინტერვიუს გარდა, მარადონას უახლოეს გეგმაშია შეხვედრები ზიდანთან, რონალდოსთან, მაიკლ ჯორდანთან და მეგოლფე ტაიგერ ვუდსთან.

## დავუჯეროთ რახმანს?

**12 ნოემბერს უნდა გაიმართოს WBC ვერსიით ჩემპიონის სარტყელისთვის მძიმეწონოსანი მოკრივეების — ამერიკელი ხასიმ რახმანისა და უკრაინელი ვიტალი კლიჩკოს — ორთაბრძოლა.**

ამერიკელს ეჭვი არ ეპარება თავის გამარჯვებაში. მას მიაჩნია, რომ უკრაინელი რინგზე 9 რაუნდზე მეტს ვერ გაძლებს.

„ჩვენ ერთმანეთს ძალზე ძლიერ დარტყმებს მივაყენებთ, — თქვა რახმანმა. — დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი დარტყმები უფრო ძლიერი იქნება. პირველ ოთხ-ხუთ რაუნდში ტოტალური ბრძოლა გვექნება. მეხუთე რაუნდის შემდეგ მე მას დავჯაბნი, და ის პირსახოცს გადმოაგდებს სადღაც, მეხუთე-მეცხრე რაუნდებს შორის“.

დავუჯეროთ რახმანს?

## არგენტინა უმიზნებს „ფორმულას“

**მართალია, არგენტინა 20-ჯერ მასპინძლობდა ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ ეტაპს. ის ბუენოს-აირესში იმართებოდა, ბოლო 4 ეტაპს კი (1995-1998 წ) ავტოდრომი „ოსკარ გალვესი“ მასპინძლობდა.**

და აი, როგორც ფიფას ვიცე-პრეზიდენტისა და „ფორმულა-1“-ის მფლობელ ბერნი ექლსტოუნისადმი გაგზავნილ წერილში სან-ლუისის პროვინციის გუბერნატორი იტყობინება, არგენტინა მზადაა, 2007 წელს უმასპინძლოს მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ ეტაპს. ამიტომ მოითხოვს შეხვედრასა და რბოლის ეტაპის ორგანიზატორზე მოლაპარაკებას.

როგორც იტყობინებიან, რბოლა გაიმართება სან-ლუისში, განახლებულ ავტოდრომზე „როსენდო ერნანდესზე“, რომლის ტრასის სიგრძე 4,612 კილომეტრია.

◎ კალათბურთი

# დღეს დიდი ჯახია



**დღეს ვერის ბაღსა და რუსთავში კალათბურთელ ვაჟთა XV ეროვნული ჩემპიონატის I წრის III ტურის ოთხი შეხვედრა გაიმართება:**

სსუ — სტუ (12 საათზე),
„დინამო“ — თსუ „ნიკორა“ (14 საათზე),
„მაქაბი“ — ქუთაისი (16 საათზე)
„აზოტი“ — „ავიამშენი“ (17 საათზე).

ამ წყვილებიდან განსაკუთრებულ ინტერესს თბილისური დერბი იწვევს და გუშინდელი ტრადიციული პრესკონფერენციაც, რომელიც ყოველი ცენტრალური შეხვედრის წინ ეწყობა, მას მიეძღვნა. აი, რა განაცხადეს მეტოქე გუნდების წარმომადგენლებმა:

**გია ჯავახიშვილი — თსუ „ნიკორას“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწე:** მოგეხსენებათ, სპონსორი ზედ გათამაშების წინ გამოგვიჩნდა, ამიტომ შეკრებაზე მოგვიანებით გადავედით. სწორედ ეს გახლავთ იმის მიზეზი, რომ ოპტიმალურ ფიზიკურ კონდიციებს, ალბათ, მეორე წრის ბოლომდე ვერ „ავკრეფთ“. სეზონის წინ, ერთი შეხედვით, მოკრძალებული პროგრამა — მაქსიმუმი დაგვისახეს — „პლეი-ოფში“ მოხვედრა, თუმცა, იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ სელექციის თვალსაზრისით სიურპრიზებს გპირდებით, შეიძლება მადა ჭამაში მოვიდეს. მოკლედ, ვნახოთ — გამორიცხული არაფერია. რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, სათუოა ტრავმირებული ბერიშვილის, მაისურაძისა და ლეჟავას თამაში, რაც სრულიადაც არ იმოქმედებს ჩვენს განწყობაზე — ბიჭები მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებენ. სხვათა შორის, არც მეტოქის უკანასკნელთა სიძლიერე გვავიწყდება, მაგრამ ჩვენ ჩვენსაც ვეცდებით.

**დავით უსტიაშვილი — თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი:** როგორც იცით, უსახსრობის გამო ჩვენი გუნდი ჩემპიონატის წინ კინაღამ დაიშალა, რამაც ვარჯიშების დაგვიანებით განახლება გამოიწვია. ასე რომ, სრულფასოვან მზადყოფნაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ გამყრელიძე და ცინცაძე ახლახან შემოგვიერთდნენ (ისინი სრულიად უსასყიდლოდ, ენთუზიაზმზე გვეხმარებიან), თავს შეთამაშების პრობლემაც იჩენს. მაგრამ არის დადებითი მომენტებიც — გამოჯანმრთელდნენ ლაფანაშვილი და გვიმრაძე, რაც პრინციპული დუელის წინ გარკვეულწილად ოპტიმისტურად განგვაწყობს. რაც შეეხება პერსპექტივას, ვცდილობთ ბიჭებმა გამოცდილება შეიძინონ, თუმცა, მათი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, არც „პლეი-ოფში“ მოხვედრა მიმაჩნია უტოპიად — ყოველ შემთხვევაში, ნახევარფინალში გასვლაზე უარს ნამდვილად არ ვიტყვით.

**გია პლატონიშვილი**

◎ ტაეკვანდო

# ღია პირველობაზე

**დიპლომში, ოლიმპიური მზადების ცენტრში, გაიმართა საქართველოს ტაეკვანდოს ასოციაციის ღია პირველობა, რომელშიც თბილისის, რუსთავის, ფოთისა და მარნეულის ტაეკვანდოს ახალგაზრდა ოსტატებთან ერთად მეზობელი სომხეთის სპორტსმენებიც ასპარეზობდნენ, სულ — 70 მებრძოლი.**

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები სერგო სილაგაძემ, გასან ამიროვმა, გიორგი გრიგოლავამ, ფარიდ მურადოვმა, ანდრანიკ მარტიროსიანმა, ვალერი მერებაშვილმა, ლევან გასვიანმა, კოკა ოჩიგავამ, ნვერ ტოროსიანმა, გიორგი ხუციშვილმა, ალექსანდრე უსუბიანმა და ლევან წარეტაშვილმა მოიპოვეს.



**ბესიკ გაბრიაძე**

**სურათზე: ტურნირში გამარჯვებულნი.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

◎ ვიქტორ სანეევი-60



# გულთბილ შეხვედრებს არ უჩანს ბოლო

**ლეგენდარული მძლეოსნის, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ვიქტორ სანეევის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 5 დღე გავიდა, მაგრამ სახელოვან სპორტსმენს წუთითაც არა აქვს მოცლა — ხან სად იწვევენ და ხან — სად. გუშინ 60 წლის ათლეტს შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში, სადაც იუბილარი ჭაბუკობისას 4 წელიწადი სწავლობდა. ძვირფას სტუმარს მიესალმნენ უმაღლესი სასწავლებლის რექტორი დურმიშხან ჩიტაშვილი, სეოკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ოლიმპიური ჩემპიონი ლერი ხაბელოვი, მძლეოსნობის კათედრის პროფესორი მამია ტუღუში, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, სტუდენტები — მარიამ ქევხიშვილი და თორნიკე გაჩეჩილაძე.**

იუბილარმა მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გულთბილი შეხვედრისათვის.



უფრო ამაღელვებელი იყო სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის დარბაზში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სეოკის აფხაზეთის რეგიონული ოლიმპიური კომიტეტის, ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და კულტურის სამინისტროს მიერ მოწყობილი ღონისძიება. სამშობლოში დაბრუნებულ სახელოვან მძლეოსანს ამჯერად გულთბილი სიტყვებით მიმართეს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯომარემ თემურ მჟავიამ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა რობერტ შავლაყაძემ და აფხაზეთის განათლების მინისტრმა სალომე კაპანაძემ, რომელმაც ვიქტორ სანეევს საჩუქარიც გადასცა.

შეხვედრის დასასრულ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტანვარჯიშულ სახეობათა ოლიმპიური რეზერვის სკოლის მოსწავლეებმა საინტერესო პროგრამები წარმოადგინეს სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში.

ვიქტორ სანეევმა ახალგაზრდა სპორტსმენები — „იმედის სტარტების“ გამარჯვებულები და პრიზიორები დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

**გიორგი გაგუა**

**სურათებზე: შეხვედრა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში; ვიქტორ სანეევი აჯილდოვებს ახალგაზრდა სპორტსმენებს.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

◎ თაოგა

# კომფორტი, კორტები და ქართველები... არიზონაში

**სალომე ჩარხუნაშვილი ბოლოს წლინახევრის წინათ ვნახე ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე. ამ ხნის განმავლობაში გაზრდილა, დაქალიშვილებულა, დიდივით მსჯელობს, თუმცა, ჯერ მხოლოდ 16 წლისაა — 1989 წლის 29 მაისს დაიბადა**



**თბილისში, 101-ე საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელია. ჩოგბურთის თამაში ხუთი წლისამ ირინა ერმოლოვას ხელმძღვანელობით ისწავლა. მერე მარინე მალაციძე, ალიკა ყარანგოზიშვილი და მიხეილ ბუთხუზი ავარჯიშებდნენ.**

ათი წელიწადია, სალომე შეჯიბრებებზე გამოდის. თანატოლებს შორის ხშირად დაუკავებია საპრიზო ადგილები. 2003 წელს 14 წლისამ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა მისთვის 2004 წელი — ხუთ ტურნირზე გაიმარჯვა: თექვსმეტწლიანებში საქართველოს ზამთრისა და ზაფხულის პირველობები მოიგო, ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის ღია პირველობაზეც ყველას აჯობა, ავსტრიის ავიახაზების საერთაშორისო ტურნირის მთავარი პრიზი დაიმსახურა და რენა აბჟანდაძის ტურნირზეც პირველი იყო. წლეულს ზაფხულს ბათუმში თანატოლთა შორის პაექრობაში მესამე ადგილი დაიკავა.

— სხვა ტურნირებში არ მიასპარეზია, რადგან სამი თვით ამერიკაში ვიყავი წასული, — მითხრა სალომემ. — ალბათ, გახსოვთ, ზაფხულში ვიეტნამური წარმოშობის ამერიკელი მილიონერი რობერტ დისთეითი გვესტუმრა, რომელმაც რვა ახალგაზრდა ჩოგბურთელი (სალომე ჩარხუნაშვილი, ნათია გეგია, ია ჯიქია, მაგდა ოქრუაშვილი, ანი მჭედლიანი, ნოდარ ითონიშვილი, თიკა ყავლაშვილი და თათია მიქაძე) შეგვარჩია და საკუთარი ხარჯებით სამი თვით არიზონას შტატის ქალაქ ფენიქსში წაგვიყვანა თავის ახლად გახსნილ ჩოგბურთის აკადემიაში სავარჯიშოდ. ეს იყო უბედნიერესი დღეები ჩემს ცხოვრებაში.

— **მაინც, რით იყო გამორჩეული?**

— კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინით, შესანიშნავი სამზარეულოთი, არაჩვეულებრივი კორტებით და ვარჯიშის განსხვავებული სტილით. უმკაცრეს რეჟიმში ვიმყოფებოდით. დილით შვიდის ნახევარზე ვდგებოდით. რვა საათზე კი უკვე კორტზე ვიდექით და მოთელვას ვიწყებდით. ყოველდღიურად რვა-რვა საათს ვვარჯიშობდით. საღამოს კი 9 საათზე ვწვებოდით დასაძინებლად. მხოლოდ პარასკევს და შაბათს გვაძლევდნენ ოდნავ შეღავათს. კვირა დასვენების დღე იყო და ბევრი ღირსშესანიშნაობის დათვალიერება მოვასწარით.

ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის იყო, რომ საგრძნობლად ავიმაღლეთ ოსტატობა. მწვრთნელები — მაიკი, ფეიჯი, ჯონი და იარეკი ყურადღებას არ





გვაკლებდნენ. ფიზიკური და ტექნიკური მომზადების თვალსაზრისით, ბავშვობისას შესწავლილი ბევრი რამ შეგვაცვლევინეს. ვფიქრობ, რომ რობერტ დისთეითის ჩოგბურთის აკადემიაში მიღებული გამოცდილება სამომავლოდ აუცილებლად გამოგვადგება.

— **თქვენი სწავლება სამი თვით ამოიწურა?**

— ორ-სამ კვირაში ისევ ვეწვევი ამერიკას სამი ან ექვსი თვით. არ არის გამორიცხული, ფენიქსის ჩოგბურთის აკადემიასთან ხუთწლიან ხელშეკრულებასაც მოვაწერო ხელი.

— **რაზე ოცნებობ?**

— უპირველესად, საერთაშორისო რეიტინგ-ლისტის პირველ ასეულში მოხვედრაზე. ბედნიერი ვიქნები, 2008 წელს პეკინში ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე თუ გამოვალ საქართველოს სახელით...

ოლიმპიადისა რა მოგახსენოთ, მაგრამ რობერტ დისთეითს მიაჩნია, რომ მის აკადემიაში წვრთნაგავლილი რვა ქართველი ჩოგბურთელიდან რამდენიმეს უკვე გაისად დიდი მუზარადის ტურნირებშიც შეეძლება მონაწილეობა.

ღმერთმა ქნას!

**ვაჟა დანელია**

◎ ფეხბურთი

# ფართო ასორტიმენტი

**ხანგრძლივი საზღვარგარეთული მივლინებიდან სამშობლოში დაბრუნებულმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ქვეყნის 17 წლამდე ასაკის ჭაბუკთა ნაკრების თავკაცთან ლევან მელიქიასთან ერთად გუშინ პრესკონფერენცია მოაწყო და ძირითადი ყურადღება ყმაწვილ თანამემამულეთა ბელგიურ გამოსვლას დაუთმო, თუმცა მოკლედ ეროვნული ნაკრების თემასაც კი შეეხო (ამ საკითხზე ვრცელი საუბარი დღეს 12 საათზე „ჯვაროსანთა“ მთავარი მწვრთნელის გაიოზ დარსაძის მონაწილეობით დანიშნულ ბრიფინგზეა ნავარაუდევი).**

**ლევან მელიქია** — მართალია, ევროპის ჩემპიონატის მორიგ ეტაპზე ვერ გავედით და ამიტომ ნაჩვენები შედეგების დადებითად შეფასება უხერხულიცაა, მაგრამ ისიც ანგარიშგასაწევია, რომ შესარჩევი ტურნირისთვის სამზადისს მხოლოდ ოთხი თვე დავუთმეთ და სულ რამდენიმე საწვრთნელი შეხვედრის გამართვა მოვასწარით. და ეს მაშინ, როცა, მაგალითად, მასპინძლებს ასეთი 40-მდე დაუგროვდათ. ისიც გაითვალისწინეთ, რომ მეტოქეთა შემადგენლობებში მრავლად იყვნენ წარმოდგენილნი ძლიერი პროფესიული კლუბების მოთამაშეები, რაც საერთოდ, და აღნიშნულ ასაკში განსაკუთრებით, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. რაც შეეხება წარუმატებლობის ძირითად მიზეზებს, ესენია შედარებით სუსტი ფუნქციონალური მომზადება, ფსიქოლოგიური ასპექტი (სტარტზე ბელგიელებთან ბიჭები შებოჭილებად გამოიყურებოდნენ) და ბოლო ტურში ბულგარელებთან — მსაჯობა. აქვე, ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას მოვახსენებ სფფ-ს ხელმძღვანელს, ვისი ძალისხმევითაც ასპარეზობის დაწყებამდე ყველაზე ადრე (5 დღით) ჩვენ ჩავედით მატჩების ადგილზე, რითაც უმტკივნეულოდ გავიარეთ აკლიმატიზაციის პროცესი. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი მონაგარიც — 2 ფრე და 1 წაგება — არ გვექნებოდა.

ალბათ, გაინტერესებთ ჩემი მომავალი გეგმებიც. გაუწყებთ, რომ კონტრაქტი 17-წლამდელთა ნაკრებთან 2006 წლის ოქტომბერში მეწურება, თუმცა მზად ვარ იმ გადაწყვეტილებას დავემორჩილო, რომლის მიღებასაც მიზანშეწონილად ჩათვლის სფფ აღმასკომი.

**ნოდარ ახალკაცი** — უპირველესად, კმაყოფილებით მოგახსენებთ, რომ ქვეყნის ყველა ასაკობრივი ნაკრები იმ შემტევი სტილით ცდილობს თამაშს, როგორიც განახლებულ-გაახალგაზრდავებულმა ეროვნულმა გუნდმა და მისმა დამრიგებელმა გაიოზ დარსაძემ აირჩიეს მაგისტრალურ ხაზად. სხვათა შორის, ბევრისთვის მტკივნეულად აღსაქმელი გაახალგაზრდავების თემა ზემოთ შემთხვევით არ წამომიწევია — მსგავსი ტენდენცია მთელ რიგ მოწინავე საფეხბურთო სახელმწიფოთა ნაკრებებში შეინიშნება (მაგალითად, გერმანიაში). რადგან გერმანია ვახსენე, იმასაც გაუწყებთ, რომ იქ ვიზიტისას შეხვედრები მქონდა ადგილობრივი საფეხბურთო კავშირის თავკაცებთან, სადაც სანაკრებო და ტექნიკური საკითხები განვიხილეთ. ბუნებრივია, დიალოგი ჰერბერტ ცანკერთანაც მქონდა, ვინც მომავალ შესარჩევ ციკლში ეროვნული და ჭაბუკთა ნაკრებების მომზადებაში დაგვეხმარება.

ისიც მინდა გაუწყოთ, რომ 31 ოქტომბერს უეფას ახალი აღმასრულებელი დირექტორი ლარს-კრისტერ ოლსონი გვეწვევა — მის ვიზიტს გაცნობითი ხასიათი ექნება. აღსანიშნავია, რომ სტუმართა დელეგაციაში უეფას პროგრამა „ჰეთ-თრიქის“ მენეჯერი ბრუნო ვოლფისბერგიც იქნება.

პრესკონფერენციის დასასრულ სფფ შეფი ეროვნული ნაკრების ამხანაგურ შეხვედრასაც შეეხო და განაცხადა, რომ მაქსიმალურად ცდილობს მის მეტოქეებად ძლიერი გუნდები შეარჩიოს. უახლოესი — ბულგარეთი (იგი სოფიაში 12 ნოემბერს გვიმასპინძლებს) ასეთთა კატეგორიას, ასე თუ ისე, მართლაც აკმაყოფილებს, აი, იორდანია კი, რომელსაც საქართველოში 16 ნოემბერს ვეთამაშებით, რა კრიტერიუმით მოიძებნა, ვერაფერს გეტყვით. ყოველ შემთხვევისთვის გაეცანით შემადგენლობას:

*ჰატამლე, იბრაჰიმი, საბა, ალშუაიბი, ალ-შარაიდეჰი, ალ-ზბუნი, ოთმანი, ბაშარი, სულეიმანი, ობეიდი, მაჰმუდი, კასემი, აკელი, ალმალტაჰი, ელმაირეი, შელბაიე, აბუკეშეკი, ხამიზი, აბუროჰემი, ალეი, ტალი, ალქათიბი. მთავარი მწვრთნელი — აბუაბედი.*

**გია პლატონიშვილი**

ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ლეონიდ ბრეჟნევი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბეებიდან მიესალმება უნივერსიტეტელებს. 1966 წელი.

მოგვაწოდა გივი შეყილაძე.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

„რა ენა წახდეს“...

# მეტს არაფერს ითხოვდა სომეხი აივაზოვი!

**ერთი მეგობარი მყავდა, იური (იურა) აივაზოვი, შესანიშნავი სომეხი კაცი. ერთ-ერთ საწარმოში მუშაობდა და თავისი პატიოსანი შრომით, კაცურ-კაცობით და მოქალაქეობრივი პოზიციით ამ ქვეყნის ნამდვილი მოქალაქე გახლდათ. მახსოვს, სუფრასთან თუ ისე, მეგობრულად შევიკრიბებოდით, სულ გვიბრაზდებოდა, — რა ხდება ხალხო, რად გინდათ ეს სხვათა ენაზე საუბარი? ვიცოდით იურას ხასიათი და „მის ჯიბრზე“ განსაკუთრებული ხაზგასმით გავურევდით საუბარში არაქართულ სიტყვებს. გიჟდებოდა იურა...**

— ძმაო, ისეთი დიდებული ენა გაქვთ ქართველებს და ბარბარიზმებით საუბარი ვინ გასწავლათ, რა გემართებათ?!

მართალი გითხრათ, მსიამოვნებდა ყოველივე ეს და ყოფილა შემთხვევა, რომ იურას ქართულიდან ბევრი რამ ახალი სიტყვა „წამომილია“, ისე დახვეწილი და სუფთა ქართულით საუბრობდა ცხონებული სომეხი.

წლების შემდეგ, იყო ხანი, როდესაც ქართული შინაგანი ჯარების შიდა საუწყებო გაზეთს ვრედაქტორობდი. ძალიან შეუყვარდათ ეს გაზეთი ჯარისკაცებს. მოდიოდნენ და თავიანთ გულისტკივილს, თავიანთ მოსაზრებებს გვიზიარებდნენ... ჩვენც, შეძლებისდაგვარად, თანავუგრძნობდით მათ.

მახსოვს, ერთხელ ეროვნებით აზერბაიჯანელი ოფიცერი სამედოვი ნარიმან იბრაგიმ ხალილ-ოღლი მოვიდა ჩემთან და მთხოვა მომესმინა მისთვის.

რამდენიმე საათი ვუსმენდი ბატონ ნარიმანს, რომელიც გამართული, სუფთა ქართულით მთხოვდა:

— „... იყო პერიოდი, როდესაც სახელმწიფო ენას პატივს სცემდნენ, უყვარდათ იგი და, რომც არ ყვარებოდათ, სავალდებულოდ მიაჩნდათ მისი ცოდნა. იცოდა კიდევაც დიდმაც და პატარამაც! ამიტომ აზერბაიჯანელ, სომეხ თუ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებად ითვლებოდნენ, არ უჭირდათ ურთიერთობა არც ერთმანეთთან და არც ქართველებთან. მართალია, ზოგჯერ ამაში რუსულ ენასაც, როგორც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ენას, თავისი ადგილი ჰქონდა, მაგრამ იშვიათად იყო ოჯახი, რომელსაც ქართული ენა არ სცოდნოდა. როდესაც ბატონი ზვიად გამსახურდია მობრძანდა ხელისუფლებაში, ხმა გავარდა, თუ გინდათ საქართველოს მოქალაქე იყოთ, უნდა ისწავლოთ ქართული ენა! მაშინ ეს მას ფაშიზმში ჩამოართვეს! მაგრამ ვისაც საქმე ესმოდა და ჯერ ისევ „რუსულის ამარა“ გადიოდნენ ფონს, მათაც კიდევ უფრო ინტენსიურად დაუჭირეს მხარი ამ წინადადებას, სპეციალური კურსებიც კი შექმნეს სახელდახელოდ, და, თქვენ წარმოიდგინეთ, მათ რიგებში იყვნენ აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები და სხვა ეროვნებთა წარმომადგენლები, ვისთვისაც საქართველო მეორე სამშობლო გამხდარიყო.

მერე, ქვეყანა აირია და არავის ეცალა ამისთვის. არეულ ქვეყანაში დავიწყებას მიეცა ენის საკითხი და არაქართველების უმეტესობამ (და, სამწუხაროდ, ქართველებმაც) ზურგი შეაქციეს ამ წინადადებას და განვითარდა არასასურველი პროცესი, — ქართული ენა ყველამ დაივიწყა!.. სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ დღევანდელ ქართულ ჯარში მომსახურე აზერბაიჯანელებმა და სომხებმა ქართული არ იციან! ამიტომ გთხოვთ, ჩვენს გაზეთში მაინც გამოაქვეყნოთ ჩემი მოთხოვნა — შეიქმნას სპეციალური კურსები, რომლებიც ქართულს თავიდანვე შეასწავლიან ჩვენს ჯარისკაცებს!.. ანდა, როგორ შეიძლება საქართველოში ცხოვრობდე, საქართველოს მოქალაქე იყო და ქართული არ იცოდე?!“

გაზეთმა სტატიების მთელი ციკლი გამოაქვეყნა ამ თემაზე. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზეც არა ერთხელ გვქონდა საუბარი, მაგრამ საბოლოოდ, ქართულ შინაგან ჯარებს ვინ ჩივის, თვითონ ენის სახელმწიფო პალატაც დაიშალა და დარჩა „ქვევრი პირლია“! ქართული ენა სახელმწიფო ენა რომ არის, ბევრს თანდათან მიავიწყდა (ზოგმა, კიდევ საგანგებოდ დაივიწყა)! ამიტომ, ცნობილი ანდაზის პერიფრაზი რომ მოვიშველიოთ, ისეთი სიტუაცია შეიქმნა, როცა — „უძაღლო ქვეყანას მგლები დაეპატრონნენ“!

გაიარეთ სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში, ხშირად შეხედეთ ტელეეკრანს და თვითონ დარწმუნდებით ამაში. ქართული ენის იგნორირება ზენიტშია ასული, ქართული ენა დაიმარხაო თითქოს, აღარ არსებობს ამ ზონაში და აქაური სომეხი და აზერბაიჯანელი, ბერძენი თუ რუსი მისთვის სასურველ ენაზე საუბრობს.

ამას წინათ, ტელეეკრანზე ვნახეთ, როგორ გაიქცნენ ქართულ ჯარში მოსამსახურე აზერბაიჯანული წარმოშობის ჯარისკაცები სამხედრო ნაწილიდან. ისინი, როგორც გავიგეთ, ამბობდნენ „ტატარ, ტატარს“ გვეძახიანო და ამიტომ გამოვიქეცით სამხედრო ნაწილიდან.

ცხადია, ენობრივი ბარიერი, მეტად მნიშვნელოვანი პრობლემაა ჯარში თუ საერთოდ, საზოგადოებაში, მაგრამ ამას ისიც ემატება, რომ ამ ჯარისკაცებმა (და სხვებმაც) ეტყობა, საკუთარი ენაც არ იციან სათანადოდ და „ტატარი“ სალანძღავ სიტყვად მიაჩნიათ.

კარგი ტრადიცია დამკვიდრდა: — ქვეყნის პრეზიდენტი ხშირად სტუმრობს რესპუბლიკის ამა თუ იმ რეგიონს, ხვდება ხალხს, ეცნობა მათ ჭირ-ვარამსა თუ მიღწევებს, მაგრამ... ქვეყნის პრეზიდენტს არ უნდა სჭირდებოდეს „სხვათა ენაზე“ საუბრის მცდელობა, რომ გული „გაუთბოს“ მსმენელებს. პრეზიდენტი ქართული სახელმწიფოს სიმბოლოა და სახელმწიფო ენაზე უნდა ესაუბროს თავისი ქვეყნის მოქალაქეებს, ამ მოქალაქეებმა კი, კეთილი ინებონ და, იმ სახელმწიფოს ენას მიაგონ პატივი, რომლის მოქალაქეებიც არიან!

... მეტს არაფერს ითხოვდა ჩემი სომეხი მეგობარი იურა აივაზოვი...

**ზაურ ფიფია**

ცოტაც გავიცინოთ...

**სხვისი** არაფერი გვინდა, მაგრამ ჩვენსას კი აუცილებლად დავითრევთ, ვისიც არ უნდა იყოს იგი.

* * *

— **ქალიშვილო**, ეს ბიკინები თქვენ ხომ არ დაგიკარგავთ?

— არა, მე საერთოდ უსაცვლებოდ დავდივარ.

* * *

— **ცხადია**, არ ვამტკიცებ, რომ დედაშენი ცუდად ამზადებს სადილს, — ეუბნება საქმრო საპატარძლოს, — მაგრამ, ვგონებ, ვხვდები, რატომ იწერთ პირჯვარს ჭამის წინ...



* * *

— **დედი**, სახლში მივდივარ, რამე ვიყიდო?

— ბინა იყიდე, ნაძირალავ, და ცალკე იცხოვრე!

* * *

**მევიოლინემ**, რომელიც საცხოვრებლად ისრაელში გადავიდა, უცებ გადაწყვიტა, დაეტოვებინა ისტორიული სამშობლო. როდესაც ამის მიზეზი ჰკითხეს, — რამდენჯერაც კონცერტი ჩავატარე ან დაკვრა დავიწყე, იმდენჯერ ცეცხლი გამიხსნეს არაბებმაო, — თქვა.

— რას ამბობ, — გაუკვირდა მის მეგობარ პიანისტს. — ვერასოდეს დავიჯერებდი, თუ არაბები ასე კარგად ერკვეოდნენ მუსიკაში.

* * *

**„ახალი რუსი“** ინგლისში უძრავ ქონებას ყიდულობს. მას მომავალ სამფლობელოს ათვალიერებინებენ:

— ეს ტყეები თქვენი იქნება, ეს მინდვრებიც თქვენია...

იგი უინტერესოდ ათვალიერებს ლიმუზინის ფანჯრიდან ყველაფერ ამას.

— აი, ესეც თქვენი მომავალი ციხე-სიმაგრეა. XVII საუკუნის პირველი ნახევარი.

აქ კი გამოცოცხლდა „ახალი რუსი“:

— მოითმინეთ, რას ნიშნავს პირველი, მეორე ნახევარი სად არის?

* * *

— **ვერაფერი** გავიგე, რა ხდება ამ საავადმყოფოში, — ეუბნება ერთი პაციენტი მეორეს, როდესაც აქ დავწექი, ერთმა ექიმმა მითხრა, რომ ბრმა ნაწლავი მაქვს გაღიზიანებული, მეორემ კი — ნაღვლის ბუშტში ქვები გაქვსო.

— ბოლოს ვინ გამოდგა მართალი?

— არც ერთი: „არიოლი“ და „რეშკა“ გაითამაშეს და გლანდები ამომკვეთეს.

**დიდ მადლობას მოგახსენებთ მცხეთა-მთიანეთის სამხარეო გუბერნატორს ბატონ ვასილ მაღლაფერიძეს, მცხეთის რაიონის გამგებელს ვახტანგ ყიფშიძეს, მოადგილეს დავით ტატიშვილის, წეროვნის საკრებულოს გამგებელს ფრიდონ ქიქიაშვილს, მოადგილეს ნინო მძელურს იმ დიდი დახმარებისა და გულისხმიერებისთვის, რომელიც მათ გამოიჩინეს ჩვენს მიმართ.**

**ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.**

მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
32-ბინიანი კორპუსის მცხოვრებლები.

ლარის კურსი

**28 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2136 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7975 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1821 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0631 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3911 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,3970 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5797 ლარი. |

ბიბლიოთეკები

# ვიკითხოთ, რათა ვაცოცხლოთ წიგნი

**წიგნი და ბიბლიოთეკა — ორი განუყრელი ცნება. ბიბლიოთეკები — წიგნთა განძსაცავები, ლიტერატურა — ყოველნაირი: მხატვრული თუ მეთოდური, დეტექტიური თუ სათავგადასავლო, ფანტასტიკური თუ მითოლოგიური, ფოლკლორული და საბავშვო...**

**წიგნები — იშვიათი ეგზემპლარები, უძველესი გამოცემები. კლასიკოსების — ჩვენი თუ საზღვარგარეთული ლიტერატურა.**



თბილისში ადრე არსებული 75 ბიბლიოთეკიდან დღეისათვის 55 შემორჩა. მადლობა ღმერთს! — კომპიუტერი ძალიან კარგი საშუალებაა, მაგრამ დამერწმუნებით, მაინც სხვაა წიგნი...

თანაც, ბიბლიოთეკაში შესული სულ სხვა სამყაროში ხვდები. ის ერთგვარი სულიერების კერაა, თავისი განუმეორებელი ხიბლით, სიღრმით, იდუმალებით.

მოკლედ, ბიბლიოთეკა ცოცხალი ორგანიზმია!

დიღმის მასივში, რობაქიძის პროსპექტზე მდებარეობს შოთა რუსთაველის სახელობის № 7 ბიბლიოთეკა. შენობა გარემონტებულია. აქ ოთხი ძველი ბიბლიოთეკა გააერთიანეს და ხელმძღვანელად ქალბატონი ციალა კალმახელიძე აირჩიეს.

№ 7 ბიბლიოთეკის გამგე კი ქალბატონი მაყვალა რაზმაძეა, რომელიც უკვე 40 წელიწადია, აქ მუშაობს. მკითხველს სულ ათი თანამშრომელი ემსახურება. აღსანიშნავია, რომ დიდუბის რაიონში ახლა მხოლოდ ეს ერთი ბიბლიოთეკა შემორჩა.

აქ ყველა დონის მკითხველი მოდის. ბევრი მათგანი თანამდებობის პირია და მომუშავეთ კარგად ახსოვთ მათი ბავშვობა. ქალბატონი მაყვალა გვიყვება:

— ჩვენს ბიბლიოთეკაში გაიზარდნენ რეჟისორი ვასო კიკნაძე, მწერალი გურამ გოგიაშვილი, პარლამენტარები: ზურაბ ცქიტიშვილი, გიორგი თარგამაძე, კობა დავითაშვილი და რამდენი ერთი ჩამოვთვალო. აქ დადიან პოეტები, მწერლები, სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები...

ბიბლიოთეკაში 30 წელიწადია, რაც არსებობს შემოქმედთა კლუბი „ვეფხისტყაოსანი“, სადაც თავიანთ პირველ ნაბიჯებს დგამენ ახალგაზრდა, დამწყები პოეტები, კლუბს წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი პოეტი შოთა ნიშნიანიძე...

ამ დღეებში ყველა თაობის მადლიერი მკითხველი კვლავ შეიკრიბა ბიბლიოთეკაში, სადაც ამაგდარ ბიბლიოთეკარებს, 75 წლის ვერა ცისკარიძეს და 70 წლის მერი გამსახურდიას იუბილე გადაუხადეს. ამათგან პირველს აქ მუშაობის 50 წლის, ხოლო მეორეს — 40 წლის სტაჟი აქვს, ეს კი ბევრ რამეზე მეტყველებს.

— ჩვენ ისევ ვმოქმედებთ, ისევ „მოდაში“ ვართ, — ამბობენ ისინი, — თითქმის უხელფასოდ (35 ლარზე — ლ. ჭ.) ვმუშაობთ, მაგრამ მაინც სიხარულით მოვიჩქარით მკითხველთან შესახვედრად. წიგნი მთელი ჩვენი სიცოცხლეა. ხშირად მკითხველისთვის სახლიდანაც კი მოგვიტანია წიგნები... დიდი კონტაქტები გვაქვს სკოლებთან.

იმ დღეს თბილისის 130-ე და 140-ე სკოლების მოსწავლეებმა გაგა წიწილაშვილმა, თამარ ცანავამ და სხვებმა თავიანთი შემოქმედება უჩვენეს ამაგდარ პროფესიონალებს. სიმღერა, ცეკვა და ლექსი ერთმანეთს ენაცვლებოდა.

მკითხველმა ზაურ აბუთიძემ ასეთი ლექსიც მიუძღვნა:

**წიგნებს ელოლიავება**
**ქალბატონი ვერა**
**ნახევარი საუკუნე, — თითქოს**
**არა გვჯერა;**
**ბავშვებს ელოლიავება**
**მზრუნველობით ვერა...**

ხოლო ამერიკიდან პროფესორი მამუკა გომართელი ამაღელვებელ წერილს სწერს თავის უფროს მეგობრებს.

ამ ქალბატონების ღირსებასა და მაღალ სულზე მეტყველებს ისიც, რომ სამკითხველო დარბაზში საგანგებოდ მოაწყვეს გამოფენა, სადაც მათი აღზრდილების საავტორო წიგნებია წარმოდგენილი.

აწ გარდაცვლილი შოთა ნიშნიანიძის მეუღლემ, ქალბატონმა თამარმა კი ღონისძიებაში მონაწილე ბავშვები პოეტის წიგნებით დააჯილდოვა.

ცნობილი ფრანგი ლიტერატორი გუსტავ ფლობერი ამბობდა: „იმისთვის, რომ იცოცხლო, უნდა იკითხო“.

ვიკითხოთ, რათა ვაცოცხლოთ წიგნიც.

**ლია ჭიღლაძე**

სულთათანა

# „არ მესროლოთ, ჟურნალისტი ვარ“...

**... 28 ოქტომბერი დათო ბოლქვაძის დაბადების დღეაო, გაიპარა უზუსტობა ერთ-ერთ გაზეთში, არადა, ეს მისი დაბადების კი არა, გარდაცვალების დღეა. სწორედ ამ საბედისწერო დღეს ჩვენი კოლეგა, ტელეოპერატორი და ჟურნალისტი დათო ბოლქვაძე სიცოცხლეს გამოასალმეს.**

უნებური უზუსტობა შეცდომად შეიძლება არც ჩაითვალოს, რადგან ჭეშმარიტი ჟურნალისტი სწორედ გარდაცვალების შემდეგ იბადება...

ახოვანი, კეთილი, სულით ხორცამდე პატრიოტი, რომელსაც უზომოდ უყვარდა სიცოცხლე, პარლამენტიდან პირდაპირ ბრძოლის წინა ხაზზე მოხვდა. თავიდანვე ხვდებოდა, რომ ეს ომი „აბსურდის თეატრი“ იყო და ამიტომ როცა იარაღის აღება შესთავაზეს, იწყინა — ვის ვესროლო?!

პროფესიით და მოწოდებით ჟურნალისტს, განუყრელი იარაღი მხარზე ჰქონდა მოკიდებული, მისი ვიდეოკამერა უმნიშვნელო წვრილმანსაც ზუსტად აფიქსირებდა, იგი ომის საშინელ კადრებსაც კი ორიგინალურად გადმოსცემდა... სოფლის ჭიშკართან აბლავლებული ძროხა, უპატრონოდ დარჩენილი და საცოდავად მოწკმუტუნე ძაღლი, ჯარისკაცის ხელისგულზე მოკალათებული ბელურა...

ფაქიზი სულის ბიჭს იუმორიც ფაქიზი ჰქონდა. მას ჩვენი პოლიტიკური დაპირისპირების სატირულ-იუმორისტულ ჭრილში გაშუქებაც ჩაუფიქრებია, მაგრამ არ დასცალდა.

ბავშვური სილაღით გამორჩეული, ნათელი ბიჭი საოცრად მიმტევებელიც ყოფილა.

— ძმის წინააღმდეგ იარაღს ნუ აიღებთ, ბიჭებო! არ მესროლოთ, ჟურნალისტი ვარ... ეს იყო დათო ბოლქვაძის უკანასკნელი სიტყვები...

იარაღიც ვესროლეთ, მაროდიორობაც დავწამეთ, მისი უძირო, ცისფერი თვალების შუქის ჩამქრობ ნაძირალასაც მივუტევეთ... რაღა დაგვრჩენია, მხოლოდ ის, რომ მისი ნათელი სულის უკვდავსაყოფად, ჩვენს უზნეობას და უგუნურებას შეწირული ამ უმანკო ვაჟკაცის სისხლი დიდხანს შეჰღაღადებდეს ზეცას ცოდვათა ჩვენთა გამოსასყიდად...

**ქეთი ჯაყელი**

ხსოვნა

## კარლო კუჭაიძე



75 წლის ასაკში გარდაიცვალა პურპროდუქტების სისტემის პროფესიონალი, გამოცდილი ინჟინერ-ტექნოლოგი **კარლო კუჭაიძე.** მისი უშუალო მონაწილეობით სისტემაში არაერთი წარმოება გაიშვა და გაიმართა — ყოველთვის გაჭირვების ტალკვესი იყო წარმოების პრობლემატური საკითხების მოგვარებაში, ახალგაზრდა თაობის აღზრდაში, იყო თბილისის №2 და №5 პურის ქარხნების მთავარი ინჟინერი.

ჭკვიანი და მორიდებული, მოწესრიგებული ადამიანი, მოყვარული მამა და მეოჯახე წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა კაცური კაცის სახელი.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

**ქ. თბილისის პურის მრეწველთა კავშირი; სს №4 პურის ქარხანა.**



მეუღლე ჯემალ, შვილი შალვა ცისკარაშვილები, რძალი ეკა ოთარაშვილი, ძმა ბორის, ძმისწული ქეთი სიჭინავები, ძმისშვილიშვილი გიორგი ჩიქობავა, რძალი თინა სულთანიშვილი, სიძე ლევან ყენია, თემურ, ქეთინო, გიორგი და თეა ცისკარაშვილები, მძახლები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერი სიჭინავა

პანაშვიდი 27, 28 X, 16 სთ-ზე. დაკრძალვა 29 X, 14 სთ-ზე. ნუცუბიძის III პლატო, II კვარტალი, IX კორპუსი, მე-6 სართული.

გამომცემლობა „სამშობლოს“ კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაეცვალა თანამშრომელი

მერაბ მირუაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ოთარ, დავით, ლერი ჭითანავები თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ ვალერი ჭანტურიას

დედის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ყოფილი ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე

ბენო ჯაფარიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო სამსახური — 022;**
**გენერალური პროკურატურა — 99-74-10;**
**შინაგან საქმეთა სამინისტრო — 99-53-50;**
**საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;**
**ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;**
**იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;**
**ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;**
**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;**
**სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;**
**ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — 98-23-58; 50-69-00;**
**შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;**
**კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;**
**თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;**
**საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;**
**თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური — 37-78-70;**
**შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;**
**ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.**
**კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.**

# ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის სარეკლამო მომსახურებით!

მობრძანდით დედაქალაქის ცენტრში, კოსტავას 14, I სართული. დაგვიკავშირდით, ტელეფონი-ფაქსი 93-28-13; ტელ: 93-15-63. ვმუშაობთ ყოველდღე (კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ვილენ მარდალეიშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობა 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.